“დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ ვიორგი ლეონიძე



ლიტერატურული მესხეთი

№3 (243)
მარტი
2019 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამეერთე წელი | "LITERATURULI MESKHETI" | "ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ"

გლოსტიონის გარდაცვლიბის 60 წლისთვისთვის

მიხეილ ქვლივიძე

პასუხი

მაშ, შენ ამბობ, რომ არ ჰყოლია მტერი რუსთაველს,
არ გაჰქცევია სამშობლოდან სულთამხუთავებს,
და რომ მარტოდენ უიმედო ტრფობის ბრალია,
თუ ამ ქართველმა უცხოეთში სული დალია?
იქნებ ტრფიალმა გადახვეწა ყველა მელექსე:
თეიმურაზი, არჩილ მეფე, ვახტანგ მეექვსე,

საბა-სულხანი გამოაწყო ბერის კაბაში,
ძვალთშესალაგი დაუკარგა ბესიკ გაბაშვილს,
მამულს მოსწყვიტა სამუდამოდ გურამიშვილი
და ბარათაშვილს ამოხადა სული შიმშილით?

იქნებ ტრფიალმა ჭავჭავაძეს ესროლა ტყვია
ან სიყვარულმა ჰკრა მაჩაბელს ხელი სამიწე,
ან იქნებ იმას სიყვარული სახელად ჰქვია,
რამაც შეშალა მთის არწივი, მოჩხუბარიძე?!

არა! ქართველთა გზა როდია ასე იოლი:
თვითმკვლელობაა
დიდი საქმის ჩვენში დაწყება...
სარკმელს გააღებს ამღვეეული გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი
და ქვაფენილებს
შურდულივით
დაენარცხება!

მერაბ კოსტავა

ძმას ქრისტესმიერს

(ზვიად გამსახურდიას)

როს მიაკითხავ წმიდა ალაგებს,
თითქოს იერი ეცვლებათ ტაძრებს,
წმიდა მამათა ძვალშესალაგებს
მღვდელმთავართა და მეფეთა
საძვლეს.
გეკითხებიან – მოსულხარ სადით,
ხატება შენი ვეღარ გვიცვნია,
წარსულის სუნთქვა ესდენ სიცხადით
საუკუნეა არ განგვიცდია.
ხარ მწირი თამარ დედოფალისა,
საღვთო სინედლის გულში
აღმძვრელი,
თუ ნახევარძმა პარსიფალისა,
დიდგორს მოსული ვინმე ტაძრელი,
სამსხვერპლო სისხლით
აღვსილი წმიდა
გრაალის მცველი ღვთისგან
ცხებული,
თუ საიდუმლოდ ათონის მთიდან
თორნიკესავით დაბრუნებული.
ვინ განგვიახლა ნათლობის მადლი,
კურთხევის ძალა შორს გამიზნული,
როს მოგვეძალა დიდვაჭრის ადლით
დუშმანი ჩვენში შემოხიზნული.
ოდეს ტაძართა შედრკა მწირველი
და მიეფარა ღრუბელს უფალი,
შენ აღიმართე, ვითა პირველი,
დაშრეტილ რწმენის ჭირისუფალი.
თვით ზეციერმა შეგარტყა ძალი,
გიპყრა მახვილი რვალთა მლეწავი
და აგიტაცა, როგორც ბოძალი,
დუშმანის ძვლებში დასახვეწარი.
გჩვეოდა მტერთან არ დარიდება,
შეწყვილებულო სიმტკიცით
კლდესთან,
და ეძიებდი ჭეშმარიტებას,
ვითა ტარიელ დაკარგულ ნესტანს.
და წინაპართა ტანჯვით ვნებულმა
ერშიც ზრახვანი აღძარ ვნებისა,
როს განაახლე მინავლებული
ხმა ეროვნული თვითშეგნებისა.
ოსტატის სიბრძნით გამოარჩიე
აზრთა განწყობას უცვალე ფერი,
ხელწერა შენი გულს დაამჩნიე,
ახალ ხარისხზე ასწიე ერი.
შენგან ნატყორცნი გავარდა სიტყვა,
ვითარცა მეხი ცათა მკვეთელი,
ჯიუტი თმენის ზღუდე მოსეტყვა
ზღვა საგუბარის დასცა კედელი.
შემოიმტკიცე ფიცვერცხლით ძმანი,
ცეცხლს რომ უნთებდნენ გულში
ასულებს,
შლეგებს მოვგავდით მოყმენი
ცხრანი,
ვეფხვთან სარკენლად ველად
გასულებს.
არ დაგვითრგუნავს სხვათა უფლება,
ყველამ გაიგოს, ყველამ უწყოდეს,
რადგან ჩვენც შევტრფით
თავისუფლებას,
ჩვენადვე თავი ხამს გვეყუდნოდეს.
მაგრამ ნესტანი, იგი ნესტანი,
ისევ ქაჯთა ჰყავთ გამომწყვდეული,
კვლავაც ზვაობენ მტერთა დასტანი,
უტიფრობს შხამი მათგან ნთხეული.
ცნობამიხდილი წყევლი ცრუ
სოფელს,
როს გულისწორის სახელს აბოდებ,
ვიცი, რა, ვიცი იმის ხელმყოფელს
უშრეტი ცეცხლით დაანაფოტებ.
როს ამოშრება წყევლის სათავე,
ქაჯეთს მიხტომა ნახონ ჯიქური,
მაშინ იხილონ დუშმანის თავი
უწმინდურ სისხლით გადათხიფული.
მისთვისაც გაგთქვამ ზეცა და მყარი
და ქარიშხალი ზღვებზე მქუხარი,
კვლავ გაიელვებ სიმართლის ფარით,
რწმენის სამკლავით და საფუხარით.
გადაიჭრები გზნებით მყოფადში,
დაემკვიდრები ხალხში მითივით,
ზეაღმართულო ჩვენს ეპოქაში,
მიქელანჯელოს კუშტ დავითივით.
დაუცხრომელო სულიერ ცდაში,
დაუსაბამო სიტყვის მხმობელო,
უკიდეგანო ასტრალურ ზღვაში,
დემონთა ხროვის დამამხობელო.
ხომ ხედავ, როგორ გართულდა ომი,
ვაჰ, თუ ძალები შემომელია,
თუმცა მარადში ვარ თანამდგომი,
ავთანდილობა ერთობ ძნელია.
ბოროტისათვის მუქაფის მგებელს,
საქმენი ქველნი არ დამიგმია,
მაგრამ სვებედის საწყისთა
მძებნელს,
ერთი ამბავი ვერ გამიგია:
სხვებზე უმეტეს თუ გაისარჯე
როს ჩამოგეჭრა ხმა ედემისა,
მოყვასისაგან რად განისაჯე,
ღირსო უკვდავთა დიადემისა.
ალბათ, გამოცდა ენება უფალს,
როს გიმზადებდა ხვედრს არ
ასაცდენს,
რადგან განგებას რომელიც უყვარს,
მასვე მოუვლენს სასტიკ
განსაცდელს.
რას დაგაკლებდა ბედი ტიალი,
ეკალ-ბარდებში სიკეთის მთესველს,
ჭორის ღვართქაფმა გადაგიარა
და როს აგივსეს ძმარით ფიალა
არ აიცდინე სასმელი ესე.
რადგან იცოდი, როგორ მავნებლობს,
როცა მაცდური გვიდგას საჭესთან,
რომ სიამაყე, აქ რომ მბრძანებლობს,
მათხოვარია იმ სოფლის ბჭესთან.
რომ წაუხდება მცდელობა უმალ,
გატიალდება როგორც სამყარი,
როს აღმოჩნდება, რომ ამგვარ
სტუმარს
ზეცაში არ აქვს თავშესაფარი.
რომ ვერ იხილავს სანუკვარ შედეგს
ჭეშმარიტებას ვინც არ იმშვილდებს,
შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ
ვინაც ვერ ჰპოვა სულის სიმშვიდე.
ძმის აღსარება რომელმაც გასთქვა,
ვინც ვერ დაიცხრო ღელვა გულისა,
ზიარებამდე ვინაც ვერ წარსთქვა
საგალობელი სინანულისა.

12 აგვისტო, 1978 წ.
დიდგორობა

ᲠᲔᲖᲝ (ᲔᲛᲔᲚᲘᲐᲜᲔ) ᲐᲓᲐᲛᲘᲐ

ᲜᲘᲙᲝ ᲤᲘᲠᲝᲡᲛᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲙᲔᲙᲣᲐ

(გენიით დამსხვრეული დრამა და ტრაგედია)

ᲛᲔᲘᲠᲣᲚᲘ

ნიკო ფიროსმანაშვილი თავისი შემოქმედებით, ზღვის ბინადარი საოცრება ორაგულივით, საკუთარ გენიაზე შეწირული მხატვარია. ორაგულები, როცა დაქვირითდებიან, ზღვიდან თუ დიდი მდინარეებიდან, ჯგუფ-ჯგუფად დაიძვრებიან დანიშნულ ადგილას ქვირითის დასაყრელად. თევზური ინტუიციით, შეუსვენებლივ მიეშურებიან მდინარის პირველ წყარომდე, დაპატარავებულ კალაპოტში. ნელი სვლით და ცოცვით მიიწევენ წინ, წყაროს თვალამდე. ამ მსვლელობისას გზადაგზა ტანის ფერიც ეცვლებათ, მუქი მწვანე ციმციმა ზურგით და ვერცხლისფერი ფაფარით ზეცას შეჰყურებენ, ხოლო თეთრი და მოვერცხლისფრო ქვირითსავსე მუცლით, კრიალა და სხვადასხვა ფერის ქვებს თევზისეული სინაზით ელაციცებიან, ოდნავ ეხახუნებიან. ასე ცოცვით ქვიდან ქვაზე გადადიან და უსასრულო სურვილი აქვთ, როგორმე მივიდნენ წყაროს თვალამდე და მის სიღრმეებშიც ჩააღწიონ...

რუს სანაპიროს მომდგარი, წყურვილით აღტყინებული, ჩალისფერი ირმები კი, ბუნების ამ საოცარ მოვლენას, ნუშისებური თვალებით, ნესტოებდაბერილნი, ფრუტუნით მისჩერებიან...

დასასრულს, ასობით დაღლილ-დაქანცული ორაგული, სიამით თუ ტკივილით, ადგილზევე ფერად-ფერად ქვირითს ყრის და განნირულნი საკუთარ სიცოცხლეს ეთხოვება... მაცხოვარივით თევზისეულ ვერცხლისფერ ჯვარს გაეკვრებიან და ასე გადაარჩენენ ორაგულთა მშვენიერ მოდგმას.

ნიკო ტანჯული და შეწირული იმიტომ კი არ იყო, უჭირდა და ღარიბი იყოო. არა, მეგობრებო! ნიკალასავით სულგრძელი ქართველი, ყოველთვის იშოვიდა თავის და ოჯახის სარჩოს, თანაც, ქიზიყელი კახელი და მირზაანელი, უმდიდრესი და ულამაზესი კუთხის წარმომადგენელი... ნიკო ფიროსმანაშვილს სულ სხვა გასაჭირი და ვალდებულება დაეკისრა უზენაესისაგან, დიდი შემოქმედის სულით დაორსულდა იგი და თავისი ბედისწერის გარდაუვალობა დაეკისრა გამჩენისაგან, რათა ეშვა თავისი ჯიშის და ჯილაგის გადამრჩენი დიდი ხელოვნება. ქვირითით სავსე ორაგულივით იარა მან ურთულესი გზა და ცხოვრების საწყისთან მისვლით შობა თავისებური ქვირითი და მარადიულობის უპირველეს წყაროებთან განუტევა სული...

ასე დაშრეტილი, ყველაფერგაცემული და წმინდანივით უპატიოსნესი მარტოხელა მხატვარი, შთამომავლობისათვის შეწირული უერთგულესი ორაგულივით, უპატრონოდ მიგდებულ სხეულად მიბარდა მიწას... ხოლო გენიალური შემოქმედის სულს მოწყვეტილი ღვთიური ნაყოფი, თავის ერს, უსასრულო დროით გადარჩენის ლოცვად შესწირა...

სიახლე შედევრები, მხოლოდ ეროვნული კი არა, მსოფლიოს განუყოფელი, მხატვრული მშვენიერების და მაღალი მიუკარება სიღრმეში დინჯად გამავალი ფარული გემოვნების, ინდივიდუალური გამორჩეულობით, უხილავ-შეზავებული ერთა შორის თვითმყოფადი ქართულისთვის დამახასიათებელი ფერ-კოლორიტ-სტილით და მთავარი მნათობიდან სხივნატყორცნი, შემოქმედებითი გმირული გამბედაობით; თანაც უშუალოდ მოძრავი და ლაღი, როგორც ნიავს ამოყოლილი სუფთა ზღვის ზედაპირისეული მწვანე ტალღები.

მზე, ვარსკვლავეთით და სავსე მთვარით ნასაზრდოები ვაზის მწიფე მტევანია ფიროსმანი, რისგანაც სრულიად საქართველოს მაცოცხლებელი საამო ბადაგი ჟონავს...

ადამიანი გენია, ანთებული პლანეტაა, მარადიული წვით...

ფიროსმანაშვილი, ხორციელად თუ სულიერად მხსნელ იესოს შეწირული ქართველი წმიდანივით დადიოდა ურთულესთვისებიან, დუმილსავსე მიწაზე. სრულიად უცხო და გენიის კუთვნილებით საკვირველ კოსმოსს ატარებდა უკიდურესად დამუხტული.

ყოველივე ეს პირადი ფანტაზია კი არაა, მხოლოდ სინამდვილეა, წარმოსახვით ნაგრძნობ-მოწოდებული ღვთისნიერ შემოქმედზე, დედამიწაზე, სივრცეში თუ დროში.

ნიკალას განსხვავებული ცხოვრების უბრალო საზოგადოების ყველა წევრს უკვირდა და გრძნობდნენ ძალიან დიდ უცხოობას, ქვეცნობიერად თუ შეგნებით. ხოლო ნიჭიერ-ინტელექტუალნი, გარემოს მოულოდნელობით გაოგნებულნი, თანვე სიახლისგან შეძენილი ინსტინქტით ხოტბას ასხამდნენ ამ უცხოდ მოარულ ჭეშმარიტებას და მის ღვთიურ გენიას. მატერიალურად უღარიბესი, მაგრამ ფიზიკურად უნაკლო ნიკალა, ყოველდღიურად, შეძლებულ-მდიდარ თანამედროვეებზე მეტად, ზღვარდაუდებლად ვარსკვლავეთური ფერწერული საოცრება განძით მდიდრდებოდა, რომელსაც ვერც ოქრო, ფული და ბრილიანტი, სიახლოვესაც ვერ უტოლდებოდა. აი, ვისთან იყო უფალ-ღმერთის და ზეციური ტოტებაყრილი შემოქმედებითი ენერგია...

წუხელის, შუაღამეს, მოურიდებლად გამაღვიძეს სულში გამჭოლმა ზენარმოსახვებმა და პირდაპირ მიბრძანეს: – აიღე ქაღალდი, კალამი და ყოველივე ჭეშმარიტი სინამდვილით ფიროსმანის ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტი დახატეო, რაშიც ქართული უფლისმიერი სიტყვები და ზეენარული შთაგონება ზედმიწევნით დაგეხმარებაო. დიდმა ემოციამ და ჩემმა ცალკე აწრიალებულმა, თითქმის გახელებულმა სულმა მთელი სხეულით, გულით და გონებით ამაწიოკა და ჩემში ნიკო ცოცხლად გაცხადებული დადიოდა. ამ შემთხვევაში ძლივძლივობით გავუძელი სრულიად მოულოდნელ ნერვიულ აგზნებით დატვირთვას. დიდება მზეს, უფალს და კოსმოსს. ეს ჩემი გადამრჩენელი ლოცვაა და მთელი არსებით ვეთაყვანები. აღმატებულ უჩვეულო აზრების წერისას სულიერი ტკივილი თან მდევდა უმოწყალოდ. ოოო! როგორი მძიმეა ამდაგვარი ფორიაქი, მისგან ხომ სრულიად განსხვავებულია სხეულებრივი ტოკვა, რომელიც მიწიერ ტანჯვასთანაა გარდამავალი და პირდაპირი შეხებითი ჭიდილ-პროცესია. ხოლო სულიერი? უხილავ-კოსმიური, თითქოსდა სივრცეში განფენილ-ლეგენდა-მითოსური უმძიმესი მოძრაობაა, მიუწვდომელი და განუსაზღვრელი სიმწვავით, სიახლე-შორეულის ხილვით და თანდაყოლილი სიამის შეგრძნებით, ისევე, როგორც თითქოსდა ახალგაზრდა ჯანმრთელი დედა შობს პირველ შვილს, თავისი გარდაუვალი ტკივილითა და ფარული ტკბობით...

ყოველი მძაფრი განწყობილება აქტიურ-მოქმედი ზემიწიერი სიცოცხლეა...

დროის, სივრცის და კოსმოსის გარემოცვაში, ნიკალა დამოუკიდებელი, უძლიერესი ვარსკვლავეთური ფორმა-განზომილება გახლდათ, უთუოდ ზეძალები მძლავრობდნენ, გრძნეული მხატვრის იდუმალ ქმნილებათა თითქმის ფანტასტიურ შემოქმედებაში.

ნიკალა – ბაჯაღლო ოქრო – თვითნაბადი ბუნებრიობით, ზეციური მადლით ქმნიდა და უფლის უნაკლო იდუმალებას გულწრფელად ავლენდა. მწამს და ჩემეულ აზრებს თამამად გამოვთქვამ, რომ ღმერთივით წმიდა ხელოვანი, გულღია უშურველობას გამოხატავდა, ქვეყნისა და ერის წინაშე, რადგან მაცხოვრისეულ მადლს დღენიადაგ მზესავით ასხივებდა. ზოგიერთი თანამედროვენი კი, როგორც წერენ და ხატავენ ნიკოზე, პირადად არ მჯერა, რადგან თითქმის გამოგონილია ყველაფერი, დიდი მხატვარი ხომ თავისი უიშვიათესი გენიით სავსე-მდიდარი, ზეძალათაგან კმაყოფილ-მდუმარე სიმართლე იყო და ზედმეტი არასასიამოვნო ცხოვრებისეული მოქმედებანი მის ხასიათ-ბუნებაში არ მოიხილვებოდა. უთუოდ მხოლოდ მატერიალურად უღარიბესი და უახლოესი გარემოსაგან არამომთხოვნი ხელოვანი, თავისებურს და შედარებით მარტოხელა, შეუპოვარი თვისებებით უმძიმეს სიცოცხლისეულ და შემოქმედებით ჭაპანს ეწეოდა. სხვა

მხრივ შეუძლებელია, რომ შეექმნა მსოფლიო დონის ფერწერული შედევრები. სენსაციის აღმძვრელად ნიკალას გადამეტებითი მსმელის სახელიც გაუვრცელეს. მიზეზი შემდეგში იყო: მოსიყვარულე გუნების ხელოვანი განსხვავებული ხასიათ-ემოციებით, მუდმივად ხალხში ურთიერთობდა და დაუნახავი თვალით მახინჯად აღქმულ იქნა უსახლკარო სევდიანი კაცის ჩვეულებრივი, თითქმის ველური გენიის კეთილი მოვლენები, რისგანაც ემსგავსებოდა ღრმად მორწმუნე შეწირულ განდეგილ ბერს. ისინი, ვინც ზედმეტად აზვიადებდნენ ყოველივეს, თავადვე ყოველდღე უზომოდ სვამდნენ და ნაყროვანობდნენ. ოღონდ ყოვლად უზრუნველყოფილ ჩაკეტილ უსაქმურ პირობებში. ქართული ნიჭის, პირველადი სრულყოფილი მოვლენა, ნიკო ფიროსმანაშვილი, ვარსკვლავეთური რჩეული გახლდათ, მაგრამ ხორციელ-ფიზიკურ უკვდავებას ვერ უბოძებდა ვერც ერთი სამყაროსეული ღვთიური გავლენა, რადგან ამქვეყნიურ გარდაუვალ შობა, ზრდა-სიბერე გარდაცვალების უმკაცრეს პროცესს მხოლოდ გალაქტიკების ერთობლივი ძალა და დროთა სვლა უმკაცრესი გაანგებს. უშუალოდ და უსაზღვროდ კეთილ უფალს შეეძლო მხოლოდ შემოქმედებითი უდიდესი უკვდავება ებოძა და იქმნა კიდევაც...

ყოველი ჩვენგანი სხეულის უმცირეს უჯრედამდე ხომ განუყოფელი ნაწილია კოსმოსის, მაგრამ ვინ როგორი დონითაა მასთან ჩართული, მეცნიერულად არც ისე ადვილი მისაგნებია; თუმცა გამოცდილი თვალისთვის ზოგადად ხილულია, რა თქმა უნდა, იშვიათნი ამა ქვეყნისა მიუწვდომელ მთლიანობასთან გიტარის სიმივითაა აწყობილი მზიურ ჰარმონიად. თავად ნიკალა უთუოდ მაგდაგვარი განყენებული ნერვ-კაპილარის უშუალობა და ორგანულობა იყო უმდიდრესი პლანეტარიუმისა...

ჩვენი უახლოესი სიღრმისეული თხრობა რბილად ითხოვს, ბრძენთა გამონათქვამი მოვიშველიო: „ჭკვიანი მუშაობს, გენიოსი ქმნის“ (შანი).

ამიტომაც იყო ნიკალა წმიდად მოსული და სახალხო ფერმწერი, ღმერთივით კეთილი – ქმნიდა და ფერ-ტონ-ხაზთა ჯადოსმიერობით, ველური მამალი შაშვის გაზაფხულზე უწყვეტ – ტკბილ გალობასავით თავისუფალ რეგსტ-მუსიკალურ სივრცეში მაამებლად იფანტებოდა, იმდენად – დილის მზის სხივივით ვრცელდებოდა, რომ დედაქალაქიდან შორს, სამეგრელოს ერთ-ერთ მთიან ულამაზეს სოფლამდე სიამით ჩააღწია და... (ეს მოხდა ფიროსმანის, როგორც უიშვიათესი მხატვრის, აღმოჩენა-აღიარებამდე).

ნიკო ფიროსმანაშვილის თანამედროვე, ღრმადმორწმუნე-ღვთისკაც ივანე კეკუას, ისეთივე სარდაფ-დუქანი ჰქონია ძველ ქალაქში, როგორც რამდენიმე სხვადასხვა ეროვნების თბილისელს. თავისი გენეტიკური წარმომავლობითი მდგომარეობიდან გამომდინარე, ღვინით კეთილმა მოვაჭრემ, მამაპაპისეული გვარი საგანგებოდ კიკვაძედ გადაიკეთა. მეგრული წარმოშობის მეღვინესთან, თბილისელი განებივრებული მომხმარებელ-მოქეიფენი შეესაძლებელია ნაკლებად მისულიყო, რადგანაც მათი ურთიერთობა დიონისეს ეროვნულ კულტთან იყო დაკავშირებული, ხოლო შორეული ისტორიული უბედურებიდან გამომდინარე, ძველი კოლხეთის მრავალმხრივი სახელი და დიდება დიდი ხნის წინ, მიწისქვეშეთის და ზეცის ბუნდოვან სივრცეში მიმქრალიყო და ამჟამად მხოლოდ არქეოლოგიას ექვემდებარება.

უკვე ხანში შესულ, მარტოხელა მხატვრის ქართულად გამგებ, უახლოეს მეგობარ ბატონ ივანეს, მშობლიური კუთხის ნოსტალგიამ მწვავედ შეუტია და სევდიანად გადაუწყვეტია თავის მშობლიურ სოფელ ეკს, დაბრუნებოდა. შემდგომ მშვიდად ეწვია თურმე უცხო და ფასებმიუწვდომელი სიმდიდრით. ნიკოს ნაჩუქარი ათამდე სხვადასხვა ზომისა და თემატიკის უნიკალური ფერწერული ტილოები სოფელში უვნებლად ჩაუტანია, შემდეგ წინაპართა უძველესი კოლხურ-მეგრული წაბლის ხის ხუთოთახიანი ოდა, სამი ბუხრით, აივან ჩუქურთმიან ორნამენტით და რიკულებით დამშვენებული, გონსულიერად წარმოვიდგინოთ მზის შუქზე ხის ოქროსფრად მოციმციმე ძველკოლხური სასახლე, ეგზოტიკური ოდა, ნიკო ფიროსმანაშვილის შედევრ სურათების სოფლის საკვირველ მუზეუმად რომ მოუწყვია: ეპოქის, სხვადასხვა ფენის და ხასიათის ძველი თბილისელების თუ მრავალ სტუმარ-მეგობრებთან გადაღებული, უამრავი ისტორიულ-დოკუმენტური ფოტოალბომიც ჩამოუტანია. მისაღებ, მწიფე რქაწითელისფერ ზალაში მუდამ, მრგვალ, მომცრო, მწიფე წაბლისფერ მაგიდაზე მოკრძალებით ელაგა ანტიკვარული ნივთები ვერცხლის დოქით, თხელი, ძველისძველი, ღვინო საფერავისგან ნაცრისფრად ჩამუქებული ფიალები და ძვირფას სტუმრებს, დასავლეთური ცოლიკაურის მომწვანო გამჭვირვალე ღვინით და თბილისური ყაიდის „ზაკუსკით“ ისტუმრებდა. ნებისმიერ გენიას და თავად ნიკალას გამაოგნებელ შემოქმედებას იმ დონის ვარსკვლავეთური მაგიური სხივთა მიზიდულობის მაგნიტური ძალა ჰქონია, რომ ადამიანებს, ხელოვნება გაეგებოდათ, ესმით თუ არა, თვითნებურად დიდი და პატარა, ბატონი ივანეს მეზობლები და ახლო სოფლებიდანაც სურათების დასათვალიერებლად უწყვეტ ნაკადად ჩამოდიოდნენ. ერთ მშვენიერ, სხივნათელ დღეს, სენაკის ყოფილი მაზრის მწერალი, აზნაური ნიკო ადამია, უმცროს შვილთან, მიხასთან, ერთად სტუმრებია ბატონ ივანეს. მეგობრული ურთიერთობით და დიდი ხელოვნების მადლის ზიარებით, ვარსკვლავიან-მთვარიანი ზღაპრული ღამე გულჩამწვდომად სიამით ერთად გაუტარებიათ.

ნიკო ბატონი საქვეყნოდ ცნობილი, ღრმად განათლებული მწიგნობარი გახლდათ. იმ ღამეს, ნიკალას შემოქმედებით ამაღლებულს და მეცხრე ცაზე გაჭრილს, შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის, შეუდარებელ ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის, აკაკი წერეთლის, რაფიელ ერისთავის, იაკობ გოგებაშვილის და მრავალ ქართველ თუ უცხოელ მწერალთა ნაწარმოებები და, აგრეთვე, მეგრულ-ლაზური ტკბილხმოვანი ლექსები ზეპირად წაუკითხავს. ამ უზარმაზარ ხელოვანთა გვერდით, სახალხო მოვლენა ფალავანზე, ნესტორ ესებუაზეც ჰქონიათ საინტერესო საუბარ-მოგონებები და მამაკაცური მშვენება, თბილისური ყარაჩოხელები და კოლორიტული კინტოებიც არ გამორჩენიათ. მათ უჩვეულო სერობას სოფელ ეკის ორი მასწავლებელიც ესწრებოდაო და, აგრეთვე, ძველი, ქანდაკებასავით ნაძერწი სახის ნააბრაგალი, მწერლის მოგვარე, უკვე ასაკოვანი და ფრიად საინტერესო პიროვნება, ხალხში განსხვავებული კაცურ-კაცობის გაგებით; თუ კითხავდნენ მას, ვის ებრძოდიო, – უხეირო დროსო, მოჭრილად პასუხობდა თურმე...

მდინარე წაჩხურას კალმახივით, ალაგ-ალაგ, მზის სხივებამომსრიალე ცინცხალი ალიონი, ნიკალას სურათების და გენიალური ქართველი თუ უცხოელი მწერლების მოგონების გარემოცვაში შემობატონდა, მადლასხმულ ხალისიან დილას; კეკუების საპატიო სტუმარი, თავის ყმაწვილითურთ, უაღრესად ნასიამოვნებ-კმაყოფილი შავ-ლურჯი, ქართული ხალიჩებით გაწყობილი ფაეტონით სენაკში გამგზავრებულა; ამ კუთხის ნააბრაგალს კი მწერლისთვის სამახსოვროდ უძველესი, ვერცხლის ქარქაშიანი სატევარი გაუტანებია...

თითქმის ნებისმიერნი, ვინც იხილავდა ნიკოს ეკისეული უნიკალური კოლექციის ფერწერას, უსიტყვოდ გარინდულნი და ერთ მუშტად შეკრულნი ისე შეჰყურებდნენ, როგორც უცხო ზეციურ-მხსნელ ხატ-მოვლენას.

უძველესი ქართულ-კოლხური მიწა კი, ისტორიითა და არქეოლოგიური ნიმუშებით გაჯერებული, თავისთვის მდუმარედ ფუსფუსებდა და, ვინ იცის, მოვლენა ფიროსმანის შედევრები როგორ უხსოვარდროინდელ წარსულს ახსენებდა...

სოფლის ეკლესიებს და ფერწერულ უძველეს სალოცავ ხატებს, რელიგიური რწმენა, ცოდნა, განათლების გარდა, მრევლთა უმეტესობას მხატვრული ფერწერული სურათების აღქმაშიც ეხმარებოდა. მაგ ქრისტიანულ სხივოსან დროში და უკვე სახელოვან სოფელ ეკში, ორი მართლმადიდებლური ეკლესია მოქმედებდა და მორჩილ მრევლად ქცეული ხალხი ძალიან ახლოს იყო სალოცავებთან. ამიტომაც ბატონ ივანე კეკუას ოჯახში მოწადინებით ხშირად დადიოდა თითქმის ყველა სოფლელი, თავადი იქნებოდა, აზნაური თუ გლეხი, ნიკო ფიროსმანაშვილის ნახატების დასათვალიერებლად და უცხო მოულოდნელობისგან, როგორც მოგახსენეთ, გაოგნებულნი ვერ გარკვეულიყვნენ, რომელ ზეციურ თუ უფლის მიერ მოვლენასთან ჰქონდათ სულიერი შეხება. უთუოდ პიროვნულად ყოველ მათგანში მყოფი ის იდუმალი, ეროვნულ-პიროვნული შინაგანი ხასიათის და ფერფორმისეული სახის სულიერი ინტუიცია, ნიკალას ფერწერაში მზესავით იყო გაცხადებულ-ანთებული. როგორ ერთ მუშტად შეკრავს ხოლმე დიდი ხელოვნება სხვადასხვა ზნეობისა და ხასიათის ადამიანებს. უთუოდ მაღალი შემოქმედება ყველაზე დიდი და ეფექტური საშუალებაა ხალხთა გამთლიანებისა და სულიერად გასპეტაკებისა...

არიან ადრეული და ბოლო საუკუნეების თანამედროვე მსოფლიოში აღიარებული მხატვრები და მოქანდაკეები, რომლებიც თავიანთ შედევრებს უფრო პირადი აზროვნებით და გარემო სივრცისგან ნაბოძები წარმოსახვებით ქმნიან. ბუნების თვითნაბად არქაულ ფორმათა ღვიძლი შვილი ნიკალა, ყველა მათგან უაღრესად განსხვავებული და სუფთა ნიავთ-განწმენდილი, გულმართალი ხალასი გენიაა. მხატვარმა დედაბუნებასთან ერთობლივად შექმნა ყველასაგან განსხვავებული პირნათლად ალალი, ინდივიდუალური, სტილ-ფერთა შედევრები. გარემო, კოსმოსი, ქართული რეალურ-ირეალური სამყარო და ღვთიური მეხსიერება ქმნიდა ფერმწერის ფუნჯით საოცრებებს. ნიკალა, თავისი ზეციურობით სავსე, იესო ქრისტესავით უწყინარი ყოვლის და ყოველთა კეთილ-მოყვრული იყო და ფერთა მეოხებით ბულბულივით ხმო-

ორაგულივით...

ვან-ჟღერად-საამო; ჩვენგან უახლოეს მიწიერად რომ გამოვხატოთ, ნიკო ფიროსმანაშვილის მოვლენაა წმიდა-ნურ-ზნეობრივი არსება, უერთგულესი მონადირე გვიანი შემოდგომის ჩალისფერი მწევარივით და წმიდა გიორგი კაბადოკიელის, მარადმორჩილი, ჭკვიან-მსრბოლელი თავადვე ყოველივეს მიმხვედრ-შემსრულებელი თეთრი რაშივით გახლდათ რათა მათ, პატრონთათვის თავდაუზოგავ, ბუნებრივ, შრომა-მეცადინეობის მერმე, უახლოესი მეგობართაგან ნამცეცისოდენა სამაგიერო, არასოდეს მოუთხოვიათ, რაშიც მზისა და მთვარის ზნეობრივ ვარსკვლავეთური ხასიათ-პირდაპირობაა...

ნათქვამია, ზედმეტი სიმდიდრე-

ფუფუნება სულიერად რყვნის ნაღდ შემოქმედს, მაგრამ ნებისმიერ მოვლენილ ხელოვანს აუცილებელი და ყოველდღიური პირობები ჟანგბადივით სჭირდება ისე, როგორც შენირულ წმიდანებს.

როგორც მოგახსენეთ, დიდი ნიკალა ქვეყნისგან, საკუთარი ერისგან და უახლოესი გვერდით მდგომი ხალხისგან, ზედმეტს არასოდეს არაფერს ითხოვდა, პირიქით, ქვეყნიურ ბოძებულ უმდიდრესობას მხოლოდ მზესავით უანგაროდ ყველას გასცემდა... არაა მართალი, მავანნი რომ წერენ თუ ეკრანებზე აჩვენებენ, ცის ფრინველივით კეთილ-მგალობელი ფერმწერისგან, თითქოსდა, ფიზიკურად აწრიალებული, აღიარება-ჯილდოებს ითხოვდაო, უმართებულოა – ამდაგვარი ხელოვანის შეცოდებით მკითხველს თუ მაყურებელს იზიდავენ, რათა, იციან, ადამიანთა უმეტესობა ხომ სევდისკენაა მიდრეკილი. უთუოდ ნიკალას სულს ისიც არ აღელვებს, რომ მისი განსასვენებელი ადგილი არსად არ არსებობს. როგორც ზემოთ გიამბეთ, ნიკალა ხომ სრულიად საქართველოშია ხორციელ-სულიერად მარადიულად შეკავშირებულ-ჩაფლული... როგორც თამარი, რუსთველი და კოლხი მედეა, ყოველი მათგანის მაცხოვრისეული ყოფნაა ყველგან...

რაც ნიკო ფიროსმანაშვილმა კაცობრიობას და საქართველოს უსახსოვრა, შეუფასებელია. უთუოდ მხოლოდ ერთი სურათის ფასი, ხუთ მუზეუმს აუშენებდა ნიკალას, მაგრამ სიმართლე ხომ დამარხულია და ვინმე დიდ არქეოლოგს ელოდება...

ადამიანის ამქვეყნიდან გარდაცვალებით გასვლა კოსმოსური განახლება ხომ არაა, მძიმე და რთული?!

ველური ნებით ფუტკარ-მხატვარი, ამ უჩვეულო სახის სიკეთითვე ამდიდრებდა თავის ქვეყანას და სრულიად მსოფლიოს... ნიკო ფიროსმანაშვილთან, ფერთ წარმოსახვათა საკვირველი უცხო მოვლენა, იმდენად დიდი და მოზღვავებული იყო, რომ მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრება, სიახლე მოულოდნელობათა სულიერად გარემოცვაში გაატარა; დიდ ხელოვანს თავისი თავი ბოლომდე არ ჰქონდა გათვითცნობიერებული თუ არა, უთუოდ, როგორმე იხსნიდა დამოუკიდებელსა და განსხვავებულ უსასრულობისფერ გენიას უსულგულო და მასთან შედარებით, ბევრად დაბალი ზნეობის საზოგადოებისაგან.

სამწუხაროდ, უბადლო ფერმწერის თანამედროვეებმა კი, ახალშობილივით შიშველ მხატვარს (თავისი შედევრებისეული სიმდიდრე უკლებლივ უკვე გაცემული ჰქონდა) სიცოცხლეშივე და სიკვდილის პირას მისულ შემოქმედს სულიერ-მატერიალური პატივი ჩვეულებრივ ადამიანურადაც არ აღირსეს, და მგალობელი სათნოდ მიმქრალი შავბუმბულიანი შაშვივით გაძარცულ-გამხმარ თავის ბუდეშივე უმოწყალოდ ჩატოვეს. თუმცა ამ ღვთივგაჩენილ მგალობელ ფრინველს ცისქვეშეთური საუფლო ბუდე, ჩვენს სასახლეებს და ქარვასლებს ბევრად ურჩევნია... მოვლენით გარდამავალი მხატვრის გარდაცვალების შემდგომ ცხოვრებისეული წვრილმანებით დაკავებულებმა საკუთარი კი არა, მიახლოებითი სამარეც არ მიუჩინეს, იმას კი ვერ მიხვდნენ ის უბედურები, შემოქმედ უფალმა თბილ-კეთილ მოსიყვარულე ნიკალას სამარე-აკლდამად თუ პირამიდად, როგორც მოგახსენეთ, სრულიად საქართველო მიაკუთვნა. ტყუპისცალივით იგივე ბედი ეწია ადრეული ხანის საოცრება-შემოქმედს, გენიალურ რუსთაველსაც. ეჭვგარეშე ნაფიქრალია, სადღაც ქვეყნიერების ზეენარულ კანონ-ნუსხაში, კოლხურ-იბერიულ სივრცეს, მედეა, რუსთველ-ფიროსმანისეული მიწა ჰქვია...

რამდენიმე წელი პარიზში, საფრანგეთის მიწვევით შემოქმედებით მივლინებაში ყოფნისას, სხვადასხვა მუზეუმებში შედევრების წინ მდგარმა, დავწერე ნაწარმოებები უდიდეს მხატვრებზე, მოქანდაკეებზე; ყოველ შედევრში სიღრმისეულად ვურთიერთობდი და გარკვეული გამოცდილება დამიგროვდა (ამიტომაც გავბედე, ლიტერატურული ნაწარმოები შემექმნა ფიროსმანზე), მათგან რამდენიმეს მოვიხსენიებ: ლეონარდო და ვინჩის მარადიული ქმნილება „ჯოკონდა“, მიქელანჯელოს „მიჯაჭვული მონები“, მოვლენა – ფერმწერი ვან-გოგი, მხატვრული გემოვნების სიმბოლო მოდილიანი, რენუარი, ტიციანი, პიკასო, კანდინსკი, მოქანდაკე როდენი, ბურდელი, მური, უბადლო ფერმწერი მატისი, ხუან მირო – ოცდაშვიდ თუ მეტ მხატვარზე შევქმენი ესსეები და გამოვეცი კრებული ერთ წიგნად: „შედევრები და მარადიულობა“. რა თქმა უნდა, ყველა მათგანს აქ ვერ მოვიხსენიებ, რადგან ვშიშობ, არ დავაზიანო ჩვენი მნიშვნელოვანი ნაწარმოების ფაბულა-არქიტექტონიკა. უმჯობესია, მეგობრებო, მივყვეთ ფიროსმანის შემოქმედებით მთლიან სულიერ სხეულთა უნაზესი და კონკრეტული, უკიდურესად მეტყველი ორგანიზმის ძირეულ განხილვა-გაშუქებას. დამოუკიდებელი ხედვით, გონებით, სულიერად ნელ-ნელა შევდივარ ფერმწერის ურთულეს სილამაზისეულ ფერადოვან უნაზეს ლაბირინთებში და შეძლებისდაგვარად ვეცნობი ფერთ-ლაქებით მობრილიანტებულ სულჩადგმულ უმშვენიერეს ტონალურ სივრცეს. წმიდათაწმიდა უხილავი ქართული ხასიათ-კოლორიტით და ყოველი ფერის ჟღერადობით თუ ნიუანსური გარდამავლობით. რამდენადაც უფრო ვუახლოვდები ნაწარმოებთა ცოცხალ ორგანიზმში, უფრო მეტად ვლინდება უღრმესი ხალხური უძველესი ფილოსოფიის წარმოუდგენელი მისტიკა – უძირო, რომელიც სივრცისმიერი ეროვნული ცისა და მიწის უნაკლო მისეული ფერებით იწერება და ფერთა ურთიერთთამამი ჰარმონიით იძერწება. ისევ და კვლავ ვცდილობ ქმნილებათა მიუწვდომლობაში თავდადებით ჩავაღწიო, ყოველ ფერწერულ ნიუანსს სათუთი გრძნობით მოვეფერო და ჩემს წინ მატულობს თვალთგონების და ნერვიული ხედვის უცხო ნათება, მერმე, რაც შეიძლება ვაძალებ თავს და ისევ იმატა ცისარტყელას შუქთა სიკაშკაშემ, შემდეგ უკიდურესად აენთო გენიის უმთავრესი მზე და მისმა მოძალებულმა სხივებმა მოურიდებლად უკანვე დამახევინა, უკვე შეუძლებელი იყო გონებრივი ხედვაც და ვტოვებ ნიკალას მრავალშრიან შემოქმედებით მიუვალ, მართლაც ღვთიურ სივრცეს: აი ამდაგვარია, მეგობრებო, ჩვენი გენიის სულიერ-ხედვითი, შემეცნებითი და გამომხატველობითი ფერთდაბინდული სურათის სხეული, რომლის თავიდან ბოლომდე ჩაწვდომა თავად ავტორსაც გაუჭირდებოდა, რადგან, თურმე, ღმერთი ყოფილა მთლიანობაში პატრონ-მიმხედვარედ მასში ჩასახლებული. ნიკალას შემოქმედება მიუწვდომლად წრიულია და, ნუ გაოცდებით, შედით მის სივრცეში, თუ უძლურობას იგრძნობთ, მშვიდად თქვენც გაეცალეთ... ქვეყნიერების მარადისობის უფალს და მის განძს კი ვერავინ ეახლება რაც გინდა ნიჭიერ-თამამი ვიყოთ, თუნდაც, ღრმად მორწმუნენიც. ჩამავალი და ამომავალი მზის განწყობილებისაა ხელოვნების ნებისმიერი სახეობის შედევრი, თითქოსდა ახლოს ხარ მასთან და ძლიერი სურვილი გაქვს უფრო მეტად მიახლოებისა, მაგრამ უსაზღვრო მიუწვდომლობაა და შეუძლებელია მისთვის ყოველმხრივ თვალის გასწორებაც კი, როგორც უფალთან, და მაინც ღმერთის უფრო მეტად წარმოდგენითი მიახლოებითი პოვნა-ხილვა, ზოგადად ყველა შედევრშია შესაძლებელი: თითქოსდა,



თუ სინამდვილეში, ილუზიურია მისი უდიდებულესობის რეალური სახება ჩვენთვის. მხოლოდ ხელოვანის საოცრება ნაწარმოებებში ნება-ნება ისვენებს უფლის უდიდესი და აღმატებული ორანი, რომელიც იქაც იდუმალ უსასრულო მოძრაობაშია. დაახლოებით ამდაგვარია სამყარო – უფალი, მზე, ვარსკვლავეთი და ხელოვნების ნებისმიერი ქმნილება-შედევრი... ცხრა ნეტარებითი სიცოცხლეც არ გეყოფა, გენიალურ ნაწარმოებს ბოლომდე რომ ჩაწვდე. მაგალითისთვის ჩაიკოვსკის პირველი კონცერტის შემსრულებელმა, უნიჭიერესმა პიანისტმა, ათასჯერ რომ დაუკრას ინტელექტუალური მაყურებელ-მსმენელი საზოგადოების წინაშე, ათასმეერთეჯერ მაინც იტყვის ერთგული და პატიოსანი მუსიკოსი, ამ კონცერტზე, ალბათ, უფრო მივუახლოვდები კომპოზიტორის მიუწვდომელ გენიასო, მაგრამ ისევ...

ასჯერ და ორასჯერ რომ წავიკითხოთ ნიკოლოზ ბარათაშვილის მოვლენა-ლექსი „მერანი“, აქაც, თითქოსდა სამყაროს სულიერ სიბნელეში მიუწვდომლობისგან მშიერნი დაფარფატებენ. ამ ფორმისაა უფალ-ღმერთის ნებისმიერი ქმნილება. და, გული ნუ დაგწყდებათ ჩვენეულ უძლურებაზე: იტყვიან, ადამიანი ყველაფერში და ყველაფრის მიმართ ძლიერიაო, მაგრამ სამყაროს, ვარსკვლავეთის, კოსმოსის და უფალთან მიმართებაში მთლიან სუსტი და ძალაუნებურად მორჩილი ქმნილება-არსებაა...

ეტყობა, ზოგ, უმთავრეს შემთხვევაში, მხოლოდ წარმოსახვები არ გვყოფნის, ალბათ ის ძალიან შორეულიდან გვეგზავნება, რომელსაც აზრთმიუწვდომლობის განმარტებები არ ახლავს. რა კარგი იქნებოდა, უფალი რომ გვამცნობდეს ჩვენთვის აუცილებელ ურთულეს ინფორმაციას, როგორც „ათი მცნებით“ ზნეობრივად სამუდამოდ და უსასრულოდ რომ გაგვამდიდრ-გაგვანათლა. უზომოდ ბედნიერები ვიქნებოდით, ნიკალასავით გენიათა ქმნილებებიც ძირითადად ღვთიურად განეხილ-გაერჩია ჩვენთვის და მთავარი ეწყალობა. ეჭვს გარეშეა, ამქვეყნად უაღრესად განათლებულები ვიქნებოდით, მაგრამ აქაც მხოლოდ უზენაესის იდუმალებათა საიდუმლო მოუსვლელობაა, ცის ხმა გვამცნობს, ალბათ, ასეაო საჭირო...

ახალგაზრდობიდან ფიროსმანზე ბევრს ვკითხულობდი, ხშირად დავდიოდი მუზეუმში; განსაკუთრებულად ქართული ფრესკებით, ორნამენტით, ჩუქურთმებით, ხატ-მინანქრით, საოცრება ნაქარგობით, ჭედურობით, ფიროსმანაშვილით და გუდიაშვილით ვიყავი გატაცებული, მთელი არსებით ვეთაყვანებოდი როგორც უძველეს ქმნილებებს, ასევე მათ ფერწერულ გენიას. უკვე პროფესიონალი მხატვარი, სოფლად რომ ჩამოვდიოდი მშობლიურ ძველისენაკში, თითქმის ყოველდღე, ირგვლივ გარემოს პეიზაჟების სახატავად დავდიოდი – ავტობუსით, სატვირთო მანქანით, ურმით თუ ფეხით. ვხატავდი როგორც სენაკის რაიონის სოფლის მოტივებს, ასევე მარტვილისას. სიხარულით მახსენდება, სანამ თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი გავხდებოდი, მანამ სწავლა დავიწყე სოხუმში, სამხატვრო სასწავლებელში. ერთხელ, ფიქრებში ჩართულს, ცხელ აზრად მომივიდა, ძველისენაკის მთებს გაღმა მდებარე სოფელი კვარჩღალი დამეხატა. უთენია ავდექი, თითქმის ბნელოდა, ავიღე „ეტიუდნიკი“, ჩემს მიერ დამზადებული საშუალო ზომის ტილო და გავეშურე ფეხით. გადავიარე საუნანგეროს მთა, შევედი ადამიებისა და გუნიების სოფელში (ამჟამად, საუბედუროდ, ნასოფლარია იქაურობა), მაგრამ ვერცერთმა მოტივმა ვერ მიმიზიდა და შეუსვენებლივ დავადექი უცნობი ეკისაკენ მიმავალ საცალფეხო ბილიკს, იქიდან თითქმის ხუთ კილომეტრზე მეტი ვიარე. მაშინ სოფელი ეკი პირველად ვიხილე და ძალიან მომეწონა თავისი მიმზიდველი, ზომიერი მთა-გორებით, ლამაზად მოწყობილი ეზოებით, ოდებით; ზოგან ყავრით იყო გადახურული. სხვადასხვა ზომისა და მოცულობის კერიის კვამლისგან გამუქებულ-გაშავებული სამზადისები, თითქმის ყველა ისლით მჭიდროდ დაფარული: ამ მშვიდ სოფელში მზე ლაღობდა იმ დღეს და, ბოლოს, ერთ-ერთ ულამაზეს, ეგზოტიკურ ეზო-სახლკართან შევჩერდი და მფლობელისგან ნებართვის აღების შემდგომ, მოტივი შეძლებისდაგვარად, დავხატე; სწავლის დასაწყისშივე ხომ ჩემში იჩინა პეიზაჟისტის ჩვეულებრივმა ნიჭმა და ძალიან არ გამჭირვებია. ამ ფართომინდვრიან ეზო-კარიან ოჯახში საამოდ მოფუსფუსე მასპინძლები შესანიშნავი, აღაჟღაჟებული სახის, ენერგიული მამაკაცი – ბატონი სამსონ კეკუა და სანდომიანი შეხედულების ქალბატონი, მეუღლე ნინა, დღის ბოლოს თბილკაცურად გამიმასპინძლდნენ და დამაპურეს კიდევაც...

იმ დღეს ღმერთმა ასე ინება, როგორც მომავალ მხატვარს, უნდა მეხილა ის იდუმალი სოფელ-ადგილმდებარეობები და უშუალოდ გვარად კეკუებს ვსტუმრებოდი, რათა ფიროსმანაშვილის შორეულ ტრაგიკულ ლეგენდას ფარულად უკვე აქედანვე შევხებოდი და ღვთის ნებითაც სამომავლოდ მართებულად წარიმართა ყოველივე.

მის მერმე წლები გადიოდა, კვლავინდებურად ჩემი კუთხის სოფლების ისტორიული ძეგლებით, ოდებით თუ თანამედროვე მოტივების ხატვით ვიყავი გატაცებული. უფრო ზაფხულობით, თბილისიდან მშობლებთან ჩამოვდიოდი შვებულებით, იმჟამად ხელოვნების მუზეუმში, აკადემიკოს შალვა ამირანაშვილთან ვმუშაობდი მხატვარ-რესტავრატორად. ერთ-ერთ მზიან ზაფხულს სოფელში ვარ ჩასული, ხან ვთოხნი ჩვენი ეზოს ყანას, ხშირად კი ვხატავ და მშობლებმა მითხრეს, ჩვენმა მეზობელმა, ნინუცა ბარკალაია-ანთელავამ, სახლ-კარი გაყიდა, სოფელ ეკელებმა, შესანიშნავმა ხალხმა, კეკუებმა შეიძინეს და ხშირად ცოლ-ქმარი შენ თბილად გიხსენებენო. რა თქმა უნდა, მერმე სიხარულით შევხვდი მათ. ახალმოსახლეებს ახლომეზობლობა დავულოცე და უკვე ღრმად ასაკოვან ჩემს ეკელ ყოფილ პურმარილიან მასპინძელს ვეკითხები: – ბატონო სამსონ, ფრიად საინტერესო და ისტორიული თბილისელი მიკიტანი ივანე კეკუა რა იყო თქვენი-მეთქი? – მკვიდრი ბიძაშვილია, ჩემიო, რომ მითხრა, სიხარულისგან ავღელდი, ბატონი ივანეს შესახებ თუ მომიყვებით როდისმე, რომ გთხოვოთ-მეთქი. – კი, შემოგევლეო, – მიპასუხა, – ის ხომ შენი კოლეგის, დიდი ფიროსმანის მეგობარი ბრძანდებოდა, იმ შეუდარებელი მხატვრის ათამდე სურათი ჩვენთან ინახებოდა, ეკშიო.

შემდეგ, ისევ განვლო გარკვეულმა დრომ. დიდი პატრიოტისა და მამულიშვილის, მერაბ კოსტავას გარდაცვალების მერმე, ქართველთა ოცნება – ეროვნული მოძრაობიდან წამოვედი და შევუდექი, შემოქმედებასთან ერთად, ჩემი სოფლის, კომუნისტებისგან გავერანებული მაცხოვრის სახელობის გუმბათოვანი ეკლესიის აღდგენას, რაშიც უდიდეს თანადგომას მიწევდა უწმინდესი ილია II და ქორეპისკოპოსი, მეუფე კონსტანტინე (მელიქიძე). რაიონის ხელმძღვანელობა და ძველი სენაკელების აქტიური თანამშრომლობაც უთუოდ საქებარი იყო ეკლესიისთვის და ჩემთვის... ერთ მნიშვნელოვან დღეს, ას წელს მიღწეულ სამსონ კეკუას, თავის ჭიშკართან შევხვდი, მოხუცი ყოჩაღად გამოიყურებოდა. მივესალმეთ ურთიერთს. – კარგი გამარჯვება იყოს, ბაბა, შენიო, მომმართა. ბატონი სამსონის სახლ-კარი ჩვენგან სამასი-ოთხასი მეტრითაა დაშორებული. კაცური მორიდებით ვთხოვე ღიმილით მდიდარ ბატონ სამსონს: – ხვალ შეგიძლიათ ოჯახში გვეწვიოთ, ეზოში კარგ ყვავილნარს დაგათვალიერებინებთ და, თანაც, მოგონებები ჩავიწეროთ ნიკო ფიროსმანაშვილზე და საქებარი ივანე კეკუას ურთიერთობის თაობაზე-მეთქი. – კი, შურიგე (სულო), გესტუმრებით – ხალისით მომიგო.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ავთანდილ ივანიძე

არ გაგიკვირდეს

მაოგნებს, ნაზს და ასე ვნებიანს,
მაგ ყელს შორიდან როცა ვუცქერი...
ანდა ეგ შენი ბაგეებია,
თუ უნაზესი ვარდის ფურცლები,
ვეტრფი შენს მზერას და ვეფერები,
ბინდისფერით რომ არის ნაზავი...
და მიყვარს შენი თეთრი ხელების
ნაზი შერხევა მტრედის ფრთასავით.
განსაცდელშია სამშობლო როცა,
დღესაც განგაშის ზარებს რომ რეკენ,
ო, უნაზესო! მე ისევ გლოცავ,
მამულს რომ უზრდი ალგეთის ლეკვებს.
და ახლა ვდგები ნარიყალასთან,
როგორც დააბჯრულ ქართველს შეჰფერის,
ვარ გმირი: მართლა, ანდა - ანაზდად,
ქართველი ქალის დამფასებელი.
არ გაგიკვიდეს, თუ სევდაც მახლავს,
ზოგჯერ მიზეზი არის მოწყენის...
იმ ქართლის დედას გადარეკ ახლა,
მთელ საქართველოს რომ გადმოსცქერის.

ხალხური მოტივებიდან

ქალო, ყვავილი უფრო ხარ,
დედაბუნების ნახატი,
ემაგ წამნამთა ჩეროდან
მეგონა დამინახავდი.

კაცს (თუმცა მაინც არ მჯერა)
ღუპავს გრძნობების აყოლა;
იმისი მზერა გაჩვენა
ვინც თვალი გამოგაყოლა.

კრთის მაგ თვალების გიშერი,
აბა, შენ ვინ და მე ვინა...
ღმერთი უშველის, ვინც შენით
თვალს წყალი დაალევინა.

ღამით

ღამეა და არემარეს
ჩვილ ბავშვივით მშვიდად სძინავს,
გალეულა დარდით მთვარე:
– რა მოელის დედამიწას?

დროა ისევ ბრძოლის, დავის...
ქართველი რომ ველარ ხარობს -
რა იქნება ხვალ ნეტავი?
რაზე ფიქრობს ეს სამყარო?

გახვეულან ბინდში მთები,
გულზე აწევთ დარდი მძიმე:
ვარსკვლავებო, რას გვპირდებით,
თვალები რომ გიციმციმებთ?

რა პასუხი გავცეთ, რიდით
მომავლიდან მოსულ მსტოვარს, -
რომ ვერაფრით გავუფრთხილდით
მამა-პაპის დანატოვარს.

ქართლის დედავ, მთვარის შუქზე
თეთრ მანდილს რომ მკრთალად აჩენ,
კიდევ ერთხელ გაგვიზარდე,
ვინც ქართულ გენს გადაარჩენს!

მოგვაცილე დარდის სალტე,
სინამდვილედ იქცეს მითი...
კიდევ ერთხელ გაგვიზარდე
გორგასალი, ან დავითი!..

უფალმა ასე ინება

უფალმა ასე ინება:
არ გვაჩნდეს წყლული სატკივრის,
ცოცხალს, მკვდარს, „ქვეყნის დინებას“
მისცა თავ–თავის ადგილი.

მიწაზე ხარობს ბალახი...
ძირს სნუხარ, რითი გაგართო, –
ჩიტო, მაშინ ხარ ფრთალაღი,
როცა ზეცაში ნავარდობ.

წყლიდან ნუ ხტები, იმედი
ნუ გაქვს ცისა და ქანდარის,
თევზო, ფორმა გაქვს ისეთი,
შენი ადგილი მანდ არის.

კაცს ხიბლავს მიწის სიცხოვლე,
აქ ხვდება უცხოს, ნათესავს...
იგი ვერც ცაში იცხოვრებს,
ვერც წყალში მოხნავს, დათესავს.

გულს ფარავს მკერდის ფიქალი,
საქმე ეწყობა მეფურად:
„იმის სამოთხე იქ არის,
ვინც სადაც დაბადებულა“.

სანუთრო

სიცოცხლიდან სიკვდილამდე
ერთი, ბეწვის ხიდია.
ძალით მიჰყავთ ხიდთან, ზოგნიც
თავის ნებით მიდიან.

ვარსკვლავები განაგებენ,
მარსია თუ მარიხი...
იქ სწერია დაბადების
და სიკვდილის თარიღიც.

შენ სიცოცხლე უწოდე და
სიზმარია პატარა...
და რომ გვიჭირს საწუთროში
ერთმანეთის გატანა, –
უხარია ჩვენს მტერსა და
უხარია სატანას.

ანგელოზი ხარ

გნახე და მაშინ გათენდა
ჩემთვის, გიყურებ როცა, –
ხატის წინ სანთელს ვანთებ და
შენს დაბადებას ვლოცავ.
ისეთი შეგქმნა განგებამ,
სიტურფე – განაცვიფრები,
ველარას გეტყვი საქებარს,
უფალს ვერ გავეჯიბრები.
არც შემინდობს და არც ვითხოვ, –
ღმერთი ზვარაკად ამირჩევს...
ანგელოზი ხარ და თითქოს
ხატიდან გადმოაბიჯე.

***

უნდა ვირწმუნო,
რომ აღარსად აღარ მელიან,
თუმცა ეგ ყელი
ჩემთვის თეთრი მთის ჩანჩქერია.
თუმცა სხვისი ხარ,
მავიწყდება, რომ ვარ მოვალე –
არ გავეკარო შენი მკერდის მაღალ ოვალებს,
მაგრამ დამტანჯავს
მოლოდინი უიმედობით, –
ბედის განაჩენს
არ ვმორჩილებ, რომ არ ვენდობი.
რომ არ მიყვარდე
მაშინ ღმერთი ჩემი ნეკნიდან
შენს სილამაზეს,
შენს ხატებას ხომ არ შექმნიდა.
შენ ყვავილი ხარ,
სამშვენისი მწვანე მდელოა,
რომ არ მიყვარდე...
საკვირველი ის იქნებოდა.

***

(ნ. ი.–ს)

ველს შვენის ვარდის სვირინგი,
ყაყაჩოსფერი გზებია...
დებო, ოცნების ბილიკით
საითკენ გაგიწევიათ.
სიამით შეიფრთხიალა
გულმა, რა ბედი მწვევია, –
ვიფიქრე, დები კი არა,
ირმები მოირწევიან.

გულო, დამშვიდდი, ჩიტივით
რად გსურს რომ მაღლა იფრინო...
იმ ერთ დას ისე ვუყურებ,
როგორც გნოლს თეთრი მიმინო.

სენი ყოფილა პოეტის, –
ვინც გვიყვარს, რას არ ვადარებთ
და მის ხატებას ყოველთვის
ავგაროზივით ვატარებთ.

ქართლის გზებზე

ქართლში ვაზებს დახვევიან ფუტკრები,
გზის პირებზე ცეცხლოვანი ანწლია...
მხოლოდ მაშინ დაგივიწყებ, თუ მტრები
გულს მკერდიდან ძალით ამომაცლიან.

შენს მშენებას ვიცი არ აქვს სამანი, –
თითქოს ქართლის გზებზე დადის ფერია;
სილამაზე სიყვარულს შობს... და მაინც
მისი მტერი და მოშურნეც ბევრია.

***

უაზრობაა, ვამბობ სწორედაც,
ამ წვრილმანებზე ატყდეს ხმაური, –
მერე რა?! თუკი მომეწონე და
შეგხედე, გითხარ ქათინაური.

აქ ყველაფერი მშვენიერია:
ზურმუხტის ველი და მწვერვალები;
აქ ყველა ქალი არის ფერია,
ცისკრისფერი თუ შავი თვალებით.

დედას, დას, სატრფოს რომ უგალობოს,
ამ ჩვევას კაცის გულში ვერ მოშლი.
ძეგლს,
ძეგლს უდგამენ ქართველ დედას და...
ქალს ადიდებენ საქართველოში.

უაზრობაა, ვამბობ სწორედაც,
ამ წვრილმანებზე ატყდეს ხმაური, –
მერე რა?! თუკი მომეწონე და
მინდა შეგამკო ქათინაურით.

***

ლოცვა, ვედრება სიმშვიდეა ისევ ჩვენივე,
რომ ვეძიებდეთ ყველაფერში ნაზს
და მშვენიერს.
ნუ მივაკუთვნებთ არსებობას უცხო მირაჟებს,
ჩვენი სიცოცხლე ვედრებაა უფლის წინაშე.

***

ადვილად განდევნი
დარდს, განცდას სიმწარის,
მანამდე იცოცხლებ,
ვიდრე გაქვს მიზანი.

თუ სევდა ფიქრებში
ხვლიკივით მოძვრება, –
გულს გაგიხალისებს
და გიხსნის ოცნება.

შრომით და სიმშვიდით
შეიქმნი ბარაქას,
ნუ შეუშინდები
ფლიდსა და არაკაცს.

არა, – განსაცდელში
მოგვრილი სიხარბე,
ქმნა სიკეთის და...
მამული გიყვარდეს.

***

სხვისი ხარ, არავინ დამითმობს
შენსას არაფერს მისხალსაც...
აქ დამნაშავე ვინ არის,
ან დანაშაულს ვინა ზღავს?
ჩემი ცხოვრების გზა-შარა
მიქცია კლდე-ღრედ, ორწოხად...
და მაინც ბედნიერი ვარ,
რომ გიყურებ და მომწონხარ.

***

ახალგაზრდობა მოდის, ამრავლოს
ღმერთმა, ჩვენ წავალთ, რა შეგვიძლია...
და რომ სამყარომ არ იზარალოს, -
წელიწადები როლებს გვიცვლიან.

***

ხარ მშვენიერი, ვითარც ღვთაება,
კვლავ ახალგაზრდულ ფიქრებს გამიჩენ.
სიცოცხლის ძალას და უკვდავებას
კაცს სიყვარულის ძალა ანიჭებს.
ფუჭია, რასაც მიზნად ვისახავ,
ჩემი ცხოვრება მიდის ტაატით...
შენ რაღაც, ოცდახუთი წლისა ხარ,
მე კი... შევსრულდი სამოცდაათის.

რუსთაველს

გარდაცვალება არ ნიშნავს სიკვდილს,
აბა რას ვიტყვი მე ისეთს, ახალს;
გასაოცარი ფიქრების წიგნით
დედამიწაზე შენ ისევ დახვალ.
და კვლავაც ივლი, დედასამშობლოს
არ მოაკლდება სიბრძნე, სინათლე...
და გარდაცვლილის ასეთ სიცოცხლეს
დედამიწაზე ყველა ინატრებს.

თოვს

თოვს, თეთრი არის და ფერმიხდილი
სივრცე, სათქმელი მოდის ლექსებად...
დაე, ვიცოცხლოთ, თორემ სიკვდილი,
თორემ სიკვდილი სად გაგვექცევა.
თოვს, ამ თოვლს რომ გავს სიცოცხლე კაცის,
რად გვახსენდება ძალიან გვიან...
ჩვენი ნათქვამის სულ მცირე ნაწილს,
სულ მცირე ნაწილს სიმართლე ჰქვია.
თოვს, სისპეტაკე აოცებს თვალებს,
რასაც ვგრძნობთ, მასაც უნდა დანახვა,
თორემ ეს თოვლი ძალიან მალე
გადაიქცევა წყლად და ტალახად.

***

ხდება ხანდახან,
ცხოვრებაში არის წუთები, -
მარტოობისა
გვეშინია და ვუძლურდებით.

თუ არ დაეძებ
სიყვარულს და გულით მეგობარს,
მარტო დარჩები
და სასჯელად ეგეც გეყოფა.

სჯობდა ვეტანჯე
სიყვარულს და ქარში ხეტიალს,
ახლა უშენოდ...
დაღამდა და უკუნეთია.



ჯაბა სამუშია

(გაგრძ. დასაწყ. იხ. NN1-2)

XIII საუკუნის 20-30-იან წლებში საქართველოში დატრიალებული მოვლენები, თავისთავად, არტანუჯელთა მშვიდ ცხოვრებასაც დაარღვევდა. ჩვენი ქვეყნისთვის განსაკუთრებით მძიმე მონღოლთა შემოსევა აღმოჩნდა. მტერმა კლარჯეთიც მოარბია. მემატიანე არაფერს ამბობს მონღოლთა მიერ არტანუჯის აღებაზე. როგორც ჩანს, ამჯერადაც საქმე უნდა გვქონდეს მარბიელ ლაშქრობასთან. მოსახლეობა არტანუჯის ციხე-ქალაქში გაიხიზნა. მონღოლთა შემოსევის აღწერისას მართალია, ჟამთააღმწერელი არტანუჯს არ ახსენებს, მაგრამ მისი განცხადება, რომ ხალხი *„ივლტოდეს ციხეთა და მთათა, ტყეთა და სიმაგრეთა“*, კლარჯეთსაც უნდა შეხებოდა. ვინც მოასწრებდა არტანუჯის, ახიზას თუ სხვა ციხეებში შელწევას, ხომ კარგი. დანარჩენი მოსახლეობა მთებს და მიუვალ ადგილებს აფარებდა თავს. უბრალოდ, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ იმ პერიოდის არტანუჯი. ქალაქის კარები გახსნილი ჰქონდათ და რიგ-რიგად მომავალ ხალხს ციხეში უშვებდნენ. ქალაქის ქუჩებში საშინელი აურზაური იყო. მეციხოვნენი მოსახლეობას ქალაქის განაპირა ადგილებში უჩენდნენ ბინას. ხალხის ნაკადი კი არ წყდებოდა. ეს ზოგადი აღწერაა იმისა, თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო იმ დროს არტანუჯში. ახლა თითოეული ამ ადამიანის სულში ჩავიხედოთ. რას განიცდიდნენ ისინი, მშობლიური კერიის მიტოვებით? დღეს თუ ხვალ მოვა მტერი და მთელ მათ ნაჯაფს ნაცარტუტად აქცევს. ამ საფიქრალში იყო კლარჯელი კაცი. არტანუჯის მეციხოვნეებს კი თავისი საზრუნავი ჰქონდათ – ციხე-ქალაქის გამაგრება, ალყის შემთხვევაში საკვების საჭირო მარაგის გამზადება, საალყო მანქანების გამართვა და სხვა უამრავი საქმე. არტანუჯელთა ცხოვრება ერთიანად აიწწა და სამხედრო რეჟიმზე გადავიდა. 1235-1236 წლიდან არა მარტო არტანუჯელთა ცხოვრება შეიცვალა, არამედ მთელი საქართველოსი. მონღოლებთან დაზავების შემდეგ, ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება დარეგულირდა, მაგრამ ყველა კარგად გრძნობდა, რომ უკვე სხვა დროება იყო დამდგარი. მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობაც თანდათან იცვლებოდა. საქართველო აღარ ჰგავდა 15-20 წლის წინანდელ ქვეყანას. 1260 წელს არტანუჯში მაცნე მოვიდა და მეფეს დავითის წერილი მოუტანა. ციხისთავს, მეფის ბრძანებით, ციხე უნდა გაემაგრებინა. მოსალოდნელი იყო მონღოლთა შემოსევა. მაცნე სხვა ბევრ საინტერესო ამბებსაც ყვებოდა. მეფე დავით ულუ სამცხეში გამოქცეულა და მონღოლების წინაალმდეგ აჯანყებულა. სამცხეში ქართველი დიდებულები იკრიბებიან და მომავალ გეგმებს აწყობენო. მაცნე იმასაც ამბობდა, რომ შავშეთ-კლარჯეთ-ტაოს დიდებულებსაც აახლეს მეფის წვევის წიგნი – ზვიდი დღის შემდეგ პაემანი სარგის ჯაყელ ციხისჯვარელის მამულშია დათქმულიო.

საქართველოში აჯანყება დაიწყო. 1260 წლის დეკემბერში ქ. გორთან ახლოს ქართველები დამარცხდნენ. დავით ულუმ თავი შავშეთ-კლარჯეთს შეაფარა. ამ რეგიონში კი ყველაზე გამაგრებული ციხე-ქალაქი არტანუჯი იყო. ამიტომაც, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ 1260-1261 წწ. მიჯნაზე დავით ულუ არტანუჯსაც ეწვეოდა. მეფე კლარჯეთში 1261 წ. ზაფხულამდე დარჩა. გარკვეული თვე იგი ნიგალის ხეობაში იყო გამაგრებული. ზაფხულის დადგომისთანავე, მონღოლები სამცხეს შეესივნენ და 20 დღის მანძილზე ააოხრეს ეს პროვინცია. მეფის გაჩერება სამხრეთ საქართველოში შეუძლებელი აღმოჩნდა და სარგის ჯაყელის თხოვნითა და რჩევით, დავით ულუ დასავლეთ საქართველოში, თავის მამიდაშვილთან – დავით ნარინთან გადავიდა.

არტანუჯი 1260-1261 წლების კამპანიისას არ დაზარალებულა, მაგრამ მონღოლთა შემოსევის რეალური საფრთხე არსებობდა და ქალაქიც ამისათვის, სათანადოდ იქნებოდა მომზადებული.

1266 წელს მონღოლებმა სამცხე – სარგის ჯაყელი-ციხისჯვარელის მამული ერთიან საქართველოს ჩამოაშორეს და ხასინჯუდ გამოაცხადეს, ანუ პირდაპირ მონღოლთა ულუს დაუქვემდებარეს. რა ბედი ეწია ამ დროს არტანუჯს? ჩვენი აზრით, არტანუჯი დასაწყისში არ შედიოდა ჯაყელთა მამულში და, მაშასადამე, არც ხასინჯუს წარმოადგენდა. მემატიანეს თქმით, არტანუჯი მხოლოდ ბექა ჯაყელმა დაიჭირა თავისთვის. მართალია, ჟამთააღმწერელი ამ მოვლენას XIII საუკუნის 80-იან წლებში გულისხმობს. ჟამთააღმწერლის თქმით, *„დაიპყრა ბექამან ქუეყანა ტაშისკარითგან კარნუქალაქამდის, სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი და უმთავრესი ტაო, ვაშლოვანი, ნიგალის ჴევი, არტანუჯი, ათორმეტნი უდაბნონი, კოლა, კარნიფოლა და ორნივე არტაანნი, და მრავალნი სოფელნი ჯავახეთს“.*

ამდენად, XIII საუკუნის მიწურულიდან არტანუჯი ჯაყელთა მფლობელობაშია. გიორგი V ბრწყინვალემ პაპამისის, ბექას მფლობელობა მართალია შემოიმტკიცა, მაგრამ სამხრეთ საქართველოს დიდი ნაწილი კვლავ ჯაყელთა უზენაესობის ქვეშ იყო მოქცეული, მათ შორის არტანუჯის ციხე. სწორედ ამ დროს, არტანუჯი სამეფო დომენიდან კერძო ფეოდალურ მამულად იქცა. მას ბექას ჯერ შვილი, ხოლო შემდეგ შვილიშვილი განაგებდა. ამ უკანასკნელებმა ზედწოდება „არტანუჯელიც“ მიიღეს. ბექა I-ის გარდაცვალების შემდეგ სამფლობელოს მიყოლებით მართავდნენ მისი შვილები – **სარგის III, ყვარყვარე I** და **შალვა.** ვანის სახარების მინაწერში ექ. თაყაიშვილმა ამოიკითხა სახელი **შალვა არტანუჯელი** - *„პატრონმან ნათიამან... მისისა მეუღლისა ბექასისა შალვა არტანუჯელისაი შვილისათუის...“.* როგორც ვხედავთ, შალვას ჰყავს შვილი ბექა. ეს შალვა კი ბექას ვაჟი უნდა იყოს. რომელიც, ძმების შემდეგ, ათაბაგი და სამცხის სპასალარიც შეიქმნა. მანამ, სანამ ძმები მართავდნენ საქართველოს, როგორც ჩანს, შალვას მამულად არტანუჯი ეკავა. მის შემდეგ არტანუჯის მფლობელი ჩანს **შოშია არტანუჯელი ბექა I-ის** შვილიშვილი და **სარგის II-ის** შვილი. ეს უნდა მომხდარიყო შალვას გამთავრების შემდეგ. ბიძამ ათაბაგობისა და სამცხის სპასალარობის მიღებისთანავე არტანუჯი ძმისწულს შოშიას გადასცა. ეს ფაქტი XIII საუკუნის 60-იან წლებშია საგულვებელი. შოშია არტანუჯელი ცოცხალია და მონაწილეობს **აღბუღა I ათაბაგის** მიერ ჭულეში მოწვეულ კრებაში, რომელმაც კორექტირება შეიტანა ბექა I მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნში. ეს თავყრილობა ჭულეს ულამაზესი მონასტრის მიდამოებში, დაახლოებით 1381-1391 წწ. უნდა მომხდარიყო. ყოველ შემთხვევაში, კრება ვერ გაიმართებოდა 1391 წლის შემდეგ, რამეთუ ამ მოწვევის ინიციატორი **აღბუღა ათაბაგი** ამ წელს მიიცვალა. საყურადღებოა, რომ 1392 წლის 1 დეკემბერს შედგენილ მეორე დოკუმენტში არტანუჯის ციხე-ქალაქი და მისი შემავალი ქვეყანა უკვე მცხეთის საკათალიკოსოს კუთვნილებადაა გამოცხადებული. სანამ ამ გუჯარს განვიხილავთ, გავარკვიოთ რასთან გვაქვს საქმე. სამწუხაროდ, წყაროთა სიმცირის გამო კვლავ ვარაუდებით უნდა შემოვიფარგლოთ. ათაბაგის ორი ბიძა ჭულეს კრებისას ცოცხალნი ჩანან – ერთი შოშია, ანუ იგივე შოშია არტანუჯელი და მეორე საფარის მონასტრის წინამძღვარი **პაფნუტი.** ჰყავდა თუ არა შოშიას საკუთარი მემკვიდრე, არაა ცნობილი. ის მართალია, აღბუღას შვილიშვილია, მაგრამ მამამისი ბექას ვაჟებს შორის უფროსი იყო და ადრევე გარდაიცვალა 1334 ნელს. ამდენად, შოშია აღბუღაზე დიდიც უნდა ყოფილიყო და სიბერეში შესულიც იქნებოდა (შუა საუკუნეებში სიბერეზე სხვა წარმოდგენა ჰქონდათ. ამჟამად, ადამიანთა ასაკი მნიშვნელოვნად „გაახალგაზრდავებულია“). ასე, რომ 1392 წლამდე მისი გარდაცვალება არაა გასაკვირი. ჩვენ მნიშვნელოვნად გვეჩვენება ის ფაქტიც, რომ შოშიას ძმა საფარის მამათა მონასტრის წინამძღოლია. და აქ ისმის ერთი კითხვა? ხომ არ გადასცა შოშია არტანუჯელმა, ძმის თხოვნით, მთელი თავისი მამული მცხეთის საკათალიკოსოს? შოშია არტანუჯელის მემკვიდრეები სამცხის ისტორიაში არ ჩანან. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისინი მას ან არ ჰყავდა, ან, არადა, მანამდე გარდაიცვალნენ. ის ფაქტი, რომ მცხეთის საკათალიკოსო კლარჯეთში ფლობდა მამულებს, უცხო არ უნდა იყოს, მაგრამ ციხე-ქალაქი არტანუჯი პატრიარქის ტახტის კუთვნილი XIV საუკუნის მიწურულამდე არ ყოფილა. 1392 წლის 1 დეკემბერს კი საკათალიკოსო მამულებში მოქცეულია „არტანუჯის ციხე და მისი შესავალი“, ასევე არტანუჯის ხევის რამდენიმე სოფელი. ვფიქრობთ, ერთადერთი სწორი ვარაუდი იქნება ის, რომ ვიფიქროთ, შოშია არტანუჯელმა სიკვდილის წინ თუ საერო, ცხოვრების დასასრულს, მთელი თავისი მამული საკათალიკოსო ტახტს დაუთმო.

XIV საუკუნეში, როგორც ითქვა, ციხე არტანუჯი და ყოფილი არტანუჯის საერისთავოს რამდენიმე სოფელი მცხეთის საკათალიკოსოს ეკუთვნოდა. 1392 წ. 1 დეკემბერს შედგენილ ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკო მამულების სითარხნის გუჯარში აღნიშნულია: *„არტანუჯს: სოფ. ახალდაბა, სოფელი დოლისყანა, სოფელი ნიგოზეთი, სოფელი სავანეთი... არტანუჯის ციხე და მისი შესავალი, მუნვე სოფელი ციხისძირი, ახალდაბა, ბოცოს-ჯუარი და აგარა“.*

ამ ცნობაში, მიუხედავად იმისა, რომ არტანუჯის საერისთავო უკვე გაუქმებული ჩანს, მასში, ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ძველი რეალობა. საბუთში ერთურთისაგან განირჩევა – არტანუჯის რეგიონი, არტანუჯის ციხის შემავალი ქვეყანა და საკუთრივ, არტანუჯის ციხე. მაგალითად, სოფელი დოლისყანა არტანუჯიდან საკმაოდ მოშორებულია და მისი მოხსენიება საერთო სახელის – „არტანუჯის“ ქვეშ ნიშნავს იმას, რომ აქ იგულისხმება ყოფილი არტანუჯის საერისთავო ტერიტორია. შემდეგ გუჯარში იხსენიება არტანუჯის ციხე და მისი შემავალი ქვეყანა, ანუ არტანუჯის საერისთავოს ერთი მიკრორაიონი, რომელიც უშუალოდ ციხის გარშემო მდებარე სოფლებს აერთიანებდა. აქვე აღვნიშნავთ, რომ საინტერესოა ტოპონიმი „ციხისძირი“ და დოკუმენტის შემდგენლის განმარტება: *„მუნვე სოფელი ციხისძირიო“.* ეს ტოპონიმი არტანუჯის ციხის მიდამოებში ჩვენ ვერ მივაკვლიეთ. ვარაუდის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქალაქ არტანუჯის დამცრობის შემდეგ, თავდაპირველი სახელი აკროპოლისს შერჩა მხოლოდ, უშუალოდ ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ დასახლებას კი ეწოდა „ციხისძირი“, მაგრამ ამ ტოპონიმს დიდხანს არ უნდა ეარსება. ოსმალების პერიოდში არტანუჯმა ძველი პოლიტიკური მნიშვნელობა დაიბრუნა და ქალაქი კვლავ აღორძინდა. ტერმინი ციხისძირი კი უწინდებურად არტანუჯმა გადაფარა.

ზუსტად რამდენ ხანს იყო არტანუჯი საეკლესიო მამული, ჩვენთვის უცნობია. ამ პერიოდში ქალაქ არტანუჯის მნიშვნელობა დამცრობილია. თემურ-ლენგის ლაშქრობა მართალია, უშუალოდ არტანუჯის ციხეს არ შეხებია, მაგრამ ამ პირსისხლიანმა დამპყრობელმა 1400 წელს სასტიკად მოაოხრა კლარჯეთის მომიჯნავე რეგიონები: კოლა-არტაანი, ტაო. ამ დროს კლარჯები თემურ-ლენგის მარბიელთა შემოსევას ყოველ წამს ელოდნენ. ბრძოლები, ფაქტიურად, არტანუჯის ციხის სიახოვეს, ფანასკერტის ციხესთან მიმდინარეობდა.

თემურ-ლენგის შემოსევის შემდეგ ათწლეულები დასჭირდა საქართველოს ჭრილობები რომ მოეშუშებინა. ქვეყნის ერთიანობასაც ბზარი ჰქონდა გაჩენილი. XV საუკუნის შუა ხანებში ქართველ მეფე-მთავრებს შორის დაპირისპირებამ მწვავე ხასიათი მიიღო. ამ საქმეში განსაკუთრებით აქტიურობდა სამცხე-საათაბაგოს მმართველი ყვარყვარე II ათაბაგი, რომელიც გეგმაზომიერად ცდილობდა თავისი სამფლობელოს დედასამშობლოდან მოწყვეტას. მან ქვეყნის, როგორც პოლიტიკურ, ასევე საეკლესიო ერთიანობაში შეიტანა ბზარი. ყვარყვარეს დროს ჩაფიქრებული იყო მცხეთის ეპარქიების საქართველოს ეკლესიის შემადგენლობიდან გაყვანა. ამბიციურმა და ამპარტავნობაში ჩავარდნილმა ათაბაგმა საეკლესიო მიწების მიტაცებაც დაიწყო. არტანუჯის ციხისა და მისი შემავალი ქვეყნის, ასევე არტანუჯის ხეობის სოფლების მცხეთის საკათალიკოსოს დაქვემდებარებიდან გამოსვლა ამ ხანებში უნდა მომხდარიყო. ყვარყვარემ არა მარტო ეკლესიის კუთვნილ სოფლებს დაადო ხელი, არამედ კათალიკოს-პატრიარქის კუთვნილ მონასტრებსაც, მათ შორის იყო ვარძიის მონასტერი. მართალია საქართველოს კათალიკოს დავითის გაბედული ნაბიჯის წყალობით დედა ეკლესიის ერთიანობა არ დარღვეულა, მაგრამ მცხეთის საკათალიკოსოს გავლენა მნიშვნელოვნად შესუსტდა სამცხე-საათაბაგოში.

XV საუკუნის დასაწყისში საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად უკვე რეალური ფაქტი იყო. სამცხე-საათაბაგო ცალკე დამოუკიდებელ პოლიტიკურ ელემენტად ჩამოყალიბდა. არტანუჯი ჯაყელთა ერთ-ერთ ციხე-ქალაქად გადაიქცა. XV საუკუნის დასაწყისში სამცხე-საათაბაგოში უკვე პოლიტიკური კრიზისი დაიწყო. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ჯაყელთა საგვარეულოს წევრები. 1515 წელს ათაბაგი **ყვარყვარე III** დაუპირისპირდა ბიძა მანუჩარ I-ს. ამ ბრძოლაში გამარჯვებული მანუჩარ I გამოვიდა და ათაბაგთა ტახტიც მიისაკუთრა. ყვარყვარე III ირანში გაიქცა. 1516 წელს ირანელთა ჯარის მეშვეობით მან საათაბაგოში ნაწილობრივ აღიდგინა თავისი უფლებები. მთელი სამცხე-საათაბაგო ორ ნაწილად გაიყო. მტკვრის აუზის პროვინციები ყვარყვარეს დაექვემდებარა. ჭოროხისა კი მანუჩარ I-ს. ამ დროს არტანუჯის ციხეში ამ უკანასკნელის მეციხოვნეები იდგნენ. ბიძა-ძმისწულს შორის ბრძოლა რამდენიმე წელი გაგრძელდა. ჯაყელ-ციხისჯვარელთა საგვარეულოს XV ს. II ნახ. და XVI საუკუნეებში მცხოვრებმა თორელებმა ჯერ იყო და საქართველოს ერთიანობა დაამხეს, შემდეგ კი თვით საათაბაგო აქციეს წეწვა-გლეჯისა და უცხოელთა თარეშის ობიექტად.

არტანუჯის ციხე, როგორც ითქვა, მანუჩარ I-ის გავლენის ქვეშ იყო. XVI საუკუნის 30-იანი წლების ახლო ხანებში მანუჩარ I საერო ცხოვრებას ჩამოშორდა და მონასტერში წავიდა. ათაბაგად მის ნაცვლად ივანე დაჯდა. ახლა ბრძოლა ბიძაშვილებს შორის გაჩაღდა. ყვარყვარე **III-მ** მოახერხა ივანეს დამარცხება. სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივში დაცულ ერთ მეტად საინტერესო რელაციაში *(საარქივო NF, 134. მისი ქართული პუბლიკაცია ეკუთვნის ც.აბულაძეს),* მოთხრობილია XVI საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისის სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური მდგომარეობა. ამ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ *„არტანუჯის ციხე პატარა ციხეა; სულ ცოტა ხნის წინ ყვარყვარემ იგი თავის ბიძაშვილს, ივანეს წაართვაო“.*

მართალია, **ყვარყვარე III-მ** მოახერხა სამცხე-საათაბაგოს ერთიანობის აღდგენა, მას დიდხანს არ დასცალდა ცხოვრება. 1535 წელს მურჯახეთთან იმერეთის მეფე **ბაგრატ III-მ** ათაბაგი დაამარცხა და ტყვეთაც ჩაიგდო. ყვარყვარე III ტყვეობაში გარდაიცვალა. სამცხე-საათაბაგო იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ და ქართლის მეფე **ლუარსაბ I-მა** გაიყვეს. არტანუჯის ხეობა ბაგრატ III-ის მფლობელობაში მოექცა. მაგრამ ასეთი ვითარება 10 წელს გაგრძელდა. 1545 წლიდან **ქაიხოსრო II-ის** გაათაბაგების შემდეგ პოლიტიკური ვითარება სამცხე-საათაბაგოში ისევ აირია. აი, ასეთი დასუსტებული, დაუძლურებული შეხვდა სამცხე-საათაბაგო ახალი, ჩვენი ქვეყნისათვის გაცილებით მძიმე შედეგების მომტან მოვლენას – თურქ-ოსმალთა დაპყრობებს.

XVI საუკუნის დასაწყისიდან თურქ-ოსმალები უკვე აქტიურად ცდილობდნენ სამხრეთ საქართველოს ტერიტორიის დაპყრობას. ამათში კი მათ ხელს უწყობდა სამცხე-საათაბაგოში გაჩაღებული მძიმე სამოქალაქო ომი. 1536 წელს ბაიბურთის მმართველი **მეჰმედ ხანი** შეესია სამცხე-საათაბაგოს, დაამარცხა ქართველთა ჯარი და დიდი ნადავლით დაბრუნდა უკან. ამ ლაშქრობის შედეგად საათაბაგოს ნაწილმა ოსმალთა უზენაესობა ცნო. 1548-1549 წლებში ქართველთა ჯარმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა არზრუმის ბეგლარბეგზე **მუსა ფაშაზე.** ეს უკანასკნელი ბრძოლის ველზე დაეცა. სულთანმა გადაწყვიტა შური ეძია და ამავე პერიოდში ახალი დამსჯელი ექსპედიცია მოაწყო საქართველოს წინააღმდეგ. მტერმა რამდენიმე ციხე დაიკავა ტაოში. 1549 წელს სულთანმა თორთუმის ხეობაში ლაშქრობა უბრძანა ვეზირ **აჰმედ ფაშას.** მასთან ერთად ლაშქრობაში მონაწილეობდნენ **არზრუმის, ყარამანის, ზულყადრლისა და სივასის** ბეგლარბეგები. გეგმის მიხედვით თურქ-ოსმალებს თორთუმის ციხის მიმართულებით უნდა განეხორციელებინათ დარტყმა. 1549 წლის შემოდგომაზე ოსმალებმა დაიკავეს თორთუმის და ნიხახის ციხეები, ასევე იმიერ ტაოს რამდენიმე პუნქტი. ფაქტიურად, 1549 წლისათვის ორივე ტაოს (იმიერ და ამიერ ტაო) მნიშვნელოვანი ნაწილი თურქ-ოსმალებს ოკუპირებული ჰქონდათ.

თურქთა მიერ სამხრეთ საქართველოს დაპყრობამაც ვერ გააერთიანა სამხრეთ საქართველოს პოლიტიკური ერთეულები. ქაიხოსრო II ათაბაგი, ოსმალთაგან დაცვის მიზნით, ირანელებს ემხრობოდა და **შაჰ-თამაზის** ერთგულებაზე დებდა ფიცს. ქართლის მეფე **ლუარსაბ I** კი პირიქით, ირანელებს ებრძოდა. ბუნებრივია, ლუარსაბი ქაიხოსროს არ წყალობდა და, შეძლებისდაგვარად, ავიწროვებდა კიდეც. ამაზე თავად ათაბაგი წუწუნებდა ირანის შაჰისადმი გაგზავნილ წერილში. **ისქანდერ მუნში** წერს: *„ყვარყვარეს შვილმა ქაიხოსრომ, ქვეყნის საფარველ კარზე გამოგზავნა აზრი, რომ ლუარსაბი, ვახუშტი და შერმაზან ქართველი მავიწროებენ, ჩემი ვილაიეთის დაპყრობას ლამობენ, ზოგი ოლქიც წამართვესო“.* თურქთაგან საათაბაგოს შევიწროებით იმერეთის მეფე ბაგრატ III-ც სარგებლობდა. არც საათაბაგოს ხელისუფლება იყო მოწოდების სიმაღლეზე. ასე რომ, სამხრეთ საქართველო XVI ს.-ის შუა ხანებში ყველასაგან მივიწყებული აღმოჩნდა. და თუ ვინმეს საათაბაგოს ბედი აინტერესებდა, მხოლოდ და მხოლოდ, საკუთარი მიზნებისთვის. ქართველი პოლიტიკოსები, საერთო ეროვნული კატასტროფის ჟამს, ვიწრო კუთხურ ინტერესებში ჩაკეტილნი აღმოჩნდნენ. ამ დროს კი თურქები სამხრეთ საქართველოს ციხეებს იკავებდნენ და არავინ აღმოჩნდა ისეთი, ვინც ქართულ სახელმწიფო ერთეულებს გაერთიანებისაკენ მოუწოდებდა, ან, არადა, ანტიოსმალურ კოალიციაზე ალაპარაკებოდა. ყველა საკუთარი თავის გადარჩენისათვის იბრძოდა.

ყველასაგან მიტოვებულ საათაბაგოს კი ოსმალები ეტაპობრივად ეპატრონებოდნენ. 1550 წელს ერზრუმის ფაშამ ქარა-შაჰინ მუსტაფამ ტაოსკარი დაიკავა, იგი სანჯაყად აქცია. 1551 წელს არტანუჯის ჯერიც დადგა. ამ დროს არზრუმის ბეგლარბეგი უკვე **ისქანდერ-ფაშა** იყო. თავის დროზე, ამ კაცმა შესანიშნავი კარიერა გაიკეთა. ერთხანს ანატოლიის დავთარდარი იყო. 1548 წელს ვანის ბეგლარბეგად დაინიშნა, საიდანაც სულთანმა მალე არზრუმში გადაიყვანა და ვილაიეთის თავკაცობა ჩააბარა. საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლას სწორედ არზრუმის ვილაიეთი თაობდა. ისქანდერ-ფაშამ 1551 წელს კლარჯეთისათვის ბრძოლა წამოიწყო და გაზაფხულზე არტანუჯის ციხეს შემოეწყო. აი, როგორაა ეს ამბავი აღწერილი შაჰ-თამაზის ოსმალთა ელჩებთან საუბარში: „ისქანდერ-ფაშას ამბავია, როცა იგი არზრუმის ფაშა იყო, ხან ამას განიზრახავდა, ხან იმას და ნიადაგ შფოთსა და ამბოხს ეწეოდა. თუმცა ჩვენი ამირები წერილებს უგზავნიდნენ და რჩევა-დარიგებას აძლევდნენ, მაგრამ იგი მაინც არ ცხრებოდა ბოროტ საქმეებზე. ერთხელ, ჰოსეინ-ხან სულთანისათვის წერილი გამოეგზავნა, რომ მე საქართველოს არტანუჯის ციხეს შემოვადექი და თუ შაჰი ჩემზე თავდასასხმელად წამოვა, უომრად არ გავეცლებიო.

ჰოსეინ-ხან სულთანს შევუთვალე (ე. ი. შაჰ-თამაზმა), რომ ბასუხად მოეწერა: იმას, რაც შენ მოგიწერია, ჭკვიანი კაცი არ იტყოდა. ამის მსგავსს მხოლოდ ბრიყვები თუ იტყვიან-მეთქი. უმეცრებისა და უვიცობის გამო იგი (ე. ი. ისქანდერ-ფაშა) სულ იმის ლაპარაკში იყო, შარვანისა და საქართველოს ფაშა მე ვარო“. არზრუმის ბეგლარბეგმა მიზანს მიაღწია და 22 დღიანი (სხვა მონაცემებით 33 დღიანი) ალყის შემდეგ, 1551 წ. 13 ივნისს (სხვა მონაცემებით 13 მაისს) არტანუჯი აიღო.

გაგრძელება იქნება

ᲕᲐᲥᲐ ᲝᲗᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

(დასაწყისი წინა ნომერში)

კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ მანგლისის ხევზე გიორგი სააკაძის ფეოდალურ სამფლობელოში შედიოდა სოფლები: ზემო ოძისი, კველთა, ტყის უგუდეთი, მინდვრის უგუდეთი *(ვ. ჯაბბურია „გიორგი სააკაძე,“ თბ. 1964წ. გვ. 32)*. სააკაძესვე ეკუთვნოდა ***„მთა ქსილისი და ელიქარი (იგივე ერიქალი) პირაქეთი და პირიქეთი“*** (იქვე). ხოლო თეძმის ხევში და მის ზევით, მთაში: ნოსტე, ნოსტის ოძისი, ერთაწმინდა, კრკონი (იგივე რკონი) გოსტიბე, ქვენადრისი *(დღევანდელი სოფ. ჭყოპიანი – ვ. ო.)* გუდალეთი, კავთისხევი, წინარეხი, ფავნისი, ცხირეთი და ა. შ. ეს სოფლები მოხსენებული აქვს ვახუშტისაც *(ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ თბ. 1941წ. გვ. 181, 196)*. ახლა გავიხსენოთ ისევ იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანის“ სტრიქონები, რომელიც აღწერს ოსმალო-თათარხანთა შემოსევას: *„თრიალეთი გარდმოვლეს,“ „თანა ჰყვნენ მანგლისელები,“ „კველთა ოძისი დადგეს,“ „კველთა თევდორე შეიპყრეს,“ „გოსთიბის (იგივე გოსტიბის – ვ. ო.) თავს რომ მოვიდეს,“ „ერთაწმინდაზე ჩაუძღვა,“ „გზა ჩავლო ქვენადრისანი,“ „ცხირეთზედ დიაღ შორს დარჩა...“* ეს ის გეოგრაფიული პუნქტების არეალის ჩამონათვალია, სადაც თევდორე მღვდელმა გაიარა და მოწამეობრივად დაასრულა სიცოცხლე. ეს არეალი კი გიორგი სააკაძის საფეოდალო-სამფლობელოა, რომლის აზნაურ-გლეხობას თუ სასულიერო პირებს უყვარდათ და ეიმედებოდათ პატრონად დიდი მოურავი. ამაზე მეტყველებენ სიგელ-გუჯარები და ისტორიული საბუთები პირდაპირ თუ არაპირდაპირად. მაგ: გიორგი სააკაძის და ქაიხოსრო ჯავახიშვილის სასამართლო დავის საბუთები 1620 წ-ის 15 აპრილით დათარიღებული და სხვ. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ „დიდმოურავიანში,“ როგორც ერთ-ერთ უპირველეს საისტორიო წყაროში, გიორგი სააკაძე თავდადებული სასულიერო პირის ამბის გადმოცემისას პირველივე სტრიქონებით გამოხატავს მისდამი სიყვარულსა და პატივისცემას, ასევე იცის მისი სადაურობაც:

„კველთას თევდორე შეიპყრეს, მცოდნე და კარგი მღვდელია...“ (ი. ტფილელი „დიდმოურავიანი,“ თბ. 1939წ. გ. ლეონიძის რედ. კარი მეორე, სტ. 32), ანუ თავის საფეოდალოში შემავალი სოფელი და მღვდლის ღვთისმოსაობა კარგად ეცოდინებოდა გიორგი სააკაძეს, რაც ზუსტად გადმოგვცა პოემის ავტორმა. მეორეც, თევდორე მღვდელი ქართლელია, ამ გეოგრაფიულ არეალში გაზრდილ-დავაჟკაცებული. მან კარგად

მცხეთამდე, დასავლეთით – კლდეკარი, ხოლო აღმოსავლეთით – ქართველთა თურქ-სელჩუკებზე გრანდიოზული გამარჯვების მისტერიული ადგილი – დიდგორის ველი. სწორედ დაბა კველთიდან „მხარშეკვრით“ შებოჭილმა თევდორემ გადმოიარა ერიქალას (ელიქალას) მთის მწვერვალი და მიხვეულ-მოხვეული გზით თავქვე დაეშვა და გოგოთის ზემოთ, ე. წ. ურსის ტყის მხრიდან მიადგა დიდ სოფელს – გოსტიბეს, ანუ, როგორც იოსებ ტფილელი გვამცნობს, „გოსთიბის თავს რომ მოვიდეს...“ სოფელ გოსტიბიდან ქვემოთ სამი მთავარი გზა გამოდის. მათგან ერთი აღმოსავლეთით ჩასდევს ტყიან ქედს, გაივლის ზარიკოტმანს და ყრუველს და კატრიანთან *(დღეს კასპელთათვის ერთ-ერთი საყვარელი თავშეყრა-დასვენების ადგილია – ვ. ო.)* უერთდება გუდალეთ-კავთისხევის გზას. მეორე გზა ჩრდილოეთით, სოფ. ცხავერზე *(დღეს ნასოფლარია – ვ. ო.)* და ცხირეთის ციხეს, ანუ ლუარსაბ მეფის საზაფხულო რეზიდენციას მიადგება, მესამე გზა კი კაბერთან სამხრეთით დაუხვევს და გარგლის თავის სათუხარლოს და დევნამუხლების გავლით ერთაწმინდაზე ჩაივლის.

გოსტიბის ამ სამი გზის გასაყართან მყოფი ოსმალო-თათარხანთაგან შებოჭილი მხარშეკრული მღვდელი თევდორეს სულის ამოძახილია პოემა „დიდმოურავიანის“ სტრიქონი:

„...მე მამკლან, არ დავიკარგვი სულებით!“

რადგანაც გმირმა ხუცესმა იცის, რომ ***„არვინ დავრჩებით უკვდავათ, ვინც რომ დედითგან ვიშვითა!...“*** როგორი ერთგულება სჩანს ქრისტეს რჯულისა და სამშობლოსი პატარა ქართლის დაბა კველთის უბრალო მღვდლისა – გიორგი სააკაძის სულიერი ძმისა. ამიტომაც ამბობს დიდი მოურავი: ***„მაშინ ერთ კაცად კმარიყო, რაც ვნახე ჩემის ძმისანი.“*** დიახ, თევდორე კველთელი გიორგი სააკაძის სულიერი ძმაა. ისინი ორივე ერთი იდეალით ცხოვრობენ. მათ გულზეა აღბეჭდილი რუსთველის ***„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი...“*** და მერე 1723-1726 წლებში დაწერს ამ ამბავზე ბესარიონ ქართლის კათალიკოსი: ***„წარიყვანა იგინი უგზოთა ადგილთა“*** *(„ლუარსაბ მეფის მარტვილობა,“ თბ. 1946წ. გვ. 409)*... და გზების გასაყართან მდგარმა თევდორე მღვდელმა თვითშენირვის და სულის უკვდავების გზა აირჩია სამშობლოს გადასარჩენად. თევდორე კველთელმა მტერი გოსტიბიდან ჯერ დასავლეთით წაიყვანა, მთის ღრინტების გავლით, დღევანდელ ნასოფლარ კაბერისაკენ (კასპის რ-ნი), რომლის გზა მოსახვევთან აღმართული X საუკუნის მშვენიერი კაბერის წმინდა გიორგის ბაზილიკური ეკლესიაა, რომლის აღმოსავლეთ კედელზე გამოჩუქურთმებულია ულამაზესი ჯვარი. ამ ბაზილიკასთან ჩაატარებდა თევდორე მღვდელი დუშმანთა ხროვას. იქნება უფალსაც შეავედრა სამშობლო და ქართლის მეფე ჩუმად პირჯვრის გარდასახვით. შემდეგ კი „ერთაწმინდაზე ჩაუძღვა,“ მაგრამ არა

ᲗᲔᲕᲓᲝᲠᲔ ᲛᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲡ

იცის, როგორც კველთის-ხევის, ასევე თეძის ხეობის ყველა გზა-ბილიკი, ყველა მისახვევ-მოსახვევი, ყველა აღმართ-ჩაღმართი, ვიწროები, ხევი და უფსკრული... ამიტომაც ამ მცირე გეოგრაფიულ არეალში თავგანწირვით, და თუ შეიძლება ითქვას, ზუსტი, „ფილიგრანული ოსტატობით“ აშორებს ოსმალო-თათარხანის უზარმაზარ ლაშქარს ქართლის მეფის რეზიდენციას – ცხირეთს, რომელიც იქვეა, ორიოდ ნაბიჯზე. ეს ადგილები კარგად იციან კასპის რაიონის თუ მანგლისის დღევანდელმა მცხოვრებლებმაც, განსაკუთრებით მონადირეებმა. მეც ბევრჯერ გამივლია ამ გზებზე თეძმის ხეობით რკონისკენ მიმავალს, გოსტიბეშიც ავსულვართ *(იმართებოდა ზეიმი „გოსტიბეობა გასული საუკუნის 80-იან წლებში)*, კლდეკარიც გადამივლია... ცხვრის საძოვრებია ირგვლივ...

თევდორე მღვდლის გმირობაზე შესანიშნავი წიგნი შექმნა ცნობილმა ქართველმა მწერალმა, კასპელმა გიორგი ხორგუაშვილმა „თევდორე თავდადებული“ *(თბ., 2000წ. რედ. გ. ოთხმეზური)*. ბატონი გიორგი წლების განმავლობაში იყო კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი *(დღეს ეს მუზეუმი მის სახელს ატარებს – ვ. ო.)* და ჩემს მეგობართან, კეთილშობილ მხატვართან იორამ იმედაშვილთან ერთად ბევრჯერ შემოუვლია ეს ადგილები. მანამდე კი ამ მხარის ყველა ისტორიული ძეგლი, უმნიშვნელო ნანგრევიც კი დიდი რუდუნებით აღუწერია კასპის მუზეუმის „უფრო ძველ“ დირექტორს გ. კაპრაშიძეს 50-60-იან წლებში. მე გავეცანი ხელნაწერებში ამ მასალებს... ამ ნაშრომების დახმარებით და სხვა მასალების ანალიზით ვეცდები გადმოგცეთ თევდორე მღვდლის გავლილი „ჯანი წამებისანი“.

მანგლისიდან ორიოდ კილომეტრში, ჩრდილო-აღმოსავლეთით, დიდგორის მინდორზე, მიყუჟული სოფლები ოძისი და კველთა, დღეს ნასოფლარებია... კველთელი მღვდელი სულიერად და ზნეობრივად ამაღლებული პიროვნებაა, მაცხოვრის რჯულისა და საქართველოს ერთგული შვილი, მეფე ლუარსაბის მხარში მდგომი და უღალატო, შესაძლებელია გიორგი სააკაძის „მოკიდებულთა კაცთა“ სამმოს წევრიც იყო. იგი, ალბათ, არ შეეპუა, გაუძალიანდა მოძალებულ ურჯულოს და ამიტომაც „ლახტითა სცემეს,“ და ისე გამოიმძღვარეს სოფელ კველთიდან იმ გზაზე, მესხეთ-ჯავახეთ-თბილისის მთავარი გზიდან რომ იტოტება მანგლისის თავზე, თრიალეთის ქედის სამხრეთის კალთას რომ ამოჰყვება, ივლის შემდეგ მთების თხემზე და მდ. კვათურის სათავეებთან მივა, გაივლის შუბათის მთას, მერე გაიდასავლეთებს, შემდეგ გავაზაურის მთის თავზე გადმოივლის ქედ-ქედ და შეუდგება ერიქალას მთის იგივ ელიქარა მთის მკვეთრ აღმართს. *(გ. ხორგუაშვილი, „თევდორე თავდადებული“, გვ. 32-33)*.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ერიქალას (ელიქარას) მთა თრიალეთის ქედის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მთაა, საიდანაც სამხრეთის მხრივ კარგად მოჩანს მთელი ალგეთის ხეობა, ჩრდილოეთით მტკვრის ხეობა, გორიდან დაწყებული თითქმის საქართველოს ძველ დედაქალაქამდე – ერთაწმინდისკენ! რადგან თვითონ ერთაწმინდიდან ცხირეთის ციხემდე დაახლოებით 1 კმ იქნება. ამიტომ თევდორე მღვდელმა მტერს ერთაწმინდის გზას და ე. წ. „დევნამუხლებიდან“ (თეძმის ხეობა) ქვენადრისისაკენ გადაახვევინა დღევანდელი სოფ. ჭყოპიანისაკენ, რომელიც მდ. თეძმის პირას მდებარეობს. მტრის ლაშქრის აქეთ-იქით უაზრო სიარულში თევდორეს თავგანწირვამ ქართველებს, კერძოდ, დიდ მოურავს, საშუალება მისცა მალემსრბოლელები ეფრინა ახლომდებარე სოფლებში: მშობლიურ ნოსტეში, ნოსტეს ოძისში, ნოსტეს ახალციხეში, მეტეხში, გომში, ბარნაბიანთკარში, ზემო ხანდაკში, კავთისხევში, გუდალეთში, წინარეხში, სასირეთში, დოესში, ხოვლეში, კასპის ახალქალაქში (მეფის სოფელი) ...ასევე მუხრანბატონებთან, სომხითში – ბარათაშვილებთან, საამილახვროში – პაპუნა ამილახვართან, ქსნის ერისთავებთან, ციციშვილებთან, ჯავახიშვილებთან, თბილისის სპარსული ციხის გარნიზონის სარდალთან – დელუ მაჰმად-ხანთან (როგორც ქართველები ეძახდნენ)...

მაშასადამე, თევდორე კველთელის თვით შეწირვამ – გმირულმა ქმედებამ, ანუ ***„წამებით სისხლის ღვრამ,“*** მისმა მაღალმა ეროვნულმა თვითშეგნებამ და ცნობიერებამ, რაც მთავარია: სულიწმიდის ნაყოფთა დავანებამ, იხსნა მეფე ლუარსაბი სიკვდილისაგან, ანდა ტყვეობისაგან პაპამისივით და სრულიად ქართლი იმ ეტაპზე მტრისაგან – ოსმალო-თათარხანთა მახვილისაგან. სანამ მოვლენათა შემდგომ პერიპეტიებს გავყვებოდეთ, საჭიროდ ჩავთვალე ერთ საკვირველ ამბავზე შევჩერდე,

ᲬᲐᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ

ᲐᲜᲓᲠᲔᲘ ᲕᲝᲚᲝᲡᲘ

პოპულარული თანამედროვე რუსი პროზაიოსი და პოეტი ანდრეი ვოლოსი დაიბადა 1955 წელს სტალინაბადში. დაამთავრა მოსკოვის გუბკინის სახელობის ნავთობისა და გაზის მრეწველობის ინსტიტუტი. არის მოსკოვის მწერალთა კავშირის წევრი. ამჟამად ცხოვრობს მოსკოვში.

მიღებული აქვს ჟურნალ „ზნამიას“ (1996), „პენეს“ (იტალია, 1999), ჟურნალ „ნოვი მირის“ (2001), რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო (2000), „რუსული ბუკერის“ (2013), „სტუდენტური ბუკერის“ (2013), ბუნინის (2013), „დიდი წიგნის“ (2013) პრემიები. გთავაზობთ აკაკი დაუშვილის მიერ ახლახან თარგმნილ მის ერთ-ერთ ნაწარმოებს.

ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ

რადგანაც კითხვა კმაყოფილებას ანიჭებს, ანგარიშმიუცემლად გადადის ერთი ფურცლიდან მეორე ფურცელზე, ერთი თავიდან მეორე თავზე.

წიგნის წაიკითხვის მერე კი ისეთი შეგრძნება რჩება, თითქოს რაღაც გამოუმცხვარით გამოძღა.

მასსა და ტექსტს შორის რაიმე სპეციფიკური ურთიერთობა რომ არსებობდეს – მაგალითად, ლიტერატორი ან ფილოლოგი რომ იყოს, – შესაძლოა, ჩასწვდომოდა თავისი დაუკმაყოფილებლობის მიზეზებს, მაგრამ საკუთარი გრძნობების ახსნა არ შეუძლია და თუკი უცხო ადამიანი მოინადინებს, გრძნობებში გაარკვიოს, მხოლოდ მხრებს აიჩეჩავს.

კითხვას მოცალეობისას იწყებს, როდესაც ყველა საქმე მოთავებული აქვს. ასევე მეტროში, თუკი დაჯდომას ახერხებს, ანდა, რიგში დგომისას. ცხადია, ასეთ დროს არაფრის გარკვევას არ აპირებს და ვერც აბსტრაქტულ პრობლემებს ხედავს. მათზე კიდეც რომ მიუთითო, მაინც ვერაფერს გაიგებს.

სიტყვები მისი პრაქტიკული საშუალებების არსენალში შედის – მაგალითად, როგორც ჩაქუჩი ან საჭრეთელი. ის სიტყვებს უტილიტარული მიზნების მისაღწევად იყენებს.

სხვისი ნათქვამი შეუძლია გაიგოს – და იგებს კიდეც, – როგორ უნდა მოიქცეს ამა თუ იმ სიტუაციაში. მნიშვნელობა არა აქვს, სიტყვები რანაირად არიან განლაგებულნი – მთავარია, სწორი აზრის გამოტანა შეძლოს. „გეთაყვა, წადი მაღაზიაში კარტოფილის საყიდლად“.

ანდა, პირიქით: საჭიროების შემთხვევაში სიტყვებს იმისთვის იყენებს, რათა საკუთარი ნათქვამი სხვას მოახვიოს თავს. მაგალითად: „დაჯექი, გაკვეთილები ისწავლე“.

საერთოდ, ის მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისთვის კითხულობს.

წიგნს შრიალით ფურცლავს. კითხვისას თითქოს საფეხურებზე ეშვებაო... ასეთ დროს ხშირად მოუხერხებელი მთამსვლელივით იქცევა. მომდევნო სტრიქონზე თვალის აუჩქარებელი მოძრაობით უნდა გადახვიდე, ის კი გამუდმებით ჩქარობს. ხუთი სტრიქონით ქვევით სახიფათოდ ჩამოსრიალებული პირველსავე პწკარს სასწაულებრივად ებღაუჭება. სწრაფი დაშვების იმედით რამდენიმეს გადააბიჯებს და, ერთბაშად, ათ სტრიქონს კვლავ გრუხუნით გადაევლება...

ერთ წიგნს რომ გადასანსლავს, იმავე წამს სხვა წიგნს იწყებს. როცა ერთი წიგნის კითხვას ამთავრებს, მეორე გამზადებული აქვს.

ისე კითხულობს, თითქოს ხელთ მოხვედრილი ნებისმიერი წიგნის შესწავლა აქვს გადაწყვეტილი, რათა ბოლოს და ბოლოს, წააწყდეს იმ ერთადერთ წიგნს, რომელსაც ეძებს. ეს რომ უთხრა, ის უარყოფს: არაფერი ამის მსგავსი, ამისთანა რამ აზრადაც არ მოსვლია, უბრალოდ, წიგნებს ერთმანეთის მიყოლებით კითხულობს.

მაგრამ, სინამდვილეში – ის ეძებს ყველაზე საჭირო წიგნს.

ის ეძებს საკუთარ თავზე დაწერილ წიგნს.

როდესაც ეს წიგნი, ბოლოს და ბოლოს, გამოჩნდება, ის, პირველივე სტრიქონებიდან მიხვდება, რომ ეს სწორედ ის წიგნია და ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლება.

ამ წიგნის ერთი სტრიქონიც არ დარჩება წაუკითხავი.

სტრიქონს კი არა, ერთ სიტყვასაც არ გამოტოვებს.

საერთოდ, ასოებს ტიპოგრაფიული საღებავის მკვდარ ნაკვალევად მიიჩნევს და, გაზეპირებული სიტყვების გადაკითხვის გარდა, ახალს არაფერს ელის.

ამ ბედად აღმოჩენილ წიგნში კი ყველაფერი სხვაგვარად იქნება. მისდა გასაოცრად, გაირკვევა, რომ სიტყვები გაცოცხლდნენ. ნეტარებისგან სუნთქვაშეკრული დააკვირდება, როგორ მოძრაობენ სიტყვები, როგორ უბრწყინავთ თვალები, შეძახილებითა და ფაციფუცით როგორ ავსებენ ფურცლებს, წინ წასულებს კვალში მისდევენ, ცეკვით თავბრუ ესხმით, ერთიმეორეს ნაირფერ ასხმულებად ეკვრიან და საზეიმოდ ციმციმებენ. უცებ იფანტებიან, მერე კვლავ ჯგუფდებიან და ერთმანეთის შესახვედრად შეძახილებით გარბიან.

ასეთ დროს განა შესაძლებელია თუნდაც ერთი სიტყვის გამოტოვება? აბა, სცადე – სიტყვები ამის ნებას არ მოგცემენ. ძალიან მაგრად ჩაგებღაუჭებიან, მხედველობას გაგიმახვილებენ.

მაგრამ მთავარი სხვა რამეა: ეს წიგნი მართლაც მასზეა.

ამიტომ კითხულობს ასე ხარბად და წაკითხულ აბზაცს ხშირად უბრუნდება. წამდაუწუმ წიგნის დასასრულს ჩაჰყურებს, რათა იცოდეს, კიდევ რამდენი დარჩა წასაკითხი.

ამ წიგნში ბევრი ადამიანია, რომელთაც კარგად იცნობს ბავშვობიდან. ამ ადამიანებთან ცხოვრება კიდევ დიდხანს მოუწევს. მათ ტკივილს საკუთარივით განიცდის, ხოლო სიხარული ახარებს.

ყველანაირი მოულოდნელობა ანცვიფრებს, ხარობს ნებისმიერი სიუჟეტის კვანძის გახსნით. ეს მოულოდნელობები ყოველ კუთხე-კუნჭულშია ჩასაფრებული და წიგნის კვანძის გახსნა არა სხვისი, არამედ საკუთარი ცხოვრების სხვაგვარ გაგრძელებას უქადის.

როდესაც ეს ყველაფერი კულმინაციას აღწევს და ჯერ კიდევ არ იცის, რა მოხდება, გული უჩერდება და სუნთქვა ეკვრის. საბედისწერო წამი დგება, მისი მომავალი უნდა გადაწყდეს.

დიახ, როდესაც ეს წიგნი მის ხელთ მაინც აღმოჩნდება, ყველაფერი სწორედ ასე იქნება.

მაგრამ ჯერ ვერ მოიხელთა.

ახლა ის სხვა წიგნს კითხულობს.

სხვათა შორის, ცუდი წიგნი არ არის. უფრო მეტიც – ძალიან კარგია.

გამოქვეყნებისთანავე ცნობილი ლიტერატურული პრემიების სიებში მოხვდა და, თუკი ავტორს ბედი გაუღიმებს, ერთ-ერთ პრემიას მიიღებს.

ჩინებული წიგნია.

მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს: ის მასზე არ არის.

თარგმნა **ᲐᲚᲐᲙᲘ ᲓᲐᲣᲨᲕᲘᲚᲛᲐ**

მოწამეობრივი ალხაზრული

კერძოდ, ფაქტია, რომ თევდორე მღვდელი უფრო მეტ გულისხმიერ დამოკიდებულებას და ყურადღებას იმსახურებდა იმდროინდელ მეისტორიეთაგან, მწერალთაგან, სასულიერო პირთაგან, ვიდრე ის, რაც მის მიმართ უკვე ნათქვამი და ცნობილია. სამწუხაროდ, თავდადებულ ქრისტიან მღვდელს მხოლოდ ლუარსაბ II-ის და გიორგი სააკაძის ისტორიის ერთ კონკრეტულ ეპიზოდთან დაკავშირებით ახსენებენ და ისიც სქემატურად *(ე. გაბიძაშვილი „შრომები“ ტ. III თბ, 2011წ. გვ. 278-279)*. „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი დიდი მონაკვეთის ავტორი, ცნობილი მეისტორიე და განათლებული გეოგრაფი – ვახუშტი ბატონიშვილი, საერთოდ არ ახსენებს მღვდლის სახელს, გვარზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია... თუმცა მის მიერ გამოყენებულ ისტორიულ პირველწყაროში – „დიდმოურავიანში“ ცხადად წერია: ***„კელთას თევდორე შეიპყრეს, მცოდნე და კარგი მღვდელია“...*** *(„დიდმოურავიანი“. მეორე სტრ. 32)*. საკვირველია, რომ „ქართლის ცხოვრების“ ორივე რედაქციაში (ვახუშტი, ბერი ეგნატაშვილი) ხსენებული ფრაზები *„შეირაცხა წმიდათა მოწამეთა თანა,“* ანდა ქართლის კათალიკოსის ბესარიონის *„სანატრელმან ხუცესმან,“* ხოლო ანტონ I კათალიკოსი (1720-1788წ.წ.). რომელიც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი იყო (1744-1755) და (1763-1788) წლებში და რომელიც ბესარიონ ქართლის კათალიკოსს ენდობა („ბესარიონ მამამთავარი ჩუენი“) იმეორებს, როგორც „დიდმოურავიანის“, ასევე ბესარიონ კათალიკოსის მონაცემებს და წერს: ***„არს დაბა რომელიმე მანგლისს, ზედწოდებული კუელთა (ი. ტფილელის მსგავსად – ვ. ო.), სადაოი შეკრბესა თათარნის და შეიპყრეს ხუცესი ვინმე კეთილმსახური სახელითა თევდორე... მაშინ ღირსმან მან წმიდათა თანა ჰხსენებისამან მღვდელმან საღმრთომან თევდორე... ჰყო წინამძღოლად უღმრთოთა მით ლაშქართა მიცილებით ცხირეთისა და შთაუძღვა გზასა ზედა ერთაწმინდისა და ქუენადრისასა, სადაოი ეწიათ ვნებაცა მრავალი იწროთა გზათა ძლით მით და ცხენთთა მათთა, რომლისათვისცა მოკლეს თავისა წარუკვეთითა და მიიღო სანატრელი აღსასრული ცხოვრებისა წმიდათა თანა...“*

(ანტონ I, მარტირიკა. „შესხმა და მოთხრობა ლუაწლთა და ვნებათა წმიდისა დიდის მოწამისა ლუარსაბ მეორეისა, მეფისა საქართველოსა.“ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი VI. ე. გაბიძაშვილის და მ. ქავთარიას გამოცემა. თბ. 1980წ. გვ. 48). ამიტომ განსაკუთრებით საკვირველი და აუხსნელია საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ანტონ I-ის ქმედება, რომელმაც ქართველ წმინდანთა კალენდარს რევიზია ჩაუტარა თავის დროზე და მასში საგრძნობი ცვლილებები შეიტანა, თავის ე. წ. „თუენში“ მაინც არ დაეთმო თავდადებულ თევდორე მღვდელს (კელთელს) ის ადგილი, რომელსაც იგი თავისი მოწამეობრივი თავგანწირვით და თვით შეწირვით უდავოდ იმსახურებდა ამას. მართლაც განსაცვიფრებელია, რომ „ქართლის ცხოვრების“ ორივე რედაქცია თევდორე მღვდლის წმინდანად შერაცხვას გვაუწყებს, ამასვე იმეორებს საქართველოს ორი კათალიკოს-პატრიარქი ბესარიონ (ორბელიშვილი-ბარათაშვილი) და ანტონ I (ბაგრატიონი), სინამდვილეში კი იმ პერიოდის წმინდან ქართველ მოწამეთა კალენდარში თევდორე კელთელის სახე არ გვხვდება.

შეიძლება ვინმემ იფიქროს გამონაკლისი, რომ თევდორე თავდადებული წმინდანად იმიტომ არ შერაცხა ქართულმა ეკლესიამ, თითქოს ქრისტიანობის დაცვასა და უშუალოდ მაჰმადიანურ სარწმუნოებაზე გადასვლის მოთხოვნას კი არ შეეწირა (როგორც ლუარსაბ II ან ქეთევან დედოფალი), არამედ, თუ შეიძლება ითქვას, საერო ღირებულების გმირული საქციელი ჩაიდინა – ქართლის მეფისა და ხალხის ფიზიკური დალუპვისაგან გადარჩენისათვის. ასეთი ჰიპოთეზის დაშვების შემთხვევაშიც თევდორე მღვდლის გმირობა ქრისტიანული საქციელია, რადგან იგი სამი საღმრთო საათნოებიდან – სარწმუნოება, სასოება, სიყვარული, სამივეთი შემოსილი აღესრულა უსამართლობის მოთმინებით ამტანი *(ანუ სულიერ მოწყალებათა შვიდი საქმიდან მე-5)*. მან ხომ ქართლის ქრისტიანი მოსახლეობა, ქრისტიანი მეფე, ქრისტიანული ეკლესია-მონასტრები გადაარჩინა თავისი სიცოცხლის თვითშენირვით. იესო ქრისტე ბრძანებს: ***„რამეთუ ესე არს მცნებაი ჩემი, რაათა იყუარებოდით ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარეთ თქუენ“*** *(სახარება იოანესი 15. 12)*. ხოლო შემდეგ ***„უფროსუი ამისსა სიყუარული არავის აქუს, რაათა სული თვისი დადვას მეგობართა თვისთათვის“...*** *(სახარება იოანესი, 15.13)*. ე. ი. მეგობრის, ახლობლისათვის თავის განირვა, სიცოცხლის, ანუ თავდადების ფასად, ღვთიური სიყვარულის უმაღლესი კატეგორიაა. კელთელმა მღვდელმა თევდორემ სახარების ენით რომ ვთქვათ, ***„სული თვისი დადვა“*** თავისი მშობელი ხალხის და თავისი მეფის გადასარჩენად და, რა თქმა უნდა, წმინდანად შერაცხვას იმსახურებდა... და, უნებლიედ, მახსენდება შოთა რუსთაველის: ***„ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჭირსა არ დამრიდად,***

გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად...“

უფლისა და მშობელი ხალხის უდიდესმა სიყვარულმა შეაძლებინა ღვთის ნებით მღვდელ თევდორესაც და დიდ მოურავსაც თავი გაეწირა საქართველოს გადასარჩენად, შემდეგ მოეგო სხერტის ჭალის და ტაშისკარის ბრძოლები და გაენადგურებინა შემოსეულ ოსმალო-თათარხანის 60000-იანი ბუნებრივია, ისმის კითხვა: რატომ დასჭირდა 386 წელი თევდორე მღვდლის წმინდანად შერაცხვას? „ქართლის ცხოვრების“ ეს მონაკვეთი ხომ მე-18 საუკუნეში შეიქმნა, ხოლო თევდორე კელთელის გმირობა მე-17 საუკუნის დასაწყისში (1609წ.) მოხდა. ნუთუ „ქართლის ცხოვრების“ ორივე რედაქციის (ვახუშტი, ბერი ეგნატაშვილი) სიტყვები *„შეირაცხა წმინდათა მოწამეთა თანა“* – ყალბია? ანდა ანტონ I კათალიკოსის (ბაგრატიონი) ***„მიიღო სანატრელი აღსასრული ცხოვრებისა წმიდათა თანა“*** მოტყუებაა მორწმუნე ქართველი მრევლისა, მომავალი თაობებისა? რატომაა ასეთი იდუმალი თევდორე კელთელის წმინდანად შერაცხვის ფაქტი და თუ შეიძლება ითქვას „უსაბუთოთ“ დარჩენილი. XVII-XIX საუკუნეების ისტორიულ სასულიერო წყაროებში არსად რომ არ გვხვდება დოკუმენტი წმინდანად შერაცხვის თაობაზე?

მე ვფიქრობ, ეს ფაქტი დიდი მოურავის – გიორგი სააკაძის ფენომენის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის გაგრძელებაა უკვე სხვა „ფრონტზე.“ ვუშვებ ისტორიოგრაფიულ ჰიპოთეზას, რომ თევდორე მღვდელი (კელთელი) კარგად იცნობდა გიორგი სააკაძეს, იგი მარტო დაბა (ან სოფელ) კელთაში კი არ მოღვაწეობდა, არამედ თრიალეთს აქეთა (ანუ თეძმის ხეობის მხარის) სოფლებშიც. მან კარგად იცოდა ამ სოფლების განლაგება, იცნობდა ამ სოფლების მრევლს, ბილიკ-ორღობეებს. ეს სოფლები გიორგი სააკაძის საფეოდალო სოფლებია თვითონ სოფ. კელთადან დაწყებული და, როგორც ჩანს, დიდი მოურავი, რომელსაც უდიდეს პატივს სცემდა იმდროინდელი გლეხობა და აზნაურობა (ცალქლამანიძეები, ჩივაძეები და სხვ.), კარგად იცნობდა თევდორე კელთელს. ბუნებრივია, ისინი კეთილად იქნებოდნენ განწყობილნი ერთურთის მიმართ, რამეთუ ორივე დიდი პატრიოტი მამულიშვილია ბედკრული საქართველოსი. დასაშვებია ასევე, რომ თევდორე კელთელის წმინდანათ შერაცხვის ოფიციალური სასულიერო საბუთები დაიკარგა, იმ მძიმე ეპოქის გამო, რომელშიც უხდებოდა საქართველოს მოსახლეობას ცხოვრება მე-17 საუკუნის პირველ მეოთხედში, ხოლო მეისტორიეებმა (ვახუშტი, ბერი ეგნატაშვილი), ასევე საქართველოს კათალიკოსებმა ბესარიონ ორბელიშვილ-ბარათაშვილმა და ანტონ I-მა „უსაბუთოოდაც“ კარგად იცოდნენ, რომ თევდორე მღვდელი წმინდანად იყო შერაცხული, მაშინ ისმის კითხვა: მაშ თავის მიერ შედგენილ სასულიერო კალენდარში რატომ გამორჩა თევდორე თავდადებული ანტონ I-ს? და პასუხი ისევ გიორგი სააკაძეს უკავშირდება, რომელიც, სამწუხაროდ, არ უყვარდა ანტონ I-ს და მოღალატედ თვლიდა თავისი პირადი შეხედულებებიდან გამომდინარე. გიორგი სააკაძის მოკეთე და მომხრე მას გულზე არ ეხატებოდა. ამაზე ცოტა ქვემოთ ვისაუბრებთ დეტალურად...

წამებული მღვდელის საფლავიც ცალსახად არ არის ცნობილი. როცა აღწერს დიდმოწამე წმინდა ეკსტატი პლაკიდას სახელობის სოფ. ერთაწმინდის ტაძარს, რომელიც სააკაძეთა ტრადიციული სალოცავი და ძვალთშესალაგია, სადაც სააკაძეთა და გიორგი სააკაძის შთამომავალთა – თარხან-მოურავების სხვადასხვა თაობის საფლავებია – პლატონ იოსელიანი წერს: *„აქვე დასაფლავებულნი არიან კელთის მღვდელი თევდორე, რომელიც თურქებმა 1609 წელს აწამეს, აგრეთვე თავად თარხან-მოურავების გვარის ბევრი სხვა წევრიც...“* *(პ. იოსელიანი, „დიდი მოურავის გიორგი სააკაძის ცხოვრება“ თბ. 1973წ. გვ. 79)*. პლატონ იოსელიანისავე ცნობით თევდორე კელთელს თურქებმა *„ერთაწმინდის ახლოს თავი მოჰკვეთეს“* (გვ. 18). ასევე პლატონ იოსელიანი გვამცნობს, რომ *„დაბა კელთაში მისი (მღვდელი თევდორეს – ვ. ო.) ხსოვნის აღსანიშნავად მეფე ლუარსაბ მეორემ ააშენა თევდორეს სახელობის ეკლესია, რომელიც დღემდე არსებობს“* *(გვ. 82)*. საერთოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ სოფლის სახელწოდება **„ერთაწმინდა“** წარმოიშვა **„ესტატე წმინდიდან“** – ევსტატი პლაკიდას, ანუ წმინდა ესტატეს სახელიდან, როგორც ქართველები ეძახიან.

ხალხურ გადმოცემათა თანახმად და ბატონ გიორგი ხორგუაშვილის ვარაუდითაც (გვ. 95-98), თევდორე კელთელი მარხია არა ერთაწმინდის ტაძარში, როგორც ეს პლატონ იოსელიანს ჰგონია, არამედ ე. წ. „ალუბლის ბაღებთან“. ჩემი ვარაუდით, ასევე, იგივე წმინდა თევდორეს ეკლესიასთან, რომელიც უფრო ცუცუბნის – იგივე ხუცუბნის ეკლესიის სახელით არის ცნობილი და რომელიც სოფ. ერთაწმინდიდან სამხრეთით, ხუთასიოდე მეტრში მდებარეობს, იმ გზის პირას, რომელიც სწორედ ცხირეთისაკენ რომ მიემართება. ხალხის გადმოცემით, თევდორე მღვდელი სწორედ აქ არის დასაფლავებული. სოფ. ერთაწმინდის ამ უბანში დღესაც ცხოვრობენ ხუციშვილები და შეიძლება ეკლესია ამ გვარმა ააგო და ხუცუბნის, ანუ ცუცუბნის ეკლესია იმიტომ ჰქვია. ჩემი ვარაუდით ვუშვებ ისტორიოგრაფიულ ჰიპოთეზას, რომ ეს ეკლესია ლუარსაბ მეფემ ააშენა აქ და არა სოფ. კელთაში, როგორც პლატონ იოსელიანი გვაუწყებს, რომელიც თავის ზემოთ ნახსენებ წიგნში ბევრ უხეშ შეცდომას უშვებს (მაგ.: *„დელი-მაჰმად ხანის წინამძღოლობით, თურქებმა დაიკავეს მანგლისი, ოძისი და კელთა...“* სრული აბსურდია), რაზეც თავის დროზე მიუთითებდა ანტონ ფურცელაძე ჯერ კიდევ 1911 წელს *(ა. ფურცელაძე „გიორგი სააკაძე და მისი დრო“ თბ. 1911წ. გვ. 18 და სხვ.)*. *„მოკვდა წამებით მღვდელი თევდორე, მაგრამ სახელი და ხსენება მისი იქნება ცოცხალი, ვიდრემ სადმე-ღა ჰღავის სახსენებელი ქართველი კაცისა. იმან თავისი წამებული სიკვდილით იხსნა გაოხრებისაგან თავისი მშობელი ქვეყანა, ტყვეობისაგან თავისი მეფე, სიკვდილისაგან ათასი და ასი ათასი თავისივე მოძმე...“* *(ანტონ ფურცელაძე „ბრძოლა საქართველოს მოსასპობად და საქართველოს შესაერთებლად, ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო.“ ზ. ჭიჭინაძის გამოც. თბ. 1911წ.)*.

ამრიგად, თევდორე მღვდლის თავგანწირვამ, ქრისტეს რჯულის ერთგულებამ, მამულის სიყვარულმა, გადაარჩინა სიკვდილს ან დატყვევებას ლუარსაბ II, ხოლო გიორგი სააკაძეს საშუალება მისცა შვიდიოდ საათში შეეკრიბა თავისი ერთგული მეომრები ქართლის – თავისი სათავადო სოფლებიდან, ის ე. წ. ქართველი „სპეცრაზმელები,“ რომლებიც დიდი მოურავისვე გამოწრთვნილები იყვნენ და გულდაგულ შებმოდნენ ურიცხვ მტერს უშიშრად...

ავთანდილ ბერიძე

საქართველოს

გათენდება, პირჯვარს ვიწერ,
გზას ვადგივარ – ისევე,
ნეტავ ასე რად დამჩემდა
ყველგან შენ რომ გიხსენებ.

ქვეყნად შენი მადლით დავალ,
მიწავ ჩემო, მზიანო...
საქართველო დამილოცე,
ჩემის სულის ზიარო.

როცა მიჭირს, მაშინ რატომ
მახსენდები უფალო?–
ამასა გთხოვ, საქართველო
მარად რომ დაიფარო!

რას არა გთხოვ,
რას, რას არა,–
რად დამჩემდა ხვეწნა, რად?
რატომ, ღმერთო,
რატომ,
რატომ...
შვება ვიგრძნო ნეტავ სად?

ეს ვედრება, ეს მუდარა,
განა მქონდა მაშინაც,
ახლა ვხედავ, უფრო გიჭირს,
შენს ყოფამ შემაშინა,

საქართველოვ, ჩემო დედავ,
თითქოს ყველა გერევა,
მტერი მოყვრად შეიკედლე,–
ძალაც როგორ გელევა,

ისევ ლოცვა გადაგარჩენს
ათას ჯურის მტერისგან,
ნეტავ მართლა დღე დაგიდგეს,
განსაცდელის ძლევისა.

ღმერთო, უმლი მოაშორე,
მის თაკარა შემოსეული,
რომ არასოდეს არ მეხილოს
საქართველო ძლეული!

მესხეთს

აქედან გაქცევას არ ვაპირებ,
არასდროს ვყოფილვარ უილაჯო,
აქ ვდგავარ ბებერი მეციხოვნე,
ჩემი საქართველოს სადარაჯოდ.

ფოტო თენგიზ ხუციშვილისა

ეს მიწა ათასჯერ ნაოხარი
არ მინდა ოდესმე დამეკარგოს,
მე მისი ტალახი მირჩევნია,
სხვის ედემს, მწველსა და საარაკოს.

ბელტს ბელტზე კვლავ ისევ გადავაწვენ,
მიწას მოვამზადებ სავენახოდ,
მე სხვა არაფერი არ მადარდებს, –
აქ მინდა მოვკვდე და დავიმარხო!

***

დავბერდი, და მაინც არ ვიტეხ
იხტიბარს – წლები რომ მამძიმებს,
არც დარდი გულს შემოწოლილი,
ღამე რომ სულ აღარ მაძინებს.

რამდენი განვლიე წლები და
უკან არც მოხედვა მაშინებს,
ისა ვარ, რაც ვიყავ გუშინ და
მე ჩემი წარსულიც მამშვიდებს.

ის ვთესე, რაც გულმა მირჩია,
მოვიმკე, რასაც რომ ვთესავდი,
ჩემს იმედს – ცხოვრების ციტადელს
ჭკუით და გონებით ვკვესავდი.

წარსული აწმყოში ცოცხლდება,
დრო მოვა, დადგება დაისი,
და ჩვენი კაცური კაცობის
დღეებიც ნელ-ნელა ჩაივლის.

ალექსანდრე ტაბატაძეს 85 წელი შეუსრულებიდა

„ვიარე ისე, როგორც პოეტს შეეფერება“

70 წლის მანძილზე ჩვენს შორის ერთი ჩვეულებრივი მოკვდავივით დაიარებოდა გამოჩენილი ადამიანი, რომელიც თავისი პატარა გულით ულამაზეს სულს დაატარებდა. დაბადებული ჯავახეთის მხარის ერთ-ერთ უძველეს ქართულ სოფელ გოკიაში 1934 წელს, მრავალშვილიან ოჯახში. მამაპაპეული ძირძველი ფესვები ქ.გორის მიწასთან ჰქონდა დაკავშირებული. შემდეგ მის წინაპრებს ახალციხეში დაუდიათ ბინა. მამა სოფელ ანდრიაწმინდაში დაბადებულა და ბავშვობის წლები აქ გაუტარებია. შემდეგ მესხეთში მცხოვრებ და ქართველებზე მოთარეშე თურქთა კლანჭებიდან გამოსხლეტილი, ტანზე „ხამის პერანგ-შემოხეული“, გოკიასკენ გახიზნულა და დასახლებულა. მაგრამ ყოველთვის ჰქონდა ნოსტალგია ანდრიაწმინდის თვალუწვდენელი მინდვრების – „საჭამიას“ სერისა.

გოკიაში დაბადებული და გაზრდილი პოეტი კარგად ხედავდა, როგორ ეწეოდა მამას ბავშვობისდროინდელი ძველი ფესვები ანდრიაწმინდისაკენ... ყოველთვის ჰპირდებოდა – შენი ბავშვობის ნაფუძვარზე წაგიყვან, თაყვანი ვცეთო ანდრიაწმინდის ცას, მზეს, სანამ გვიანი არ არისო...

„იმ ბუხართან მინდა ჯდომა
და გათბობა იმ ნაღვერდლით,
იმ სუნს ვიცნობ შეუცდომლად...“
(„რა ძვირფასი მქონდა ოდა“).

ბავშვობიდან შემორჩენია მშობელი მიწის დიდი სიყვარული, მისთვის მუხლმოყრილი და გულაჩუყებული ხშირად უნახავთ. შთაგონების წყარო სიშორის გამო ცისფერ ნისლში ჩაძირული და მისთვის ყოველთვის მიუწვდომელი აბულის მთა ყოფილა.

გოკიას რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ ახალქალაქის პედაგოგიურ სასწავლებელს მიაშურა. აქ მისი დიდი მასწავლებელი იყო თვითონაც კარგად ცნობილი პოეტი და ქართული ლიტერატურის დიდი ტრფიალი – არსენ კარაპეტიანი. აქედან დაიწყო მისმა ჯადოსნურმა კალამმა ულამაზესი შედევრების ხატვა. პირველი ლექსი, პირველი მკითხველი, პირველი შემფასებელი...

1953 წელს გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩაირიცხა, სადაც დიდი ქართველი კლასიკოსის ბატონ ოთარ ჩხეიძის დახმარებით გაერთიანდა ახალგაზრდა ქართველ მწერალ და ნიჭიერ შემოქმედთა წრეში.

მისი ლექსების პირველი კრებული მკითხველმა 1972 წელს მიიღო... და ამ ლექსებმა ძალიან სწრაფად გაიდგა ფესვი თითოეული ქართველი მკითხველის გულში. პოეტს ლექსი და მინა სალოცავ ხატად უქცევია. მის „დაკოჟრილ ხელებს“ შეუქმნია და ჩვენამდე მოუტანია სულის სიღრმიდან ამოსული უამრავი სტრიქონი.

ამდენი ლამაზი ლექსის ავტორს მაინც რჩება გრძნობა იმისა, რომ რაღაც ვერ მოასწრო, ვერ დაასრულა, ბოლომდე ვერ დაიხარჯა: „არასოდეს ვყოფილვარ თვითკმაყოფილების ტკბილი შარბათით გაბრუებული“ – წერს ერთ-ერთ წერილში. ალბათ, რამდენი რამ დარჩა სათქმელი...

დაგვშორდა და გული გვატკინა ყველას, ნუგეშად კი უამრავი ლამაზი სიტყვა, ლამაზი ლექსი დაგვიტოვა. მისმა მეგობრებმა და ახლობლებმა დიდი სინანულით და გულის ტკივილით მიაცილეს იმ „ბოლო სადგურამდე“, სადაც თავისი „ხელბარგით“ უსასრულობას შეუერთდა. მისი „ხელბარგი“ კი მდიდარი და მრავალფეროვანია, თავისებური და ყველასაგან განსხვავებული. მისთვის სამარადისო საუფლოსთან მიახლოებას თითქოს ელოდა კიდეც...

„პატიებას გთხოვთ, პატიებას გთხოვთ ყველას,
ჩემი სიკვდილით გული დაგწყვიტეთ ვისაც.
თიბათვის ხუთში, ან თუ მკათათვის ექვსში,
უკანასკნელი წამი შერჩება ხსოვნას.
და ეს იქნება უკანასკნელი ლექსიც,
უკანასკნელი ამოსუნთქვაც და თხოვნაც“.

ამბობენ, შემთხვევით არაფერი ხდებაო, მისი ოცნება იყო, მიახლოებოდა სამუდამო სასუფეველს მკათათვის თვეში „ყაყაჩოების ალისფერ თქეშში“, რადგანაც ეს მისი სული იყო – ყაყაჩოს ზღვასავით ლამაზი, მდიდარი და ალმოდებული.

თუმცა ვეღარ მოესწრო ივნისის ყაყაჩოებს...

ზუსტად 2004 წლის 14 აპრილს – დედაეინის დღეს, გულმა უმტყუნა. მას შემდეგ 15 წელი გადის, იგი ჩვენს შორის ლექსებად, ლამაზ სტრიქონებად და მარადიულ მოგონებად დარჩა, რითაც ბევრი ჩვენგანის გულში დაიდო ბინა.

ამ დღეებში, 15 მარტს, ალექსანდრეს 85 წელი შეუსრულდებოდა. ვიხსენებთ რა მის პიროვნებას, კიდევ ერთხელ მივაგებთ პატივს და ვმადლობთ თავისი შემოქმედებისთვის, იმისათვის, რომ მან ვალმოხდილმა დატოვა ეს წუთისოფელი.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია

სწორედ ქართული ენის დღეს...

კიევის სასტუმროში ვართ. ვსაუბრობთ ძილის წინ. თავის უფროსზე მიყვება – დამავალა, რომ ფირუზს გავყვე შესვენების დროს, ვნახოთ ვისთან და სად დადისო. უარი ვუთხარი, განმირისხდა. ეგრე დამავალეს მეც კასპშიო, ერთი კვირა დავდევდიო ერთ კაცს, მართალია ვერ დავადგინე მისი ასავალ-დასავალი, მაგრამ უფროსის დავალებაზე უარს როგორ ვიტყოდიო.

ალექსანდრე ტაბატაძემ არ იკადრა არაკაცული საქციელი, ამისთვის არ გაზარდეს იგი მშობლებმა.

მშობლები კი ძალზე ძვირფასები ჰყავდა. არაერთხელ გაშლილა სოფელ აგარაში (მესხეთის აგარაში) სტუმართათვის გულუხვი სუფრა. ეს სტუმრები შოთაობაზე ჩასული ქართველი მწერლები იყვნენ. მათ ალექსანდრე ჯერ თავის სახლში შეატარებდა ხოლმე, სადაც მამამისი, ძია ალექსი, მესხურ ღვინოს დააჭაშნიკებინებდა ნამგზავრ ხალხს, პურ-მარილს ხილიც შვენოდა მის ბაღში მოწეული. მცირე ტრაპეზის შემდეგ მე და ალექსანდრეც მივყვებოდით მათ ასაბიას სოფელ რუსთავისაკენ, მოვლენების ცენტრად რომ აღიქმებოდა გენიალური პოეტის ქანდაკების ფონზე.

ალექსანდრეს ბევრი ლექსი აქვს მიძღვნილი მშობლიური მხარის სილამაზისა და ისტორიული მნიშვნელობის ხაზგასმით.

პატრიოტი გაჩნდაო, ასეთად გაზარდეს ოჯახში. განუყრელი მეგობრები ვიყავით. ზოჯერ ერთიმეორეში ვეშლებოდით ვიღაცებს.

გავიხსენებ, როგორ მომაგებინა ალექსანდრემ დიდი სანაძლეო.

რკინიგზის სადგურთან არსებული სახინკლის ხშირი სტუმარი ვიყავი. მე და შურას (ასე ვეძახდი) განსხვავებული გემოვნება გვქონდა. მე ვსვამდი, ის – არა, მე ხინკლისკენ ვიწევდი, ის – ხაჭაპურისკენ. ამ განსხვავებულობით ვავსებდით ალბათ ერთმანეთს, რომ არ გვწყინდებოდა ერთად ყოფნაც და შემოქმედებითი თანამშრომლობაც. ერთი საბავშვო პოემა („ციცინათელები წისქვილში“) ერთად დავწერეთ, ამას გარდა ხუთი პიესაც: „ტყუპი ხალი“, „მოღალატე“, „კაცუნები „ლაჟვარდში“, „მაგნოლიის ტოტზე“, „მე და მე“... მგონი სათხრობს გადავუხვიე. ერთხელაც მებუფეტე, რომელსაც ზედმეტსახელად „თვალას“ ეძახდნენ, მეუბნება, ისე, ვითომც, სასხვათაშორისოდ, საყვედურს – შენ რომ გაზეთში გამომაჭენეო. მე კი ვიყავი „საქინფორმის“ კორესპონდენტი, მაგრამ კრიტიკულ მასალებს „საქინფორმი“ მაინცდამაინც არ თხოულობდა. – არ მახსოვს ეგეთი ამბავი, ტყუილია-მეთქი, – ვუთხარი თვალას. დავნიძლავდეთო. დავნიძლავდით ცხვარზე. იმ გაზეთს მოვიტან და მეგობრების თვალწინ აგიფრიალებო. ერთი კვირის შემდეგ თვალა მეუბნება: წავაგე, ძმაო, ტაბატაძე ყოფილა, ამერიეთო, სულ ერთად რომ დადიხართ. ხვალ ჩემს სახლში მოხვალთ, რამდენი კაციც გინდა, წამოიყვანეთო. ალექსანდრე მაშინ „ზარია ვოსტოკას“ კორესპონდენტი იყო და სუსხიანი კალამიც ჰქონდა.

იმ კალმით მშვენიერ ლექსებს წერდა და მთელ საქართველოში ცნობილი პოეტი იყო. მისი მოულოდნელი წასვლა ძლიერ განვიცადე. იმ დღესაც ხომ ერთად ვიყავით...

14 აპრილი იყო, ქართული ენის დღე.

ჯემალ ინჯია

ალექსანდრე ტაბატაძის შესახებ

რამდენიც არ უნდა ვეცადო, ვერ ამოვწურავ ალექსანდრე ტაბატაძის მიერ ადამიანების მიმართ გაწეულ უანგარო და უხმაურო სიკეთეს, სამშობლოსა და მისი ხალხის სიყვარულს, მინდობილი საქმისადმი უსაზღვრო თავდადებას, განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობის მიმართ გამოჩენილი ყურადღების და მათი შემოქმედებითი ნიჭის განვითარებისა და გამომჟღავნების საქმეში.

ბატონ ალექსანდრეს მიერ დაარსებულმა საყმაწვილო გაზეთმა „ყაყაჩომ“ და მის ფურცლებზე მოთავსებულმა მოსწავლეთა შემოქმედების ამსახველმა მასალებმა საზოგადოების დიდი ნაწილის ყურადღება მიიპყრო და სწრაფად გახდა პოპულარული.

ალექსანდრე ტაბატაძის პიროვნულმა თვისებებმა და მისმა ცხოვრებისეულმა გამორჩეულმა მიდგომებმა, მე, როგორც ერთ-ერთ მის მეგობარს, რომელსაც არასოდეს უცდია აზრის ლექსად გადმოცემა, გამაბედვინა, დამეწერა პატარა ლექსი, რომელიც მივიძღვენი მას დაბადების 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

ალექსანდრე ტაბატაძეს

ამქვეყნად როცა შენი მოსვლა ინება ღმერთმა,
იდგა მარტი და გაზაფხულის იდგა სურნელი,
მესხეთის ცაზე მოციმციმე ვარსკვლავმა ერთმა
გალაქტიკაში მოკრძალებით იწყო სვლა ნელი.
გასულა წლები და იმ ვარსკვლავს შეგსრულებია
ასაკი მწველი,
ასაკთან ერთად მამაპაპური შემოგინახავს ადათი ძველი:
სამშობლოს დაცვა სიტყვით, საქმით, მარჯვენით ქველით.
ოჯახში, ხალხში, მეგობრებში, კაცი ხარ ბრძენი.
ამაყობს შენით ახლობლები, ცოლი და ძენი,
არ ჩამოვრჩებით ძმაკაცებიც – გოგი და ლერი.
დღესაც ისევ ისე ბრწყინავს მარტის მზე და დღე ნათელი,
ამ დღეს შენთან ვიკრიბებით შენი დები, შენი ძმები.
გვსურს, რომ ერთად მოგილოცოთ
სიხარულის დღე გაჩენის,
იხარე და იდღეგრძელე, მარად მრავალჟამიერი!

ლერი პაპუაშვილი

აი, როდის და როგორ გავიცანი ალექსანდრე - ალტა ტაბატაძე

ალექსანდრე-ალტა ტაბატაძე და ჯემალ ინჯია 1958 წლის სექტემბრში, ინსტიტუტის მხატვრული ლიტერატურის შემოქმედთა წრის მორიგ სხდომაზე გავიცანი. ალტასაც და ჯემალსაც დამთავრებული ჰქონდათ გორის პედაგოგიური ინსტიტუტი, თუმცა ლიტერატურულ შემოქმედებით საზოგადოებაში კვლავ განაგრძობდნენ თანამშრომლობას. „ალტა“, მერე შევიტყე, ფსევდონიმი ყოფილა პოეტის სახელისა და გვარის (ტაბატაძე) თავი მარცვლების შეერთებით მიღებული (ალტა), უდავოა, უფრო პოეტურიცაა და იოლად გამოსათქმელიც – ჟღერადი. სხვანაირად არც არასოდეს მიმიმართავს უფროსი მეგობრისადმი, რომელსაც განსაკუთრებული მოკრძალებით ვეპყრობოდი, როგორც ჩემი მხარის ერთადერთ გამორჩეულ პიროვნებას, სავსებით ორიგინალური სტილის მქონე შემოქმედს: მდორე, თბილი და რბილი, ერთობ უპრეტენზიო, ყოველგვარი მაღალფარდოვნებისაგან შორს მდგომი, მხატვრული პოეტური მეტყველებით რომ გამოირჩეოდა თავისი ალალი ლექსებით, საუბარშიც რომ ასეთივე დამაჯერებელი და აუჩქარებელი იყო, ღრმა ფილოსოფიური აზრებით, ერთობ შეუმჩნევლად რომ შემოდის მკითხველთან, თუ მსმენელთან. დიალოგში ძვალსა და რბილში რომ გატანს... აი ახლაც განუმეორებლად თან მდევს „ალტა“ თავისი მოკრძალებული საუბრითა და მეტყველი პოეზიით.

ჩვენი ახლო, უშუალო გაცნობა შემდეგმა გარემოებამ განაპირობა.

ჟურნალ „მერანის“ მორიგი ნომრის გამოსაცემად ლიტშემოქმედებითი საზოგადოების გაფართოებული სხდომა გაიმართა 1959 წლის ოქტომბერში. მაგიდას უჯდა ჩვენი შემოქმედებითი წრის ხელმძღვანელი, მწერალი და მეცნიერი (მოძღვარ ქურუმად რომ ვიხსენებთ საუბარში), ბატონი ოთარ ჩხეიძე, როგორც ყოველთვის, იქვე ახლოს უსხდნენ ჯემალ ინჯია, ალტა ტაბატაძე, ლერი ბეგიაშვილი, მინდია არაბული, ციცინო ჭუჭყიანი, აკაკი ბიძინაშვილი და სხვანი, მასთან იქვე ვიყავი მეც. ბატონი ოთარი ჩასცქეროდა თვალმოუცვლელად ჟურნალისათვის წინასწარ შერჩეულ ლექსებს; თვალმოუშორებლად ვუყურებდი მეც ჩვენი დიდი მოძღვრის ყოველ უმნიშვნელო მოძრაობასაც კი. წაკითხულ ფურცლებს ზოგს მარცხნივ ალაგებდა, ზოგს – მარჯვნივ. როგორც შევნიშნე, შედარებით რიცხობრივად, ნაკლები რაოდენობისა მოპირდაპირე მხარეს აითვლებოდა. ჩემი ჯერიც დადგა. მინდიამ ჩემი ათიოდე ლექსი – ადრევე შერჩეული, გაუწოდა.

გულმა აჩქარება დამიწყო. ბატონი ოთარი ჩვეული სიდინჯით მოქმედებდა. ფურცლების უმრავლესობა მარცხნივ გადაალაგა. ვხედებოდი, რასაც ნიშნავდა. ერთ ფურცელს, მარჯვნივ გადადებულს, ხელახლა ჩააშტერდა, ჯემალიც დასწვდა ერთ-ერთს და ყველას გასაგონად ჩაილაპარაკა: „აი, ეს ლექსი – „აბასთუმნის ღამე“ – ბატონო ოთარ!“ – არაფერი უთქვამს მოძღვარს, თავის ხელთნაქონი გამორჩევით ასწია მაღლა და მინდიას მიმართა: „საფარის ფრესკებს“ შენც გადახედეო? მინდიამ ორივე ფურცელი ჟურნალისთვის გამიზნული ნაწარმოებების „პაპკაში“ მოათავსა.

– აი, იმ დროს, სხდომის დამთავრების შემდეგ, გამინაპირა ალტამ და დაწვრილებით გამომკითხა ჩემი ვინაობის შესახებ. საუბრის შემდეგი დამრიგებლური კილოთი დაამთავრა: „ნუ დაღონდები, ერთი და ორი ლექსი, თუნდაც ერთი, ბატონ ოთარის მოწონებული, ბევრს ნიშნავს, არ იფიქრო, სხვა რამ, ჩვენც ეს გზა გვაქვს გავლილი. მე ძალიანაც მეიმედება შენი ეს ორი ლექსი, წარმატებას გისურვებ, იცოდე, მე შენთან ვარო!“ – ასე დამილოცა გზა ალტამ იმ დღეს.

ვახტანგ მელიქიძე

სულის დონორი

„ვიცი, ვუყვარვარ გორში ვიღაცას,
ვიცი, ვიღაცა მტრად მთვლის,
თუ რამ შევძელი, თუ რამ ვიღვაწე,
ისევ და ისევ მათთვის“

ალ.ტაბატაძე

ბატონი ალექსანდრე ტაბატაძე, საქართველოს საამაყო შვილი, დიდი შემოქმედი, მუდამ მოუცლელი და მზრუნველი – ყვე-

ლა გორელის გულში მოკეთედ და სიყვარულითაა დარჩენილი. იგი გრძნობდა საზოგადოების ამ დიდ სიყვარულს და თავისი მამულიშვილური საქმიანობით ასმაგად გვიბრუნდება უკან. ბატონი ალექსანდრე თავისი სულის ნაწილს, ხალხს მუდმივად უნაწილებდა. როგორც თვითონ ამბობდა, ნაღდი პოეტი სულის დონორია და „სიკვდილის მერეც ნაღდი პოეტი ისევ დიდხანს რჩება დონორად“. დიახ, ბატონი ალექსანდრე დღესაც დონორია იმ თაობებისთვის, რომლებიც ეზიარებიან მის ხასხასა პოეზიას, აღიზარდნენ შემოქმედებით – შემეცნებით საბავშვო გაზეთ „ყაყაჩოზე“, რომელიც მთელი საქართველოს მასშტაბით დიდი პოპულარობით სარგებლობს.

მე ათეული წლები ვმუშაობდი გორის ცენტრალურ ფოსტაში, ხოლო ბატონი ალექსანდრეს რედაქცია სწორედ ფოსტის ერთ-ერთი განყოფილების ოთახში იყო განთავსებული, თანაც, ლექსებს ვწერდი. სწორედ აქედან დაიწყო ჩვენი მჭიდრო, საკმაოდ სასიამოვნო და ლამაზი მეგობრობა.

ხშირად ვსტუმრობდი ხოლმე თავის სამუშაო ოთახში, მესაუბრებოდა და მიკითხავდა ახალ ლექსებს. ეს ოთახი მისი შთაგონების წყარო იყო: შესისხლხორცებული და საყვარელი, რომელზეც არაერთი და ორი ლექსი აქვს დაწერილი.

ფოსტის საშუალებით სისტემატურად ვავრცელებდით მთელ საქართველოს მასშტაბით საბავშვო საყმაწვილო გაზეთ „ყაყაჩოს“. ეს მცირედი დახმარება იყო ჩემგან, რაც უდიდეს სიამოვნებას მანიჭებდა და სიამაყით მავსებდა.

მის მიმართ, როგორც მე, ასევე საზოგადოების უდიდესი ნაწილიც, მოწიწებითა და მოკრძალებით იყო განმსჭვალული, თუმცა იგი თავისი თავმდაბლობითა და უშუალობით ამის საბაბს არ იძლეოდა.

მისი შემოქმედებითი გზა არ იყო იავარდებით მოფენილი. უკანასკნელი კაპიკი შეეძლო გაეღო იმ დიდი საქმისთვის, რასაც უანგაროდ ემსახურებოდა.

მუდამ ეჩქარებოდა პოეზიის საღამოებზე, შეხვედრებზე, სუფრაზე, სულ სადღაც მიეჩქარებოდა, ალბათ, ნაადრევად, მარადისობაში გადასვლაც ამ სიჩქარის ხასიათთანაა რაღაცნაირად დაკავშირებული,

ვისაც კი ერთხელ გაუსეირნია ალექსანდრეს პოეზიის სურნელოვან ბაღში, მერწმუნეთ, იმ დამათრობელი სიამოვნებიდან თავის დახსნა არც ისე ადვილია და ასე გგონია, მთელი ცხოვრება ჩარჩები იმ სასიამოვნო შთაბეჭდილებაში.

გარდაცვალებაც ხომ სხვანაირი ჰქონდა, შთამბეჭდავი... ქართული ენის დღეს გარდაიცვალა... ზეიმზე იყო... სახლში დაბრუნდა და...

მას შემდეგ ამ შემზარავ მომენტს გავიხსენებ თუ არა, სულს მიშფოთებს მუდამ მისი წინათგრძნობა:

„ისე არაფრის მეშინია, როგორც ცოცხლად სულის დალევისა“... („პოზიცია“). მე კი ვიტყოდი, ბატონი ალექსანდრე გარდაიცვალა თავის ლექსებში, თავის ნახატებში, თავის პროზაში... ცოცხლობს დღემდე და დღეის იქითაც იცოცხლებს, ვინაიდან მისი ნათქვამი აქტუალურია და უკვდავი. იგი არა მარტო გორს ამშვენებდა, ბრწყინვალებას მატებდა ქართულ ლიტერატურას.

მისი ფიზიკური არარსებობა ძალიან მტკივნეულია ჩვენთვის, თორემ მე, მისი ბევრი უბერებელი ლექსით აღვიქვამ სამყაროს. ფიქრიანი თვალებით მომზირალი – აღარ დადის გორის ქუჩებში, მაგრამ მისი თავანკარა პოეზია მუდამ მახსენებს თავს.

სევდიანი სიხარული დამეუფლა, როდესაც გავიცანი მისი უკეთილშობილესი ძმა, ბატონი შალვა, რომელიც თავის სამეგობროსთან ერთად მოვიწვიე გორის კულტურის ცენტრში ბატონ ალექსანდრეს გახსენების საღამოზე.

გორელებს არასოდეს არ გვავიწყდება საყვარული პოეტის ნაღვაწი. დღესაც მოედინება ნათელი მისი საოცარი შემოქმედებიდან.

ალექსანდრე ტაბატაძე არა მარტო გორელებს, ჩემს საყვარელ მესხებსაც დააკლდათ. ამ ორი ადგილის საამაყო შვილს არდავიწყების ათინათი დასდგომია თავისი ლექსების სახით. თითქოს ერთმანეთს ვეჯიბრებით მესხები და ქართლელები, ვეცილებით მის სიყვარულში, მისი სახელის უკვდავებაში.

თამარ ლომსაძე,
საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი

კი არ გათავდი, ახლა იწყები...

ძნელია ემოციის გარეშე ისაუბრო ისეთ ადამიანზე, როგორიც ალექსანდრე ტაბატაძე იყო. როგორც კი მისი ლექსების კრებულს – „ერთხელ მაინც“ დავხედავ, წარსულიდან ამოტივტივდება ჩემი ბავშვობის მეხსიერებას შემორჩენილი დღეები, რომელიც განატრებინებს „ერთხელ მაინც“ კიდევ შეძლებოდეს ზოგი რამ დაბრუნდეს წარსულიდან, რაც, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, მაგრამ შურა ძიას ლექსებს შეუძლიათ თვითონ მიგვაბრუნონ წარსულში, კიდევ ერთხელ გაგვატარონ ის ბილიკები და ორღობეები, რომლებიც მოგონებებად ქცეულნი წარსულიდან მოემართებიან გარდაუვალი დასასრულისაკენ.

შურა ძია – ასე იმიტომ მოვიხსენიე ბატონი ალექსანდრე, რომ ჩემს ცხოვრებაში ის შემოვიდა ისე, როგორც შურა ძია. სოფელ აგარაში, ჩვენს მეზობლად, შოთაობისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე მიმავალი, დედ-მამის სანახავად სახელდახელოდ შემორბენილი კაცი, დაიბარებდა, რომ შოთაობიდან მობრუნებული, აუცილებლად შემოუვლიდა ისევ მეგობრებთან (მწერალთა კავშირის წევრებთან) ერთად, რაც იმას ნიშნავდა, რომ სუფრა უნდა დაეხვედრებინათ სტუმრებისთვის.

შურა ძიას მშობლებს სოფელ აგარაში წელგამართული ოჯახი ჰქონდათ და სტუმარ-მასპინძლობაც რიგიანად შეეძლოთ.

დატრიალდებოდნენ რებიკო ბაბო და ქალბატონი როზა (შურა ძიას და). საქათმეში ატყდებოდა ქათმების კრიახი. მახსოვს, ალექსი პაპას თევზებიც ჰყავდა აუზში ყოველთვის, საპატიო სტუმრებისთვის. სარდაფში კი – თავისი ხეივნის სუფთა წვენზე დამდგარი ღვინო.

ცოტა ხანში რებიკო ბაბო გადმოსძახებდა დედაჩემს: ელიკოჯან, დღეს ხანულობა ჩავშალოთ, შურამ უნდა გამოიაროს და ვერ მოვიცლიო. თათარბერაგი (ატრია) და თონის ცხელი პური უნდა დაეხვედრებინა აუცილებლად.

1988 წელს, სოფელ რუსთავში, შოთაობისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე ვიყავი წასული ჩემს დასთან – ნინოსთან ერთად, ნინომ თავისი ლექსი წაიკითხა. მწერალთა კავშირის წევრებს გამოეყო ამაყად მომზირალი კაცი და ჩვენსკენ წამოვიდა. ნინომ მითხრა – შურა ძია გახსოვსო? დანახვისთანავე ვიცანი, გამახსენდა ლექსებით რომ ამბობდნენ სადღეგრძელოებს ის და მისი მეგობრები. ბატონი ალექსანდრე ჩვენთან მოვიდა, მოგვეფერა. ნინიკო შეაქო და უთხრა, რომ გორში აუცილებლად მიიწვევდა ფოლკლორისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე. ასეც მოხდა. მომავალ წელს მიიწვიეს ნინო იმ ღონისძიებაზე. სამწუხაროდ, მე ვერ მოვახერხე გავყოლოდი ჩემს დას. ჩემი უფროსი და, მაყვალა ახლდა თან ნინოს. გახარებია შურა ძიას. გორის ციხეზე ასულან...

1995 წელს შოთაობამდე აღარ მინახავს ბატონი ალექსანდრე. შოთაობის წინა დღეს ქალბატონმა ელენე დიდიმამიშვილმა მთხოვა, შოთაობაზე წამეყვანა. დავეთანხმე. გამგეობას ერთი ჯაყ-ჯაყა „პაზიკი“ გამოეყო ხალხის რუსთავში წასაყვანად. წავედით მე და ქალბატონი ელენეც. ძლივს მივაღწიეთ რუსთავამდე. ძალიან დავაგვიანეთ. მწერალთა კავშირის წევრებს მისალმებელი სიტყვა დაემთავრებინათ და სცენიდან ჩამოდიოდნენ. ბატონი ალექსანდრეც აქ იყო. მაშინ გურამ ფანჯიკიძე იყო მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, ამდენ ხალხში ძლივს მოვახერხეთ მათთან მისვლა. მოიკითხეს ერთმანეთი მეგობრულად და პოეტურ-მწერლურად. ქალბატონმა ელენემ ჩემი თავი გააცნო მწერალთა კავშირის წევრებს. შურა ძიამ შინაურულად მომიკითხა. – საიდან იცნობო, გაუკვირდა ქალბატონ ელენეს, – საიდან და, აბა, ჰკითხე, ჯავახური სომინის გემო თუ არ იცისო, – მიუგო შურა ძიამ. იცინეს.

ალექსანდრე ტაბატაძეს

„მზე დედამიწას ეხვეოდა ნაზად და ფრთხილად“.
ვაჟს და ქალიშვილს
მათ ასწავლეს ალბათ ალერსი...
კვერნაკის მთაზე,
საოცარი სიმშვიდით გძინავს
სამოცდაათი წლის ზეიმზე, ჩემო ალექსი!
მე შენს თვალებში მინახია ცრემლების ტბორი,
არ გიფასებდნენ გულბოროტნი გაწეულ ამაგს.
სიტყვით და საქმით გადგიხდია მრავალი ომი,
წმინდანმა სულმა ვერ გაუძლო შხამსა და ღალატს.

აკაკი გიძინაშვილი

მერე ქალბატონმა ელენემ, დაღლილობის გამო, სკამი ითხოვა. ცოტა ხანს ჩამოვჯდები, გული მიფრიალებსო. ვერსად ვნახე სკამები, უკვე წაელოთ.

– სკამი რად გინდა, ქალბატონო ელენე, ჩვენს გულებში რომ ზიხარ, განა საკმარისი არ არისო, – იხუმრა ბატონმა ალექსანდრემ.

მართლაც, ყველასთვის და ყველაფრისთვის იყო მის გულში ადგილი: უფლისთვის, საქართველოსთვის, მესხეთისთვის, მშობლებისთვის, მეგობრებისთვის, ჯავახეთის ბუხრებისთვის, ყაყაჩოებისთვის, ლექსებისთვის, სიცოცხლისთვის და თვით სიკვდილისთვისაც კი...

2004 წელს, აღდგომის მეორე დღეს, ორშაბათს, საღამო ხანს, მივედი სახლში, სოფელ აგარაში. მამამ მითხრა: – კარგი იქნებოდა, არ დაგეგვიანებინა, ალექსძიაანთ შურას უნდოდა შენი ნახვაო. ვინანე. მეც ძალიან მინდოდა მისი ნახვა. ამ დროს ბატონ ალექსანდრეს ლექსზე – „ბარათი გოკიის ტყეში მოჩუხჩუხე წყაროს“, – უკვე საპასუხო წერილი-ლექსი მქონდა დაწერილი, რომელიც „ლიტერატურულ მესხეთში“ გამოვაქვეყნე. შურა ძიას წაეკითხა ეს ლექსი და მოსწონდა.

აღარ მოხერხდა მისი ნახვა, რამდენიმე კვირის შემდეგ კი გავიგეთ მისი გარდაცვალების ამბავი. 14 აპრილს, დედაენის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე თავისი ლექსები წაუკითხა პოეტმა საზოგადოებას და ოჯახში მობრუნების შემდეგ წავიდა იმ შორეული გზით, რომელსაც ყოველივე ამქვეყნიური, უკვე გარდაუვალი დასასრულიდან მიჰყავს მარადიულ უსასრულობაში.

„შეხვედრის დრო ახლოვდება, მამა,
ამ „საქმეებს“ თითქმის უკვე მოვრჩი და,
მალე მეც იმ შორეულ გზით წავალ,
შენ რომ ერთხელ გაუყევი მორჩილად“.

„თითქმის საქმეებს“ მორჩენილ პოეტს, ვინ იცის, კიდევ რამდენი დარჩა გასაკეთებელი.

საინტერესოა, ვის მიმართავს პოეტი ლექსით:

„როცა ამქვეყნად აღარ ვიქნები
და როცა ყველას დავავიწყდები,
შენ გამიხსენე და მე მივხვდები, –
კი არ გავთავდი, ახლა ვიწყები.
როცა ვიღაცა ჭიქას აგივსებს,
აწკრიალდება როცა ჭიქები,
შენ ოღონდ წამით მომისაკლისე
და იქაც, იქაც კარგად ვიქნები.“

ვინ არის ის „შენ“. იქნებ ლექსია, მშობლიური მზეა, ან გორის ციხე, იქნებ ყაყაჩოა, ან გოკიის წყარო... ან რამდენი ვინმე და რამე, ვისაც და რასაც პოეტი ეფერებოდა გარითმული სტრიქონებით... იქნებ მეგობარია, დედმამიშვილია, ან შვილიშვილია... იქნებ მეც და შენც, მკითხველო... ყველას შეუძლია თავისი თავი იპოვოს არა მხოლოდ ამ ორიოდე სტროფის „შენ“-ში, არამედ, მის უამრავ ლექსში, ვინც ალექსანდრე ტაბატაძეს იცნობდა.

„მე კი, მხოლოდ, აი რა შემიძლია ვთქვა:
... ვიდრე მეც ვინმე მომისაკლისებს,
ვიდრე ამქვეყნად ისევ ვიქნები,
მე გაგიხსენებ და შენ
მიხვდები –
კი არ გათავდი, ახლა იწყები.
მერე კი, როცა ჩემი
დროც მოვა,
და მეც შევიცვლი ჩემს
საბინადროს,
ჩემი სიცოცხლის წამებს
შენსავით,
მოსაგონებლად მეც
სხვას მივანდობ...

ელვარდ ზაზაძე

„მეორე იაკობი“

შიდა ქართლის საყმაწვილო გაზეთი „ყაყაჩო“ მრავალათასიანი ტირაჟით გამოდიოდა და წლების განმავლობაში ახარებდა ბავშვებს, როგორც მათი ერთგული და საუკეთესო მეგობარი.

გაზეთის პოპულარობა ცნობილი საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე ტაბატაძის სახელს უკავშირდება.

ვერ ვიტყვი – პოეტთან ახლო ურთიერთობა მქონდა-მეთქი.

იგი თავის საუფლოში ცხოვრობდა, სადაც შეღწევა არც ისე ადვილი იყო.

ორი შეხვედრა მაინც განსაკუთრებით დამამახსოვრდა:

ერთხელ, სამეფოს ქუჩაზე, „ყაყაჩოს“ რედაქციაში ვესტუმრე, საბავშვო ლექსი მივუტანე დასაბეჭდად...

მეორედ, გორის მწერალთა განყოფილებაში შევხვდი:

ქართული ენის დღეს, შიდა ქართლელმა ავტორებმა საჩუქრად საკუთარი წიგნები გავუგზავნეთ სამაჩაბლოელებს.

შევნიშნე – ბატონ ალექსანდრეს წიგნებთან ერთად სათუთად გადანახული „ყაყაჩოს“ ძველი ნომრებიც ეპყრა ხელთ...

განყოფილების ხელმძღვანელის ჯემალ ინჯიას ინიციატივით, იქვე, სახელდახელოდ, საიუბილეო საღამოც მოეწყო; „ყაყაჩოს“ რედაქტორს დაბადებიდან 70 წელი მივულოცეთ...

მეორე დღეს პოეტის მოულოდნელად გარდაცვალების ამბავი შევიტყეთ...

ალექსანდრე ტაბატაძემ ლამაზად იცხოვრა და ამ ქვეყნიდანაც ლამაზად წავიდა, თუნდაც იმიტომ, რომ ბოლო დღემდე კი არა, ბოლო წუთებამდე უშურველად დაიხარჯა სამშობლო ქვეყნისთვის. თუნდაც იმიტომ, რომ ქართული ენის დღეს აღესრულა. ის ხომ მთელი ცხოვრება ჩვენი ერის ღვთაებრივი საუნჯის – დედაენის მომფერებელი გახლდათ.

ალექსანდრე ტაბატაძე, ქართული ენის დღეს გარდაცვალებას, ალბათ, ვერ წარმოიდგენდა. მისი ერთი ლექსიდან, რომელიც ყაყაჩოებისადმი სიყვარულითაა დაწერილი, ცნობილია, რომ პოეტს თიბათვეში სურდა სიკვდილი:

„მე მინდა მოვკვდე თიბათვის თვეში,
ყაყაჩოების სიცილ-კისკისში,
ყაყაჩოების ცეცხლისფერ თქეშში
ვესვენო, ცოცხალს ვგავდე სიკვდილშიც...
წავალ და წასვლას სულ არ ვიდარდებ
და ახლობლები მე არ მიწყენენ,
რომ მივდიოდე იქ, საიდანაც
ყაყაჩოები მოსვლას იწყებენ“.

ტაძრისკენ მიმავალ გზას ნათლის სვეტი დაფენოდა. ქვეყნის წინაშე ვალი მოხდილი ჰქონდა და წასვლასაც აღარ დარდობდა. აკი აღნიშნა კიდეც:

„აქ მოვიხადე ჩემი ვალი ცისა და მიწის,
იქ რა იქნება, იმ ნაპირზე, არავინ იცის“.

„ყაყაჩომ“ მეორე იაკობად გაქციაო“ – წერდა გამოსათხოვარ წერილში პოეტი ჟუჟუნა ვაშაგაშვილი.

ახლა, როცა ბედმა „ყაყაჩოს“ რედაქტორობა მარგუნა წილად, ასე მგონია, ალექსანდრე ტაბატაძის სული ტრიალებს ჩემს ირგვლივ. ასე რომ არ იყოს, არც ეს სტრიქონები დაიწერებოდა.

დავით ახლოური,
საქართველოს მწერალთა კავშირის შიდა ქართლის, ცხინვალისა და ახალგორის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე



სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ფონდებში დაცულია 25 ათასზე მეტი ექსპონატი. საცავები შინაარსის მიხედვით დაყოფილია არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ნუმიზმატიკის, საეკლესიო, ფოტო და ხელნაწერთა განყოფილებებად.

ხელნაწერთა ფონდში ინახება როგორც ქართული, ასევე სომხური ხელნაწერები, ძველი ნაბეჭდი წიგნები და მხარის საზოგადო მოღვაწეების მიერ სხვადასხვა წლებში შეგროვილი საარქივო მასალა.

საარქივო მასალის შესწავლა, მასში მოცემული ყოველგვარი ცნობა და ცოდნა, განსაკუთრებით მნიშვნელობას იძენს ჩვენს დროშიც, როდესაც საჭირო გახდა საკუთარი ისტორიის ღრმად შესწავლა და დაცვა.

„ივ.ჯავახიშვილი პირველობას და უპირატესობას ანიჭებდა ქართულ ზნე-ჩვეულებასა და ზეპირსიტყვიერებაში შემონახულ სინამდვილის შესწავლას!“ („წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“, მიხ. თამარაშვილი, გვ. 245, ბათუმი, 2017).

საქართველოს სამხარეთმცოდნეო საზოგადოება სწორედ ასეთ მიზანს ისახავდა, როდესაც მან 1937 წლის ზაფხულში გამოჩენილი მკვლევარის სერგი მაკალათიას ხელმძღვანელობით გაგზავნა ისტორიული ხასიათის ექსპედიცია სამცხე-ჯავახეთში, სადაც ორი თვე იმუშავა და შეკრიბა დიდი და უაღრესად საინტერესო მასალა.

„ექსპედიციის ხელმძღვანელი სერგი მაკალათია ექსპედიციაში მუშაობის დროს ხელის შეწყობისთვის და მასალების მიწოდებისათვის მადლობას უხდის ეთო აკოფის ძე დავლაშერიძეს (სოფ. როკეთი), ვასილ გოგოლაძეს (სოფ. ბარალეთი), მაკრინე ინასარიძეს (სოფ. მურჯახეთი), ვანო ივანეს ძე სანდროსაშვილს (სოფ, რუსთავი), კოტე გვარამაძეს (ქ.ახალციხე), კოტე არჩილის ძე სამსონიძეს (სოფ. ტატანისი), გრიგოლ ჩიტაძეს (სოფ. ვალე), არსენ სუდაძეს (სოფ. ღრელი)“ სერგი მაკალათია – „მესხეთ-ჯავახეთი“, თბ. 1938 წ., გვ. 3).

ექსპედიციაში შეკრებილი ფოლკლორული მასალა ჩაწერილია ექსპედიციის წევრების ილია მაისურაძისა და გიორგი გოგოლაძის მიერ, რომელთა გარკვეული ნაწილი ინახება ჩვენს ფონდში.

მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში აგრეთვე დაცულია მუზეუმის ყოფილი მეცნიერ-თანამშრომლის ვახტანგ სუდაძის არქივი. ავტორს ხელნაწერ N 104-ში განხილული აქვს „სოფელ ტობის ეთნოგრაფიული აღწერა“.

იმედი გვაქვს აღნიშნული შრომა დააინტერესებს გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მკითხველებს, რომელსაც აქვე უცვლელად გთავაზობთ.

ამასთან შევეცდებით პერიოდულად მივაწოდოთ ჩვენს ერთგულ მკითხველებს მუზეუმის არქივში დავანებული მასალები, რაც დიდად დაინტერესებს გაზეთის მკითხველებს.

გრიგოლ ჯვარიძე,
სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ფონდების კურატორი,
ლევან ლაფაჩი,
ფონდების ასისტენტი

ნასოფლარ ტობის ისტორიიდან

სოფელი ტობა მდებარეობს ახალციხიდან ათი კილომეტრის დაშორებით, აღმოსავლეთ სამხრეთით სოფელი შემოზღუდულია ირგვლივ მაღალი კლდიანი მთებით და გორებით.

ტობას, აღმოსავლეთით საზღვრავს სოფელ რუსთავის მიწა-წყალი, სახელდობრ, თელათი ყანები და ყარა-ყურშაღის ხევი.

სამხრეთით საზღვრავს მდინარე მტკვარი. დასავლეთით საზღვრავს სოფელ მინაძის მიწა-წყალი, სახელდობრ: ჩოქაქები, ღელურები, სერები. ჩრდილოეთით საზღვრავს სოფელ კვალთახევის და ორფოლის მიწა-წყალი, სახელდობრ: შორაღები, ყარა-ყაია, სადაო, სამარილიები, სამარილიების გვერდები.

თვით სოფელი ტობა მდებარეობს პატარა ტაფობში. ტაფობის ფართობი ორ კვადრატულ კილომეტრს უდრის, დანარჩენი ადგილები მთაგორიანი და მწირი, მოუსავლიანი ნიადაგისაგან შესდგება. სოფ. ტობის მცხოვრების, კოლმეურნეობის წევრი, წერა-კითხვის მცოდნე 30 წლის ოლისიმ სუდაძის გადმოცემით უწინდელ დროს ჩვენი სოფლის ადგილას ყოფილა ნასოფლარი.

მტრების შემოსევით ის ხალხი გავერნებულა. ჩვენი სოფელი და მთლიანად მიდამოები განხდარა უღრან ტყეთ.

მას შემდეგ ამ ნასოფლარში პირველად დასახლებულა სამი კომლი 1).თათრები, თამარაძეებათ წოდებულნი; 2) სუდაძე; 3).თათრები ვარასკნელიძეები.

ეს სოფელი მოშენებულა ამ სამი კომლისაგან, მხოლოდ შემდეგ ჩაჰმატებია რამდენიმე გვარი. ჩვენი სოფლის ადგილას წინეთ რომ ნასოფლარი ყოფილა, ეს იქიდან სჩანს რომ ახალ სახლებს როცა ვაკეთებთ, მიწაში ჩნდება ნასახლარები, სხვადასხვა საოჯახო ჭურჭელი, ღვინის ქვევრები.

1926 წ. სახლის აშენებისას როცა მიწა გათხარეს, ნიკო ასპანიძემ ამოიღო დიდი ჭური, რომელშიც ჩადის 30 ფუთი ხორბალი. ეს ჭური ამჟამადაც საღია და ხმარობს ხორბალ პურის შესანახად.

მათე სუდაძის სახლში მიწაში არის ოთხი ჭური. გავთხარეთ, უნდა ამოგვეღო, მაგრამ ჭურები დახეთქილი იყო, ე.ი. მოსახმარებლად არ ივარგებდა, ამიტომაც არ ამოვიღეთ.

1937 წელს გავჭარით სამარე. რომ უნდა დაგვემარხა მიცვალებული იორდან ასპანიძის ცოლი ქეთო, მიწაში გამოჩნდა ხმალი თავის ქარქაშით და დოქი. დოქი დაუზიანებელია, დავტოვეთ ჩვენ ეკლესიაში, ხმალი კი ისევ სამარეში ჩავაგდეთ.

უწინ ჩვენი სოფლის ყურძენი მთელ მხარეში განთქმული ყოფილა. პავლე პაპას ცოლი იტყოდა: ვენახებს რომ ვეძახით, ის მზიგული მთლად ვენახებით იყო დაფარული, ისეთი ვენახი, რომ ტოტიდან ტოტზე დავდიოდით და ხშირათ ვიკარგებოდითო.

შემდეგ რაც ეს სახელმწიფო გზა გაიყვანეს, ნიკოლოზის დროიდან, ვენახები გაჩეხეს. მხოლოდ ახლა დარჩენილია ერთი ძირი. სოფლის ბაღებში სუდაძე მათეს აქვს ვენახი, ისხავს კარგად და კარგადაც მწიფდება. წელს ოც ფუთამდე ესხმოდა, სოფელი ღრელი რომ აუოხრებიათ, იქიდან გამოქცეულ სუდაძეს შეუფარებია ტობას, როგორც მიუვალი ადგილი და მტერი ძნელად მიუდგებოდა და იქიდან მოშენებულა ჩვენი სოფლის ქართველობა.

ძველად ჩვენ მხარეში ყოფილა თათრობა, იყო ძალიან ყაჩაღობა: იტაცებდნენ ცხვარძროხას, ქალ-ვაჟს და მიჰყავდათ. ერთხელ მათე პაპაი თურმე ცხვარს აძოვებდა ვენახების თავში, დახვდა ხუთი ენგიჩარი. ხუთ კაცმა ვერ შეძლო მათე პაპას ხელების გაკვრა, მერე, როგორც იყო, მიიყვანეს კლდის პირას და გადააგდეს ათ საჟენიან სიმაღლის კლდიდან. ჩავარდნისას არ მოკვდება, მერე ერთ დიდ ქვას ჩაარტყამენ და ისე მოჰკლავენ.

მას შემდეგ ის ენგიჩარები წაასხავენ ცხვარს.

ვენახებში არის ხუთი-ექვსი ნაფაგარი. ამ ნაფაგარების შესახებ არაფერი ვიცი.

სოფელ ტობიდან მიმავალ ღრმა ხევით პატარა წყალი (ნაკადული) ერთვის მტკვარს. თურმე, ერთხელ, მებადურებმა ნახეს, რომ ამ პატარა წყალს ნაფოტი მოაქვს. ეს წყალი იმ დროს არც ისე პატარა იქნება. მებადურები დაინტერესდებიან, ალბათ აქ ვინმე ცხოვრობსო და ხევზე შეჰყვებიან. წყალში ტოპატოპით ავლენ ჩვენ სოფელში. ნახავენ, რომ სამი კომლი ცხოვრობს. ამათგან ერთი კომლი სახლს აკეთებს. ის ნაფოტი იყო წყალმა რომ წაიღო. იმ მებადურების შემდეგ დარქმევია ტოპა და ახლაც ეძახიან ტობას.

აღმოსავლეთით ნახევარ კილომეტრის სიშორეზე არის ნაეკლესიევი წმინდა მარინეს სახელობის. წინეთ მოხუცებული ბებრები სანთელს ანთობდნენ.

ნაეკლესიევი ამჟამად მიწასთანაა გასწორებული. ეკლესია ნაშენი ყოფილა უბრალო ქვითკირით. გარშემო ნასოფლარი არ სჩანს.

მეორე ნაეკლესიევი არის სოფლის ჩრდილოეთით, ასი საჟენის მანძილზე, წმინდა გიორგის სახელობის. აქაც მოხუცები ანთობენ სანთლებს. ეკლესიის კედლები ნაშენია უბრალო ქვითკირით და თითქმის მიწასთანაა გასწორებული.

ეკლესიის გარშემო არის სასაფლაო ძველი დროის.

სოფლის აღმოსავლეთი მხარე:

1). ზვარიები – ერთი კილომეტრის მანძილზე;
2).ლექთიები – ორი კილომეტრის მანძილზე;
3). უნაგირიები – სამი კილომეტრის მანძილზე;
4). ორთა ყუზიები – ოთხი კილომეტრის მანძილზე;
5). სატრაწავები – ოთხი კილომეტრის მანძილზე.

სამხრეთი:

1). ზეუბნები: ნახევარი კილომეტრი;
2). საჩხუკიები: ერთი კილომეტრი;
3). გოხი ათაღი: ერთი კილომეტრი;
4).ბებნაძი კატრები: ორი კილომეტრი;
5).ფილტა გვერდი: ორი კილომეტრი;
6). ფაგები: ორნახევარი კილომეტრი;
7). ვენახები: ოთხი კილომეტრი;
8). საცურავი: სამი კილომეტრი.

დასავლეთი:

10. ფაშა ფუარი: ერთი კილომეტრი;
2).ლოდრანა: ერთი კილომეტრი;
3).კურდღულა ვაკე: ნახევარი კილომეტრი:
4).ქარხნები: ასი საჟენი;
5).კაცნები: ერთი კილომეტრის მანძილზე;
6).ყამიშლი დარა: ორი კილომეტრი.

ჩრდილოეთი

1).ღოღნაშო თარაგი: ნახევარი კილომეტრი;
2).სიფირგა იათაღი: ორი კილომეტრი;
3).კლდეკარი: ორი კილომეტრი;
4). სერები: სამი კილომეტრი;
5).ქალთა ყანები: ოთხი კილომეტრი;
6). ჩოქაქები: ოთხი კილომეტრი;
7).შუა სერები: ხუთი კილომეტრი;
8).ყაია ყაიები: ოთხი კილომეტრი;
9). შორაღები: ხუთი კილომეტრი;
10). სადაოები: ექვსი კილომეტრი;
11).სამარილიები: ოთხი კილომეტრი;
12).აგრი ოლები: სამი კილომეტრი;
13). ჩიტი ღელე: ოთხი კილომეტრი;
14). სანგლი თავი: ორი კილომეტრი;
15). თელათი თავები: ხუთი კილომეტრი;
16).ოქაქების წყაროები: ხუთი კილომეტრი;
17). შორაღების წყაროები: ხუთი კილომეტრი;

სოფ. ტობა. ლ.კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობა. ბესო სუდაძე, 80 წლის, კოლმეურნე წევრი;

მუშაობა და ლაპარაკი კარგად შეუძლია.

მისი გადმოცემა:

ჩვენი სოფლის დაშორებით ხუთი ვერსით (კილომეტრი), ახლანდელი ახალქალაქის გზის ზემო მხარე, მთელი მზიგული ორი ვერსის კვადრატული ფართობი დაფარული ყოფილა გარეული ვენახით.

წინეთ სანამ ლეკი და ყიზილბაში შემოესეოდა (ყიზილ-ბაში: წითელთავა, ე.ი. თავზე ჰქონიათ წითელი ნაჭერი შემოხვეული). ამ ჩვენს მხარეში სულ ქართველები ყოფილან დასახლებული. ლეკებს და ყიზილბაშებს ეს ქართველობა სულ ამოუწყვეტიათ და მას შემდეგ დარჩენილი ბაღები და ვენახები გაგარეულებულან. მაგ მზიგულში ვენახი ყოფილა ისე, როგორც ტყე. ცხონებული დედაჩემი, ღმერთმა ისიც აცხონოს და თქვენი მიცვალებულიც, იტყოდა ხოლმე: კალათებით წავიდოდით ყუძნის მოსაკრეფად და რამდენჯერმე დავკარგულვარ და ძლივს ვუპოვივარო. შემოდგომით, ყურძენი რომ დამწიფდებოდა, მოსაკრეფად მოდიოდნენ მუსხელები, ღრელელები და კიდევ სხვა სოფლელები.

მე, ასე, ათი წლისა ვიქნებოდი, იმ დროს საფარის საღდრები სულ ცარიელი იყო. საფარაში მოვიდა ერთი ნეკრი (ფერშალი კაცი, რომელიც ბავშვებს ცრიდა სხვადასხვა ავადმყოფობის წინააღმდეგ). ნეკრმა რომ გაიგო აქ ასეთი ყურძენი არისო, გამოვიდა ჩვენს სოფელში, მოელაპარაკა ხალხს, აიღო ის ადგილები, იქვე ნაფაგარში (ნასახლარი) სახლი გაიკეთა, მოუარა ვენახს და ისეთი ყურძენი მოიყვანა, რომ კაცი თითო მტევანს ვერ შეშჭამდა.

ყურძენი მიჰქონდა საფარას და იქ სწურავდა ღვინოს. შემდეგ იმ ღვინის ნაწილს არიგებდა ყველა სოფლის საყდრებში ზედაშისათვის (საზიარებელი ღვინო).

რამდენიმე წლის შემდეგ ის ნეკრი მოკვდა. ვენახებს ყური ვერავინ უგდო, სწორედ იმ დროს გაიყვანეს ახალქალაქის გზა – და მგზავრებმა მთლად მოსპეს ვაზობა. მხოლოდ ამჟამათ რამდენიმე ღერია დარჩენილი.

აგრეთვე ვაზის რამოდენიმე ძირი არის ოხერის ადგილებში ყიზილ კაპნებთან (წითელ კაპნებთან), იქვე არის საწნახელი.

სოფელშიც აქვთ ვაზის ძირები: კოლა სუდაძეს, მათე სუდაძეს, ბაშათ თეიფურ ოგლს, ისკანდირ ჰამიდ ოგლს, ფეზო მაჰმუდ ოგლს, ამ ხალხს ბაღებში აქვთ ორიდან ხუთ ძირამდის, ხეებზე შეხვეული. ეს ვაზები კარგი გემოს ყურძენს ისხამს, მაგრამ ღვინის დაწურვა არავის უცდია.

წინეთ, აქ რომ დიდი მევენახეობა და მეღვინეობა სცოდნიათ, ეს იქიდან ჩანს, რომ ძველ ნაფაგარების გათხრისას ამოდის ღვინის ჭურები. სოფელში არის ორმოცდახუთი

კვამლი. გაღმა და გამოღმა მალა (უბანი). აქედან 22 კვამლი თათრები და 23 კვამლი ქართველები.

ქართველები არია ორი გვარის სუდაძეები და ასპანიძეები. თათრებსაც აქვთ ქართული ორი გვარი: ვარასკრელიძე და თამარაძე. ეს თათრები ამ ორი გვარისაგან მოშენებულან.

ამჟამად ქართველები მართლმადიდებლებია და თათრები კი მაჰმადიანები.

ქართველების ეკლესია აღარ მუშაობს, დაკეტილია, თათრები კი ყოველთვის ლოცულობენ სახლში. ქართველები მარხვას აღარ იჭერენ და აღარც სარწმუნოებას მისდევენ, თათრებს კი რამაზანი (მარხვა) ახლაც მაგრათ უჭირავთ.

თათრებს წელიწადში ორი დღესასწაული აქვთ – ა[illegible]ბაირამ და ყურბან ბაირამი (ნამდვილი ბა[illegible] და საღმთო ბაირამი).

სოფელში უძველესი გვარი თათრებისაა. სჩანს, როცა აქაურობა აუოხრებიათ. ესენი გათათრებულან და ვინც არ გათათრებულან, ისინი გაუწყვეტიათ.

სუდაძეები სოფელ ღრელიდან გადმოსულან. ასპანიძეები სოფელ ვალიდან ჩასიძევებულან.

სუდაძეების გვარის წარსული ისტორია ასეთია: პაპაჩემი იტყოდა: სუდაძეებს უცხოვრიათ ჭობისხევში, შვიდი ძმანი ყოფილან, ყველა ცოლშვილიანი. უნცროს ძმას ქორწილი რომ ქონია, ბატონს მოუთხოვია პატარძალი. ძმებს ეს შეურაცხყოფა ვერ აუტანიათ და ბატონი მოუკლავთ. იქიდან ეს შვიდივე ძმა გამოქცეულან ქორწილითვე, სადაც მთელი მაყრები და ღვდელიც იქნება. ღამე წამოსულებს გაუთენებიათ ღრელის ადგილებში, საფარის გადასავალ გზასთან გათენებისას მექორწილენი იქ პურს ჭამენ, ღვდელი ავათ გახდება და ეტყვის მექორწილეებს: შვილო, ვაითუ მოვკვდე და რომ ჯვარდაუნერელი არ დარჩეთ, სჯობია ჯვარი დაგწეროთ და დასწერს ჯვარს. ამიტომაც იმ ადგილებს ახლაც საჯვარეს ეძახიან.

ეს მექორწილენი შეფარებულან ღრელში და საცხოვრებლათაც იქვე დარჩენილან.

ღრელის ბატონს მიუცია მიწები და უცხოვრიათ. მართლაც ბოლშევიკებამდის (ე.ი. გასაბჭოებამდის) ღრელი ორ ნაწილად იყოფოდა: სუდაძეების გვარი შეადგენდნენ საბატონოს, ნებაძეები კი სახელმწიფოს.

ბატონყმობის დროს ასეთი წესი იყო. ბატონს მიჰქონდა ხუთში ერთი. კალოს რომ გავლენდით, ხვავიდან აიღებდა ბაჰრას. ხვავის ნაძირალს ცოცხით კი არ მიაგვიდა, ისევ ნიჩბით, რაც მოიხვეტებოდა. იმას გავიყოფდით. ის ხვავის ნაძირალი კი გლეხს რჩებოდა. ერთხელაც ბაჰრის ასაღებად მარტო შუბაში მივა (მოურავი). შუბაშიც ბაჰრას რომ აიღებს, ხვავის ნაძირალს ცოცხით წააგვის. პაპაჩემი ანდრია ეტყვის შუბაშს, ნუ შვრები, აგრე ჩემი ოჯახის ბარაქა ნუ მიგაქო. შუბაში თავისას არ დაიშლის. მამაჩემსაც გული მოუვა, დასცხემს კოდს და თავს გაუტეხს შუბაშს. პაპაჩემი იტყვის, რომ მე ბატონის მოვალე აღარ ვიყვეო, იქიდან გამოქცეული ტობას გამოვა და აქ შეაფარებს თავს, რომლის შემდეგაც სუდაძეები გამრავლდნენ ტობაში.

ტობაში სულ სცხოვრობენ 45 კვამლი თათრები და ქართველები ერთად. აქედან კოლმეურნეობაში გაერთიანებული არიან 38 კვამლი, 7 კვამლი კოლმეურნეობის გარეშეა.

სოფლის მეურნეობაში უმთავრესად ეწევიან მიწათ-მოქმედებას.

ქერობა (გაზაფხულის ხვნა) იწყება მარტის ნახევრიდან თუ სუბუქი ზამთარია და თუ მძიმე ზამთარია, ხვნა-თესვა იწყება აპრილის პირველიდან, გასტანს მაისის პირვლამდის.

გაზაფხულზე სათესი მიწები მზადდება შემოდგომიდანვე, ე.ი. ღარავენ (ღარვა ნიშნავს ყანის ხვნას არუნათი, არუნა კვალს რომ გაავლებს, დაშლილი მიწა მეორე კვალში არ ცვივა. ასე რომ ყანა თითქოს დაკვალულიაო. ესე მიტომ იქცევიან, რომ ზამთარში დადებული თოვლი გაზაფხულზე რომ გადნება, წყალი დაიკაოს კვლებმა და შეითვისოს.



შემოდგომით დახნულებული ყანები გაზაფხულზე ძალიან რბილია, რის გამო გაზაფხულის თესლობაზე შეაბავენ თითო უღელ ხარს არუნებში და ჩივთებში, ასე ხნავენ ყანებს.

თესვის დროს თუ წვიმიანი ამინდია, ჯერ ყანას მოხნავენ და ზეიდან დათესენ. თესვა ყველა გლეხს არ შეუძლია. შეუძლიათ დახელოვნებულ პირებს და ვინც ნაკლებად არის დახელოვნებული იმის მეხრე უთესპირებს, ე.ი. ერთ ყოლს რომ დასთესავს (ყოლი=კლავს) მეორე ყოლის ნაპირ-ნაპირ გაჰყვება მეხრე და მთესველიც თესვით მისდევს უკან. ასეთი წესით ითესება ყველა ხორბლეული. გაზაფხულზე ყველაზე ადრე ითესება დიკა, შემდეგ ქერი და მას შემდეგ სიმინდი.

თუ გაზაფხულზე მშრალი ამინდი დადგა, მაშინ ყანებს ჩაახნავენ, ე.ი. ჯერ დასთესენ და მერე მოხნავენ, იმიტომ, რომ თესლი ღრმად ჩაცვივდეს. ვინაიდან მიწას სიღრმეში სისველე აქვს და უფრო მალე აღმოცენდება.

მაისის ბოლო რიცხვებამდის ჯეჯილი უკვე გადამჯდარია და თუ სარეველა ბალახი ურევია, კარგად სჩანს, მაშინ მიდიან და არჩევენ ყანებს სარეველა ბალახებისაგან. ყანების გაწმენდაზე მუშაობენ ქალები და ბავშვები.

მაისის ბოლო რიცხვებში იწყება სიმინდის და კართოფილების გაჩაფა (გათოხნა).

სოფელი პირველ თოხს ათავებს ხუთ-ექვს დღეში, ათ ან თხუთმეტ დღეს დაისვენებენ.

შემდეგ იწყობენ მეორე ჩაფას (თოხს). მეორე ჩაფა ნიშნავს კართოფილების და სიმინდების შემოყელას, ანუ ძირზე მიწის შემოყრას.

პურეული

მცენარეების მკა

ყანების თიბვა ჩვენში იწყება კათათვის პირველიდან და გრძელდება თხუთმეტამდის. ყანების თიბვის დროს ჩვენში იციან დამოდგება, ე.ი. რამოდენიმე გლეხი ერთად კოლეკტიურულად დაამუშავებენ ყანებს. კალოს ყველა გლეხი ცალკე თავისთვის ღეწავს. თუ კარგი დარია, კალოს ღეწვას ათავებენ სექტებრის პირველიდან თხუთმეტამდის და თუ ავდრიანი ამინდი იქნა, კალოს ღეწვა გრძელდება ოქტომბრის ბოლო რიცხვებამდის.

სიმინდის ჭრა იწყება სექტემბრის ოციდან დეკემბრის თხუთმეტამდის.

მოჭრილ სიმინდს მიიტანენ სახლში და გაარჩევენ ქალები. გარჩეულ სიმინდს დააგროვებენ კალოზე, შემდეგ დაუძახებენ მეზობლების ახალგაზრდა ვაჟებს და კეტებით დანაყებენ სიმინდს ოთხი საათის განმავლობაში. იმ საღამოთი დანაყილ სიმინდს მეორე დილაზე სუფთათ მოგვილ კალოზე მოფენენ, ასე გაიმეორებენ ოთხ-ხუთ დღეს, ბოლოს სუფთად გააკეთებენ ცხრილებით და მზათ ექნებათ საწისქვილოთ.

ივნისის შუა რიცხვებიდან იწყებენ ყანების თერძვას (ე.ი. ყანების ხვნა საშემოდგომო თესვისთვის). თერძვა ხშირად გრძელდება ერთ თვეს. ყანებს ხნავენ გუთნით და ჯილღით.

აგვისტოს ბოლო რიცხვებიდან იწყება გათერძილი ყანების გაოშვა. ე.ი. მეორედ ხვნა. სექტემბრის ბოლო რიცხვებიდან იწყება საშემოდგომო დოლის ან ჭვავის თესვა. გაოშილ ყანებს დაბორჯღავენ, დასთესენ და მერე დაფარცხავენ.

ჩვენ სოფელში ხმარობენ შემდეგ იარაღებს: ჯილღა, ხის გუთანი, არუნა, ჩივთი, ფარცხი, ბორჯღი; ეს იარაღები ყველა ხმარებაშია, გარდა ხის გუთნისა.

ზემოთ ჩამოთვლილი სამეურნეო იარაღები ყველა ხმარებაშია. ტრაქტორს ვხმარობთ გამონაკლის შემთხვევაში. ტრაქტორი ეკუთვნის სატრაქტორო სადგურს.

ტრანსპორტისათვის ჩვენში ხმარობენ პატარა ურმებს (საბარგო, ჯავახეთში ასე ეძახიან, ჩვენ ვეძახით არაბას).

დიდი ურემი (თავღორი ურემი), მარხილი.

ჩვენ მოშენებული გვყავს შემდეგი საქონელი:

ხარი, კამეჩი, ფურ-კამეჩი, ძროხა, ცხვარი, თხა, ღორი, ცხენი, ვირი, ჯორი.

საქონლის საკვები არ გვყოფნის, ვისაც შეძლება აქვს ყიდულობს სხვა სოფლებიდან და ვისაც შეძლება არა აქვს, გლერძს უზიდავენ და იმით კვებავენ საქონელს მთელი ზამთრის განმავლობაში.

წინეთაც და ახლაც ჩვენში იციან საჩოხე შალის ქსოვა, ქვისა და ხის ოსტატობა.

ჩვენი დასახელობი შეიძლება ასე დავახასიათოთ: წინ კარაპანი, სახლში შესავალი დერეფანი, დარბაზი, ბოსელი, ბოსლის ოდა, იაზლული (საზაფხულო ოდა), ფურნი სახლი, საციო, საცხვარე, სათონე (ფურნი სახლს ხშირად სათონეს ეძახიან).

სამზითვო კიდობანი, ხალიჩები, ჭილობები, ჯეჯიმები, ხურჯინი, დიდი ორყური ქვაბი, კოდიანი ქვაბი, თანჯარა, დიდი ტაფა, პატარა ტაფა, საკოვზე, საჯი, სამოვარი, და ზოგიერთი სხვა წვრილმანი ავეჯები.

ჩვენებური ტანსაცმელი: ქუდი, ანუ ჩაჩანი, შეკერილი ცხვრის ტყავისაგან;

ჩოხა, ზუბუნი, ელაგი, პერანგი, შარვალი, ნიფხავი, წინდები, ქალამნები, პაჭანიკები, პაიჭები. ქალის ტანსაცმელი: ლეჩაქი, ან თავშალი, კურტკა, ზუბუნი, პერანგი, კაბა, იკბა, საცვალი.

კვება: ჩვენში ხალხი იკვებება პურით, გამონაკლის შემთხვევაში ქერიან პურით და მჭადით, კართოფილით, ლობიოთი, ყველით, ერბოთი და შინაური ცხოველების და ფრინველების ხორცით.

აქ არის გავრცელებული შემდეგი გარეული ცხოველები: მგელი, დათვი, მელა, კურდღელი. გარეული ფრინველებიდან: გარეული ქათამი, გარეული იხვი, მწყერი, შაშვი, ჩხიკვი, გუგული, ხე-კოდალა, შოშია, მერცხალი, წითელ-გულა ჭივჭავი, გნოლი, ქორი, ავდრის ჩიტი, ძერა, ყვავი, კაჭკაჭი, ჭილყვავი.

ვახტანგ სუდაძე

არსენ კარაპეტიანი

მიძღვნა ნაათნოვას

ლამაზების დიდ კრებულში
უცხო ტურფა ლალი შენ ხარ,
ტრფობის კოცონს მინთებ გულში,
ცხარე ცეცხლის ალი შენ ხარ.
მაგ ფიქრიან თვალებს ვფიცავ,
ნეტა იმას, ჰკოცნის ვინცა,
ზურმუხტი ხარ, მარჯანიცა,
ძვირფასი ქვა, ლალი შენ ხარ.
იქნებ მზე ხარ ეგრე ცხარე,
ან გაშლილი ბადრი მთვარე,
ოქროს ბეჭედში ელვარე
ლურჯ ფირუზის თვალი შენ ხარ.
ვით ვთქვა ქება ბროლის ყელის,
მაგ ზარიფი წმინდა წელის,
ყვავილოვან მინდორ-ველის
მოხდენილი ხალი შენ ხარ.
მიხსენ ტანჯვას, მომეც ხელი,
მე სიცოცხლეს შენგან ველი,
მონადირის გულისმწველი
ოქროსთმება დალი შენ ხარ.
ტანს ვერ ვარჩევ ალვის ხიდან,
თვალთა სიღრმეს – შავი ზღვიდან,
უშენობას ვერ ავიტან,
სიცოცხლის ბადალი შენ ხარ.
თვალებს წამწამთ ჯარით მალავ,
გულს მიკოდავ, წყლულით მჭვალავ,
ისარს მესვრი, მშვილდს მიმალავ,
ტინის კლდეზე სალი შენ ხარ.
როგორც ნავი მღელვარ ზღვაში
ისე დავალ ქვეყანაზე,
დამატარებ შენს ნებაზე,
გრიგალი და ქარი შენ ხარ.
შენთვის ცეცხლის ალზე გავალ,
აზვირთებულ ზღვაში შევალ,
ათას მტერთან მარტო გავალ,
ჩემი მცველი ფარი შენ ხარ.
ხან მომალხენ, ხან მაღონებ,
რაც გინდა თქვა, მაინც გმონებ,
ნაყოფსავსე ბეღს მაგონებ,
მწვანე მთა და ბარი შენ ხარ.
მოდი, მოდი, ტურფა ქალო,
იაგუნდის ანათალო,
ათასიც რომ დამემალო,
ნორჩი მგოსნის ცალი შენ ხარ.

ჯივანის ჰანგზე

თუ რომ ტურფამ მოგცეს ხელი,
შენც მოჰკიდე, რაღას ელი,
ქალი ბევრის საყვარელი,
გინდ ყოფილა, გინდა არა.
სანამ ყრმა ხარ, გულით სრული,
სატრფიალოდ ძგერდეს გული,
მოხუცისთვის სიყვარული,
გინდ ყოფილა, გინდა არა.
საბრძოლველად იყო გმირთან,
საქეიფოდ – ენატკბილთან,
ჭკვიანური სიტყვა ვირთან
გინდ ყოფილა, გინდა არა.
ცოდნის წყარო არა შრება,
მას ჭკვიანი ეწაფება,
სულელისთვის დარიგება
გინდ ყოფილა, გინდა არა.
გონიერი ჭკუას ხმარობს,
ლოთი კიდევ ღვინით ხარობს,
თუ რომ კაცი მუდამ მთვრალობს,
გინდ ყოფილა. გინდა არა.
თუ ცაზე დგას კარგი დარი,
სასიმღეროდ კვნესის თარი,
მსუქან ლუკმის მეგობარი
გინდ ყოფილა, გინდა არა.
ზღვა რომ ზღვაა, ისიც შრება,
ფოლადიც კი ცეცხლში დნება,
მეტის მეტი მოთმინება,
გინდ ყოფილა, გინდა არა.
მოწაფე გყავს ჭკუით მდარე,
რას ასწავლი, ოფლი ღვარე,
კედელს ფეტვი შეაყარე,
გინდ ყოფილა, გინდა არა.
ტრფობის მალვა ბევრს სურს ბარე,
მეც ვეცადე, დიდხანს ვფარე,
ხანძარს თივა დააფარე,
გინდ ყოფილა, გინდა არა.
რეგვენისთვის არის მდარე,
გინდ პირიდან ოქრო ყარე,
ბრმა კაცისთვის ტურფა მხარე,
გინდ ყოფილა, გინდა არა.



„ფაქნატურია, თუ როგორი ჭკვიანი ხდება ჰოლიტიკოსი იმ მოვლენებიდან ათი წლის გასვლის შემდეგ, როცა საჭირო იყო მაშინ მისი სიჭკვიანე“.

დევიდ ლოიდ ჯორჯი

მატიანე

რეზო ჩხეიძე კინოფილმის – „დონ კიხოტისა და სანჩოს“ გადაღების დროს ასპინძის რაიონში. 1988 წელი. სურათი მოგვაწოდა შალვა ტაბატაძემ

ახალი წიგნის – „და მაინც სიყვარული“ – წარდგენა

ამ დღეებში ქ. ვალეს საზოგადოებრივ ცენტრში გაიმართა ღვაწლმოსილი პედაგოგისა და პოეტის ვახტანგ მელიქიძის მორიგი ახალი წიგნის „და მაინც, მხოლოდ სიყვარული“ – წარდგენა, რომელსაც ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს შემდეგი სიტყვები:

„ეს წიგნი მე ვარ ჩემი ავკარგით,
ამ შუქჩრდილებით როდი ვარ მშვიდი!
არც არასოდეს არა ვყოფილვარ
საკუთარ თავის მეხოტბე დიდი“.



თანაქალაქელებთან და სკოლის მოსწავლეებთან წიგნის ავტორის შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა ქ.ვალეს ცენტრალური ბიბლიოთეკის გამგემ მზია ჯანაშვილმა.

ვახტანგ მელიქიძემ შეკრებილ საზოგადოებას წარუდგინა თავისი ახალი გამოცემა და წაიკითხა საკუთარი ლექსები.

ახალი წიგნისა და მისი ავტორის შესახებ ისაუბრეს ქ.ვალეს კულტურის სახლის დირექტორმა მანანა გოგოლაძემ, ახალციხის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების მთავარმა სპეციალისტმა ზაირა კელაპტრიშვილმა, პენსიონერმა პედაგოგმა ეთერ რობაქიძე-მელიქიძემ, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა ქ.ვალეში ალექსანდრე ბარბლიშვილმა, მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის ადმინისტრატორმა შალვა ტაბატაძემ, კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების უფროსმა გიორგი ჟუჟუნაძემ (რომელმაც წიგნის ავტორს სიმბოლური საჩუქარი გადასცა), ახალციხის საკრებულოს დეპუტატმა ქ.ვალეში გიორგი ზაქროშვილმა, ხოლო ვალეს N1 და N2 საჯარო სკოლების მოსწავლეებმა წაიკითხეს ვახტანგ მელიქიძის ლექსები.

ქ.ვალეში ახალი წიგნის წარდგენა პირველად გაიმართა, რის გამოც გამოითქვა აზრი, რომ მომავალში კვლავ მოეწყოს ანალოგიური ღონისძიებები, რასაც ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი.

საკ. ინფორმაცია

მადლობა

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია დიდ მადლობას უხდის ჩვენი გაზეთის ერთგულ მეგობარს და გულშემატკივარს, მისი წარმატებებისა და გაჭირვების გამზიარებელს, უანგარო თანამდგომსა და დიდ მამულიშვილს, ქალბატონ ლიანა მანჩხაშვილს ფინანსური დახმარებისათვის.

ყოფიერების ფიქრები

ყვავების გასაკვირი

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის იმპერიის ტრანსპორტის და გემთა მიმოსვლის მინისტრი იყო გრალი პოსიეტი. იგი სპეციალობით მეზღვაური და სამხედრო გემის კაპიტანი გახლდათ. ერთხელ მისი გემი ოკეანეში სხვა გემს შეეჯახა, რის გულისთვისაც გაასამართლეს, თუმცა მის კარიერას ეს დიდად არ დასტყობია, ვინაიდან იმპერატორი ალექსანდრე III მისი ახლო მეგობარი იყო.

მისი მინისტრობის დროს მოხდა სარკინიგზო კატასტროფაც, რომელიც ადამიანთა მსხვერპლით დამთავრდა. ერთ ლიანდაგზე საპირისპიროდ მიმავალი ორი მატარებელი დაეჯახა ერთმანეთს. მინისტრი დაუყოვნებლივ ჩავიდა შემთხვევის ადგილზე და სადგურის უფროსს ცეცხლი შეუნთო. მას თავი ჩაექინდრა და ხმას არ იღებდა. როდესაც პოსიეტი მოიღალა ლანძღვა-გინებით, ბოლოს განრისხებულმა შეჰყვირა: – ხმა ამოიღე, რას გაჩუმებულხარო!

თქვენო მაღალკეთილშობილებავ, რა გითხრათ, როცა ლიანდაგი ერთია და ორი მატარებელი ერთმანეთის საპირისპიროდ მოძრაობს, ისინი აუცილებლად დაეჯახებიან ერთმანეთს, მაგრამ როცა უზარმაზარ ოკეანეში ორი გემი ეჯახება, აი ეს არის გასაკვირიო!

შთამომავლობითი დეგენერატი

დიდი ქართველი ფიზიოლოგი, აკადემიკოსი ივანე თარხნიშვილი პეტერბურგში მოღვაწეობდა და რუსეთში თავის დარგში აღიარებული ავტორიტეტი იყო.

ერთხელ იგი აგარაკზე ეწვია თავის მეგობარს, დიდ რუს მხატვარს, რეპინს. მხატვარმა სტუმარს დაათვალიერებინა თავისი ბოლო ნამუშევრები. მეცნიერი ნანახით აღფრთოვანებას ვერ მალავდა.

– თქვენ უზარმაზარ სიმაღლეებს მიაღწიეთ, ფუნჯით გადმოსცე ადამიანის ფიზიოლოგიური მდგომარეობა, ეს ფანტასტიკურია. მე ფიზიოლოგი ვარ და კარგად შემიძლია შევაფასო სურათზე გამოსახული თითოეული ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა. მაგალითად ეს ყმაწვილი ნამდვილი დეგენერატია, ეს შთამომავლობითია და მას მამაც დეგენერატი ეყოლება. მაინც ვინ არის ეს ყმაწვილი? – უთხრა ბოლოს?

– ჩემი შვილია, იური. – მიუგო მხატვარმა.

თამაზ ჩიკვაიძე

მესხური გამონათქვამები

***

კარებს რომ ძალა მიადგება, სიმართლე ჭერიდან აძვრება.

***

დათვი ტყეს შემოსწყრა, ტყემ არაფერი იცოდა.

***

ავი ცოლის პატრონი სხვის კვდრის სატირალზე არ უნდა დადიოდეს, რადგან თავის თავზედაც ტირილი საკმაოა მისთვის.

***

მეზობლის ქალს არ შეირთავს,
ნაკოცნი იქნება,
შორიდან მოიყვანს, –
ნაღლეტი გამოდგება.

***

მოვითმინე, – გავხდი მდარე,
მოუთმენლობით დოვლათი ქრება,
მოთმენა რკინის კარებს განახვინებს,
მოითმინე გულო, მოითმინე.

***

კუდა ცხენი მინდორში კარგა გაიქცევა.

***

ამბავი სოფლის ბოლოს პატარა ბიჭს კითხე.

***

კაცი უნდა მართლის მთქმელი,
რომ ტყუილი არ ერიოს,
მაშინ ღმერთი მოიგონოს
კაცი რო კაც მოერიოს.

ჩაიწერა ნიკო ასათიანმა 1930 წ. ახალციხის სახელმწიფო მუზეუმის ფ. N3102.
მოგვაწოდა გრიგოლ ჯვარიძემ და ლევან ლაფაჩმა

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scri.co; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, **ვახტანგ ინაური,** სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. “საარის” სტამბაში.
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24,
lit.shti@il.co
lit_meskheti@yahoo.com

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ დამატება * მარტი. 2019 *

2018 წლის 28 მარტის
საქმე N2366233-2/246-18 წ.

განჩინება

გამოქვეყნდეს საჯარო შეტყობინება (ცნობა) შემდეგი სახით:

ახალციხის რაიონული სასამართლოს წარმოებაშია სამოქალაქო საქმე N2366233-2/246-18წ. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის განცხადების გამო, ქონების უპატრონოდ ცნობის თაობაზე.

უპატრონოდ საცნობი მოძრავი ნივთებია:

2014 წლის 24 აპრილს ახალციხის სატყეო უბნის ურაველის სატყეოს კვ. N22 ლიტერ N8-ში ნანახი იქნა უკანონოდ მოჭრილი წიწვოვანი (ნაძვის) ჯიშის IIხარისხის 28 (ოცდარვა) ძირი ხის ძირკვი, საერთო მოცულობით 12,056 მ3, აქედან 0,98 მ3 ხე-ტყე იყო ჭრის ადგილზე, ხოლო დანარჩენი დატაცებული. უკანონოდ ჭრის შედეგად გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 642,20 (ექვსასორმოცდაორი ლარი და ოცი თეთრი) ლარი. აღნიშნული ხე-ტყე მიღება-ჩაბარებისაქტითმიბარდაურაველის სატყეოს ტყისმცველსკობა მოდებაძეს.

2014 წლის 24 აპრილს ახალციხის სატყეო უბნის ურაველის სატყეოს კვ. N20 ლიტერ N11 და N12-ში ნანახი იქნა უკანონოდ მოჭრილი წიწვოვანი (ნაძვის და ფიჭვის) ჯიშის II ხარისხის 30 (ოცდაათი) ძირი ხის ძირკვი, საერთო მოცულობით 18,0 მ3, აქედან 0,54 მ3 ხე-ტყე იყო ჭრის ადგილზე, ხოლო დანარჩენი დატაცებული. უკანონოდ ჭრის შედეგად გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 967,14 (ცხრაასსამოცდაშვიდი ლარი და თოთხმეტი თეთრი) ლარი. აღნიშნული ხე-ტყე მიღება-ჩაბარებისაქტითმიბარდა ურაველის სატყეოს ტყისმცველსკობა მოდებაძეს.

2014 წლის 25 აპრილს ახალციხის სატყეო უბნის ურაველის სატყეოს კვ. N18 ლიტერ N17-ში ნანახი იქნა უკანონოდ მოჭრილი წიწვოვანი (ნაძვის) ჯიშის II ხარისხის 18 (თვრამეტი) ძირი ხის ძირკვი, საერთო მოცულობით 13,31 მ3, აქედან 3,54 მ3 ხე-ტყე იყო ჭრის ადგილზე, ხოლო დანარჩენი დატაცებული. უკანონოდ ჭრის შედეგად გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 686,88 (ექვსასოთხმოცდაექვსი ლარი და ოთხმოცდარვა თეთრი) ლარი. აღნიშნული ხე-ტყე მიღება-ჩაბარებისაქტითმიბარდა ურაველის სატყეოს ტყისმცველსმურმან სუდაძეს.

2014 წლის 29 აპრილსახალციხის სატყეო უბნის ურაველის სატყეოს კვ. N19 ლიტერ N19-ში ნანახი იქნა უკანონოდ მოჭრილი წიწვოვანი(ნაძვის) ჯიშის II ხარისხის ხის ძირკვი, საერთო მოცულობით 9,77 მ3, აქედან 2,76 მ3 ხე-ტყე იყო ჭრის ადგილზე, ხოლო დანარჩენი დატაცებული. უკანონოდ ჭრის შედეგად გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 502,74 (ხუთასორი ლარი და სამოცდათოთხმეტი თეთრი) ლარი. აღნიშნული ხე-ტყე მიღება-ჩაბარებისაქტითმიბარდა ურაველის სატყეოს ტყისმცველსმურმან სუდაძეს.

2014 წლის 20 მაისს ახალციხის სატყეო უბნის წინუბნის სატყეოს კვ. N62 ლიტერ N33-ში ნანახი იქნა უკანონოდ მოჭრილი წიწვოვანი და ფოთლოვანი (ნაძვის და მუხის) ჯიშის I და II ხარისხის ხის ძირჯვები, საერთო მოცულობით 2,13 მ3 (მათ შორის: I ხარისხის ხე-ტყე 1,39 მ3 და II ხარისხის ხე-ტყე 0,74 მ3), მოჭრილიხე-ტყედატაცებულიიყომოპოვებისადგილიდან,უკანონოდ ჭრის შედეგად გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 796,92 (შვიდასოთხმოცდათექვსმეტი ლარი და ოთხმოცდათორმეტი თეთრი) ლარი. ხოლო აღნიშნულ ხის ძირკვებთან ნანახი იქნა ბენზო-ხერხი, რომელიც დაილუქაN 4876019 ლუქით და განთავსდა სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის ადმინისტრაციულ შენობაში (ქ. ახალციხე, ასპინძის ქ. N32).

2014 წლის 17 ივნისს ნანახი იქნა ახალციხის სატყეო უბანის სვირის სატყეოს კვ. N32-ში განთავსებული ლენტური ხერხი (ბენზინის ძრავით), გენერატორი „HONDA“, სალესი დანადგარი და სამი ცალი სახერხი ლენტა, რომლებიც გადატანილი და განთავსებული იქნა სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს სასაწყობო ტერიტორიაზე (ქ. ახალციხე, 9 აპრილის ქუჩა).

2014 წლის 03 სექტემბერს ახალციხის სატყეო უბნის სვირის სატყეოს კვ. N9 ლიტერ N10-ში ნანახი იქნა უკანონოდ მოჭრილი წიწვოვანი (ფიჭვის) ჯიშის ჯიშის I ხარისხის 3 მეტრი სიგრძის 25 (ოცდახუთი) ცალი მორი, საერთო მოცულობით 5,181 მ3. უკანონოდ ჭრის შედეგად გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 586,30 (ხუთასოთხმოცდაექვსი ლარი და ოცდაათი თეთრი) ლარი. აღნიშნული ხე-ტყე მიღება-ჩაბარებისაქტითმიბარდა სვირის სატყეოს ტყისმცველსტრისტან დალალიშვილს.

2014 წლის 03 სექტემბერს ახალციხის სატყეო უბნის ელიაწმინდის სატყეოს კვ. N6 ლიტერ N19-ში ნანახი იქნა უკანონოდ მოჭრილი წიწვოვანი (ნაძვის) ჯიშის ჯიშის I ხარისხის ხე-ტყე, საერთო მოცულობით 5,807 მ3. უკანონოდ ჭრის შედეგად გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 638,77 (ექვსასოცდათვრამეტი ლარი და სამოცდაჩვიდმეტი თეთრი) ლარი. აღნიშნული ხე-ტყე მიღება-ჩაბარებისაქტითმიბარდა ელიაწმინდის სატყეოს ტყისმცველსგელა გელაშვილს.

2014 წლის 23 სექტემბერს ახალციხის სატყეო უბნის წინუბნის სატყეოს კვ. N13 ლიტერ N11 და N12-ში ნანახი იქნა უკანონოდ მოჭრილი წიწვოვანი (ნაძვის და ფიჭვის) ჯიშის I და II ხარისხის ხის ძირკვი, საერთო მოცულობით 7,86 მ3, აქედან 0,98 მ3 ხე-ტყე იყო ჭრის ადგილზე, ხოლო დანარჩენი დატაცებული. უკანონოდ ჭრის შედეგად გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 772,90 (შვიდასსამოცდათორმეტი ლარი და ოთხმოცდაათი თეთრი) ლარი. აღნიშნული ხე-ტყე მიღება-ჩაბარებისაქტითმიბარდა წინუბნის სატყეოს ტყისმცველსგრიგოლ ლაბაძეს.

2014 წლის 20 დეკემბერს ახალციხის სატყეო უბნის წინუბნის სატყეოს კვ. N66-ში ნანახი იქნა უკანონოდ მოჭრილი წიწვოვანი და ფოთლოვანი (ნაძვის, სოჭის და რცხილის) ჯიშის ჯიშის I და II ხარისხის ხე-ტყე, საერთო მოცულობით 11,10 მ3 (მათ შორის: I ხარისხის ხე-ტყე 7,10 მ3 და II ხარისხის ხე-ტყე 4,0 მ3). უკანონოდ ჭრის შედეგად გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 971,0 (ცხრაასსამოცდათერთმეტი) ლარი. აღნიშნული ხე-ტყე მიღება-ჩაბარებისაქტითმიბარდა წინუბნის სატყეოს ტყისმცველსზურაბ ჯეირანაშვილს.

2018 წლის 02 აპრილის
საქმე N2378808-2/283-18 წ.

განჩინება

გამოქვეყნდეს საჯარო შეტყობინება (ცნობა) შემდეგი სახით:

ახალციხის რაიონული სასამართლოს წარმოებაშია სამოქალაქო საქმე N2378808-2/283-18წ. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის განცხადების გამო, ქონების უპატრონოდ ცნობის თაობაზე.

უპატრონოდ საცნობი მოძრავი ნივთებია:

2016 წლის 25 იანვარს ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბნის ტაძრისის სატყეოს კვ. N17-ში ნანახი იქნა უკანონოდ მოჭრილი წიწვოვანი (ნაძვის და სოჭის) ჯიშის I და II ხარისხის სხვადასხვა მეტრის სიგრძის 14 (თოთხმეტი) ცალი მორი, რომლის წვრილი თავის გადანაჭრელის დიამეტრებია: I ხარისხის - 1) 24 სმ, 2) 28 სმ, 3) 36 სმ, 4) 28 სმ, 5) 56, 6) 54 სმ, 7) 30 სმ, 8) 26 სმ; II ხარისხის - 1) 24 სმ, 2) 20 სმ, 3) 18 სმ, 4) 16 სმ, 5) 25 სმ, 6) 27 სმ; საერთო მოცულობით 5,854 მ3 (მათ შორის: I ხარისხის ხე-ტყე 4,065 მ3 და II ხარისხის ხე-ტყე 1,789 მ3). უკანონოდ ჭრის შედეგად გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 527,66 (ხუთასოცდაშვიდი ლარი და სამოცდაექვსი თეთრი) ლარი. აღნიშნული ხე-ტყე დროებითი შენახვის მიზნით განთავსებული იქნა ბორჯომის რაიონის სოფელ საკირეში (ყოფილი კოლმეურნეობის პირუტყვის სათავსოს მიმდებარე ტერიტორიაზე), რომლის შემდგომ დაცვას უზრუნველყოფდაბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბნის ტყის მცველი ბეგლარ ფერაძე.

2016 წლის 30 იანვარს ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბნის ბაკურიანის სატყეოს კვ. N22-ში ნანახი იქნა უკანონოდ მოჭრილი წიწვოვანი (ფიჭვის) ჯიშის II ხარისხის, საერთო მოცულობით 3,78 მ3. უკანონოდ ჭრის შედეგად გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 170,10 (ასსამოცდაათი ლარი და ათი თეთრი) ლარი. აღნიშნული ხე-ტყე შემდგომი დაცვის მიზნით განთავსებული იქნა ბორჯომის რაიონის სოფელ ანდეზიტში ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბნის ტყის მცველის გივი არუთინოვის საცხოვრებელი სახლის ეზოს მიმდებარე ტერიტორიაზე და მიღება-ჩაბარებისაქტითმასზედ იქნა მიბარებული.

2016 წლის 06 თებერვალს ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბნის ჩარხისწყლის სატყეოს კვ. N21-ში ნანახი იქნა უკანონოდ მოჭრილი წიწვოვანი და ფოთლოვანი (ნაძვის, წიფელის და ქართული მუხის) ჯიშის I და II ხარისხის სხვადასხვა მეტრის სიგრძის 25 (ოცდახუთი) ცალი მორი, რომლის წვრილი თავის გადანაჭრელის დიამეტრებია: I ხარისხის - 1) 24 სმ, 2) 28 სმ, 3) 26 სმ, 4) 23 სმ, 5) 28, 6) 30 სმ, 7) 26 სმ, 8) 22 სმ, 9) 21 სმ, 10) 28 სმ, 11) 30 სმ, 12) 23 სმ, 13) 29, 14) 24 სმ, 15) 28 სმ, 16) 24 სმ, 17) 23 სმ; II ხარისხის - 1) 26 სმ, 2) 25 სმ, 3) 20 სმ, 4) 18 სმ, 5) 31 სმ, 6) 24 სმ, 7) 30 სმ, 8) 33 სმ; საერთო მოცულობით 5,914 მ3 (მათ შორის: I ხარისხის ხე-ტყე 3,203 მ3 და II ხარისხის ხე-ტყე 2,711 მ3). უკანონოდ ჭრის შედეგად გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 533,0 (ხუთასოცდაცამეტი) ლარი. აღნიშნული ხე-ტყე დროებითი შენახვის მიზნით მიღება-ჩაბარებისაქტით მიბარდაბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბნის ტყის მცველსკობა ბარათაშვილს.

2016 წლის 18 თებერვალს ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბნის წაღვერის სატყეოს კვ. N5-ში ნანახი იქნა უკანონოდ მოჭრილი წიწვოვანი (ნაძვის) ჯიშის I ხარისხის 16 (თექვსმეტი) ძირი ხის ძირკვი, საერთო მოცულობით 8,271 მ3, აღნიშნული ხე-ტყის ჭრის ადგილზე განთავსებული იყო 1,25 მეტრის სიგრძის 84 (ოთხმოცდაოთხი) ცალი მრგვალი მორი, რომლის წვრილი თავის გადანაჭრელის დიამეტრებია: 32 სმ, 31 სმ, 29 სმ, 28 სმ, 30, 29 სმ, 28 სმ, 25 სმ, 26 სმ, 24 სმ, 26 სმ, 22 სმ, 23 სმ, 20 სმ, 34 სმ, 18 სმ, 32 სმ, 24 სმ, 27 სმ, 28 სმ, 30 სმ, 31 სმ, 32 სმ, 22 სმ, 26 სმ, 22 სმ, 30 სმ, 32 სმ, 24 სმ, 23 სმ, 30 სმ, 21 სმ, 29 სმ, 20 სმ, 26 სმ, 25 სმ, 21 სმ, 26 სმ, 28 სმ, 23 სმ, 19 სმ, 19 სმ, 31 სმ,32 სმ, 29 სმ, 24 სმ, 29 სმ, 28 სმ, 27 სმ, 35 სმ, 29 სმ, 22 სმ, 20 სმ, 43 სმ, 38 სმ, 39 სმ, 26 სმ, 27 სმ, 34 სმ,25 სმ, 18 სმ, 28 სმ, 26 სმ, 25 სმ, 26 სმ, 31 სმ, 20 სმ, 30 სმ, 29 სმ, 28 სმ, 19 სმ, 23 სმ, 25 სმ, 23 სმ, 19 სმ,30 სმ, 31 სმ, 23 სმ, 24 სმ, 20 სმ, 28 სმ, 20 სმ, 21 სმ, 24 სმ, საერთო მოცულობით 6,846 მ3, რომლის დაცვას უზრუნველყოფდა ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბნის წაღვერის სატყეოს ტყის მცველი ჯუმბერ თედიაშვილი. უკანონოდ ჭრის შედეგად გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 941,16 (ცხრაასორმოცდაერთი ლარი და თექვსმეტი თეთრი) ლარი. 2016 წლის 16 აპრილს აღნიშნული 84 (ოთხმოცდაოთხი) ცალი მორიდან 59 (ორმოცდაცხრამეტი) ცალი მორი წვრილი თავის დიამეტრებით: 32 სმ, 31 სმ, 29 სმ, 28 სმ, 30 სმ, 29 სმ, 28 სმ, 25 სმ, 26 სმ, 24 სმ, 26 სმ, 22 სმ, 23 სმ, 20 სმ, 34 სმ, 38 სმ, 32 სმ, 24 სმ, 27 სმ, 28 სმ, 30 სმ, 31 სმ, 22 სმ, 32 სმ, 26 სმ, 22 სმ, 30 სმ, 32 სმ, 24 სმ, 23 სმ, 30 სმ, 21 სმ, 29 სმ, 36 სმ, 20 სმ, 26 სმ, 25 სმ, 21 სმ, 26 სმ, 28 სმ, 23 სმ, 19 სმ , 19 სმ, 31 სმ, 32 სმ, 29 სმ, 24 სმ, 29 სმ, 28 სმ, 27 სმ, 35 სმ, 29 სმ, 22 სმ, 20 სმ, 43 სმ, 38 სმ, 39 სმ, 26 სმ, 27 სმ, შემდგომი დაცვის მიზნით გადატანილი და დასაწყობებული იქნა სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმარ-

→

თველოს სასაწყობო ტერიტორიაზე (ქ. ახალციხე, 9 აპრილის ქუჩა).

2016 წლის 26 თებერვალს ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბნის ბორჯომის სატყეოს კვ. N20 ლიტერ N3-ში ნანახი იქნა უკანონოდ მოჭრილი წიწვოვანი (ნაძვის) ჯიშის I ხარისხის ხე-ტყე, საერთო მოცულობით 3,47 მ3. უკანონოდ ჭრის შედეგად გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 381,70 (სამასოთხმოცდაერთი ლარი და სამოცდაათი თეთრი) ლარი. აღნიშნული ხე-ტყე დროებითი შენახვის მიზნით მიღება-ჩაბარებისაქტით მიბარდაბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბნის ტყის მცველს კახა კახელს.

2016 წლის 09 აპრილს ბორჯომის სატყეო უბნის ტაძრისის სატყეოს კვ. N9-ში ნანახი იქნა უკანონოდ მოჭრილი წიწვოვანი (ნაძვის და ფიჭვის) ჯიშის I ხარისხის ექვსი მეტრის სიგრძის 13 (ცამეტი) ცალი მრგვალი მორი, რომლის წვრილი თავის გადანაჭრელის დიამეტრებია: 1) 28 სმ, 2) 30 სმ, 3) 24 სმ, 4) 28 სმ, 5) 28, 6) 29 სმ, 7) 23 სმ, 8) 27 სმ, 9) 25 სმ, 10) 33 სმ, 11) 36 სმ, 12) 34 სმ, 13) 30, საერთო მოცულობით 6,31 მ3. უკანონოდ ჭრის შედეგად გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 694,10 (ექვსასოთხმოცდათოთხმეტი ლარი და ათი თეთრი) ლარი. აღნიშნული მორები შემდგომი დაცვის მიზნით გადატანილი და დასაწყობებული იქნა სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს სასაწყობო ტერიტორიაზე (ქ. ახალციხე, 9 აპრილის ქუჩა).

2016 წლის 13 აპრილსბორჯომის სატყეო უბნის ჩარხისწყლის სატყეოს კვ. N2-ში ნანახი იქნა უკანონოდ მოჭრილი წიწვოვანი (ნაძვის) ჯიშის I ხარისხის 2 (ორი) ძირი ხე, საერთო მოცულობით 7,904 მ3, უკანონოდ ჭრის შედეგად გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 869,44 (რვაასსამოცდაცხრა ლარი და ორმოცდაოთხი თეთრი) ლარი. აღნიშნული ხეები დამორილი იქნა 3 და 6 მეტრის სიგრძის 7 (შვიდი) ცალ მორად, რომლის წვრილი თავის გადანაჭრელის დიამეტრებია: სამი მეტრის - 1) 76 სმ, 2) 72 სმ, 3) 79 სმ, 4) 82 სმ, 5) 23 სმ; ექვსი მეტრის - 1) 32 სმ, 2) 34 სმ და მორები შემდგომი დაცვის მიზნით გადატანილი და დასაწყობებული იქნა სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს სასაწყობო ტერიტორიაზე (ქ. ახალციხე, 9 აპრილის ქუჩა).

2016 წლის 14 აპრილს ბორჯომის სატყეო უბნის ჩარხისწყლის სატყეოს კვ. N28 ლიტერ N12-ში ნანახი იქნა უკანონოდ მოჭრილი წიწვოვანი (ნაძვის და ფიჭვის) ჯიშის I ხარისხის 8 (რვა) ძირი ხის ძირკვი, საერთო მოცულობით 5,92 მ3, აღნიშნული ხე-ტყის ჭრის ადგილზე განთავსებული იყო 1,2 მეტრისსიგრძეზე დამორილი 80 (ოთხმოცი) ცალი მორი, წვრილი თავის დიამეტრებით: ნაძვი - 32 სმ, 30 სმ, 28 სმ, 23 სმ, 30 სმ, 18 სმ, 19 სმ, 25 სმ, 27 სმ, 25 სმ, 26 სმ, 21 სმ, 20 სმ, 17 სმ, 26 სმ, 23 სმ, 20 სმ, 17 სმ, 26 სმ, 30 სმ, 16 სმ, 29 სმ, 26 სმ, 24 სმ, 23 სმ, 20 სმ, 28 სმ, 20 სმ, 27 სმ, 28 სმ, 19 სმ, 17 სმ, 27 სმ, 29 სმ, 32 სმ, 29 სმ, 30 სმ, 17 სმ, 14 სმ, 19 სმ, 22 სმ, 24სმ , 26 სმ, 29 სმ, 31 სმ, 30 სმ, 39 სმ, 36 სმ, 33 სმ, ხოლო ფიჭვი - 20 სმ, 18 სმ, 16 სმ, 25 სმ, 27 სმ, 23 სმ, 20 სმ, 26 სმ, 27 სმ, 21 სმ, 30 სმ, 32 სმ, 36 სმ, 30 სმ, 27 სმ, 29 სმ, 30 სმ, 19 სმ, 22 სმ, 26 სმ, 21 სმ, 29 სმ, 26 სმ, 28 სმ, 31 სმ, 23 სმ, 20 სმ, 30 სმ, 32 სმ, 23 სმ, 20 სმ. უკანონოდ ჭრის შედეგად გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 651,20 (ექვსასორმოცდათერთმეტი ლარი და ოცი თეთრი) ლარი. აღნიშნული მორები შემდგომი დაცვის მიზნით გადატანილი და დასაწყობებული იქნა სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს სასაწყობო ტერიტორიაზე (ქ. ახალციხე, 9 აპრილის ქუჩა).

2016 წლის 17 აპრილსბორჯომის სატყეო უბნის ჩარხისწყლის სატყეოს კვ. N5-ში ნანახი იქნა უკანონოდ მოჭრილი წიწვოვანი (ნაძვის და სოჭის) ჯიშის I ხარისხის 3 მეტრის სიგრძის 10 (ათი) ცალი მრგვალი მორი,წვრილი თავის დიამეტრებით: ნაძვი - 46 სმ, 43 სმ, 43 სმ, 50 სმ, 40 სმ, 38 სმ, 40 სმ, 38 სმ და სოჭი -38 სმ, 40 სმ,საერთო მოცულობით 4,7 მ3.უკანონოდ ჭრის შედეგად გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 517,0 (ხუთასჩვიდმეტი) ლარი. აღნიშნული მორები შემდგომი დაცვის მიზნით გადატანილი და დასაწყობებული იქნა სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს სასაწყობო ტერიტორიაზე (ქ. ახალციხე, 9 აპრილის ქუჩა).

2016 წლის 26 აპრილს ბორჯომის სატყეო უბნის ტაძრისის სატყეოს კვ. N4-ში ნანახი იქნა უკანონოდ მოჭრილი წიწვოვანი (ნაძვის) ჯიშის I ხარისხის 3 მეტრის სიგრძის 19 (ცხრამეტი) ცალი მრგვალი მორი, წვრილი თავის დიამეტრებით: 37 სმ, 30 სმ, 27 სმ, 25 სმ, 28 სმ, 33 სმ, 30 სმ, 28 სმ, 35 სმ, 32 სმ, 24 სმ, 33 სმ, 30 სმ, 47 სმ, 29 სმ, 35 სმ, 30 სმ, 36 სმ, 32 სმ, საერთო მოცულობით სულ 5,386 მ3. უკანონოდ ჭრის შედეგად გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 592,46 (ხუთასოთხმოცდათორმეტი ლარი და ორმოცდაექვსი თეთრი) ლარი. აღნიშნული მორები შემდგომი დაცვის მიზნით გადატანილი და დასაწყობებული იქნა სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს სასაწყობო ტერიტორიაზე (ქ. ახალციხე, 9 აპრილის ქუჩა).

2016 წლის 07 მაისს ნანახი იქნა სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე კერძოდ, ბორჯომის სატყეო უბნის ბორჯომის სატყეოს კვ. N9 ლიტერ N13-ში განთავსებული სალესი დანადგარი (ერთი ცალი), დიზელ გენერატორი (ერთი ცალი), ცირკული ხერხი (ერთი ცალი) და ლიანდაგზე დამონტაჟებული ლენტური ხერხი (ერთი ცალი). ასევე სახერხი დანადგარების მიმდებარედ ნანახი იქნა უკანონოდ მოპოვებული მერქნული რესურსის გადამუშავების შედეგად მიღებული პირველადი გადამუშავების პროდუქტი (ფიცარი) საერთო მოცულობით 0,9 მ3. აღნიშნული დანადგარები და პირველადი გადამუშავების პროდუქტი (ფიცარი), შემდგომი დაცვის მიზნით გადატანილი და დასაწყობებული იქნა სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს სასაწყობო ტერიტორიაზე (ქ. ახალციხე, 9 აპრილის ქუჩა) დალენტური ხერხი, დიზელ გენერატორი დაილუქაN1346024 ლუქით, ხოლოცირკული ხერხი, სალესი დანადგარი, ლიანდაგი დაილუქა N1346054 ლუქით.

2016 წლის 08 მაისს ნანახი იქნა სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე კერძოდ, ბაკურიანის სატყეო უბნის წაღვერის სატყეოს კვ. N1 ლიტერ N26-ში განთავსებული ლენტური ხერხი (ერთი ცალი), სალესი დანადგარი (ერთი ცალი), ტრანსფორმატორი (ერთი ცალი) და ელექტრო სადენი (კაბელი). აღნიშნული დანადგარები და ელექტრო სადენი (კაბელი), შემდგომი დაცვის მიზნით გადატანილი და დასაწყობებული იქნა სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს სასაწყობო ტერიტორიაზე (ქ. ახალციხე, 9 აპრილის ქუჩა),რომლებიც დალუქული იქნა N1346023 ლუქით.

2016 წლის 16 ივლისს ბორჯომის სატყეო უბნის ტაძრისის სატყეოს კვ. N43-ში ნანახი იქნა უკანონოდ მოჭრილი წიწვოვანი (სოჭის) ჯიშის I ხარისხის 3 მეტრის სიგრძის 7 (შვიდი) ცალი მრგვალი მორი, საერთო მოცულობით სულ 3,45 მ3. უკანონოდ ჭრის შედეგად გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 379,50 (სამასსამოცდაცხრამეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი. აღნიშნული მორები შემდგომი დაცვის მიზნით გადატანილი და დასაწყობებული იქნა ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაძრისში კერძოდ, ბორჯომის სატყეო უბნის ტყის მცველის მურმან შაყულაშვილის საცხოვრებელი სახლის ეზოს მიმდებარე ტერიტორიაზე.

2016 წლის 24 ივლისს ბორჯომის სატყეო უბნის ბორჯომის სატყეოს კვ. N1 ლიტერ N46-ში ნანახი იქნა უკანონოდ მოჭრილი წიწვოვანი (ფიჭვის) ჯიშის I ხარისხის ერთი ძირი ხე, საერთო მოცულობით 0,59 მ3. უკანონოდ ჭრის შედეგად გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 64,90 (სამოცდაოთხი ლარი და ოთხმოცდაათი თეთრი) ლარი. აღნიშნული ხე-ტყე მიღება-ჩაბარებისაქტითმიბარდა ბორჯომის სატყეო უბნის ტყის მცველს ზაალ სტეფნაძეს.

2016 წლის 27 ივლისს ბორჯომის სატყეო უბნის წაღვერის სატყეოს კვ. N55 ლიტერ N34-ში ნანახი იქნა უკანონოდ მოჭრილი წიწვოვანი (ნაძვის) ჯიშის I და II ხარისხის ხის ძირკვი, საერთო მოცულობით 6,95 მ3 (მათ შორის: I ხარისხის ხე-ტყე 3,77 მ3 და II ხარისხის ხე-ტყე 3,18 მ3), აქედან ხე-ტყის ჭრის ადგილზე დარჩენილი იყო I ხარისხის 3,16 მ3 ხე და II ხარისხის 2,40 მ3 ხე, რომელიც შემდგომი დაცვის მიზნით გადატანილი და დასაწყობებული იქნა ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტბაზე კერძოდ, ბორჯომის სატყეო უბნის ტყის მცველის ზურაბ ლომიძის საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე და მასზედ იქნა მიბარებული. უკანონოდ ჭრის შედეგად გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 578,24 (ხუთასსამოცდათვრამეტი ლარი და ოცდაოთხი თეთრი) ლარი.

2018 წლის 30 მარტის საქმე N2374772-2/270-18წ.

განჩინება

გამოქვეყნდეს საჯარო შეტყობინება (ცნობა) შემდეგი სახით:

ახალციხის რაიონული სასამართლოს წარმოებაშია სამოქალაქო საქმე N2374772-2/270-18 წ.საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის განცხადების გამო, ქონების უპატრონოდ ცნობის თაობაზე.

უპატრონოდ საცნობი მოძრავი ნივთებია:

2017 წლის 23 თებერვალსახალციხე-ასპინძა-ახალქალაქის სატყეო უბნის აწყურის სატყეოს კვ. N23-ში ნანახი იქნა უკანონოდ მოჭრილი წიწვოვანი და ფოთლოვანი(ნაძვის, ფიჭვის და ცაცხვის) ჯიშის I ხარისხის 3 და 6 მეტრის სიგრძის 13 (ცამეტი) ცალი მორი, წვრილი თავის დიამეტრებით: 31 სმ, 31 სმ, 32 სმ, 29 სმ, 27 სმ, 26 სმ, 27 სმ, 28 სმ, 24 სმ, 31 სმ, 26 სმ, 23 სმ, 34 სმ, საერთო მოცულობით 3,057 მ3. უკანონოდ ჭრის შედეგად გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 395,17 (სამასოთხმოცდათხუთმეტი ლარი და ჩვიდმეტი თეთრი) ლარი. აღნიშნული მორები მიღება-ჩაბარების აქტით მიბარდაახალციხე-ასპინძა-ახალქალაქის სატყეო უბნის ტყის მცველსგიორგი გელაშვილს.

2017 წლის 25 თებერვალს ახალციხე-ასპინძა-ახალქალაქის სატყეო უბნის აწყურის სატყეოს კვ. N32-ში ნანახი იქნა უკანონოდ მოჭრილი წიწვოვანი (ფიჭვის) ჯიშის I ხარისხის 3 და 6 მეტრის სიგრძის 17 (ჩვიდმეტი) ცალი მორი, წვრილი თავის დიამეტრებით: 39 სმ, 34 სმ, 36 სმ, 38 სმ, 43 სმ, 35 სმ, 31 სმ, 37 სმ, 39 სმ, 36 სმ, 26 სმ, 30 სმ, 43 სმ, 27 სმ, 24 სმ, 25 სმ, 40 სმ, საერთო მოცულობით 6,63 მ3. უკანონოდ ჭრის შედეგად გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 729,30 (შვიდასოცდაცხრა ლარი და ოცდაათი თეთრი) ლარი. აღნიშნული მორები მიღება-ჩაბარების აქტით მიბარდაახალციხე-ასპინძა-ახალქალაქის სატყეო უბნის ტყის მცველსგიორგი გელაშვილს.

2017 წლის 10 მარტს ახალციხე-ასპინძა-ახალქალაქის სატყეო უბნის თისელის სატყეოს კვ. N9-ში ნანახი იქნა უკანონოდ მოჭრილი წიწვოვანი (ნაძვის და სოჭის) ჯიშის I ხარისხის 3მეტრის სიგრძის 13 (ცამეტი) ცალი მორი, წვრილი თავის დიამეტრებით: 28 სმ, 30 სმ, 30 სმ, 28 სმ, 22 სმ, 27 სმ, 26 სმ, 24 სმ, 23 სმ, 28 სმ, 30 სმ, 22 სმ, 25 სმ, საერთო მოცულობით 2,525 მ3. უკანონოდ ჭრის შედეგად გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 277,75 (ორასსამოცდაჩვიდმეტი ლარი და სამოცდათხუთმეტითეთრი) ლარი. აღნიშნული მორები მიღება-ჩაბარების აქტით მიბარდაახალციხე-ასპინძა-ახალქალაქის სატყეო უბნის ტყის მცველსმურმან ხალაძეს.

2017 წლის 20 აპრილს ახალციხე-ასპინძა-ახალქალაქის სატყეო უბნის ელიაწმინდის სატყეოს კვ. N21 ლიტერ N9-ში ნანახი იქნა უკანონოდ მოჭრილი წიწვოვანი (ფიჭვის) ჯიშის I და II ხარისხის 11 (თერთმეტი) ძირი ხის ძირკვი, საერთო მოცულობით 4,60 მ3(მათ შორის: I ხარისხის ხე-ტყე 4,23 მ3 და II ხარისხის ხე-ტყე 0,37 მ3),აქედან ხე-ტყის ჭრის ადგილზე დარჩენილი იყო II ხარისხის 0,37 მ3 ხე-ტყე, რომელიც-მიღება-ჩაბარების აქტით მიბარდაახალციხე-ასპინძა-ახალქალაქის სატყეო უბნის ტყის მცველსმალხაზ სამსონიძეს. აღნიშნული ხე-ტყის უკანონოდ ჭრის შედეგად გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 575,01 (ხუთასსამოცდათხუთმეტი ლარი და ერთი თეთრი) ლარი.

2017 წლის 23 მაისს ახალციხე-ასპინძა-ახალქალაქის სატყეო უბნის აწყურის სატყეოს კვ. N12-ში ნანახი იქნა უკანონოდ მოჭრილი წიწვოვანი (ნაძვის და ფიჭვის) ჯიშის I ხარისხის სხვადასხვა მეტრის სიგრძის 6 (ექვსი) ცალი მორი, წვრილი თავის დიამეტრებით: ნაძვის -24 სმ, 24 სმ, ფიჭვის - 25 სმ,22 სმ, 23 სმ, 25 სმ, საერთო მოცულობით 2,09 მ3. უკანონოდ ჭრის შედეგად გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 229,90 (ორასოცდაცხრა ლარი და ოთხმოცდაათითეთრი) ლარი. აღნიშნული მორები მიღება-ჩაბარების აქტით მიბარდაახალციხე-ასპინძა-ახალქალაქის სატყეო უბნის ტყის მცველსვლადიმერ მჭედლიშვილს.

2017 წლის 09 ოქტომბერს ახალციხე-ასპინძა-ახალქალაქის სატყეო უბნის წინუბნის სატყეოს კვ. N13-ში (GPS კორდინატები: X 341300 Y 4624180) ნანახი იქნა უკანონოდ მოჭრილი წიწვოვანი (ნაძვის) ჯიშის I ხარისხის 3 და 6 მეტრის სიგრძის 11 (თერთმეტი) ცალი მორი, წვრილი თავის დიამეტრით: სამი მეტრის - 35 სმ, 40 სმ, 35 სმ, 36 სმ, 30 სმ, 37 სმ, 43 სმ, 48 სმ, 44 სმ, 46 სმ და ექვსი მეტრის - 28 სმ, საერთო მოცულობით 4,76 მ3. უკანონოდ ჭრის შედეგად გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 523,60 (ხუთასოცდასამი ლარი და სამოცი თეთრი) ლარი. აღნიშნული მორები მიღება-ჩაბარების აქტით მიბარდა ახალციხე-ასპინძა-ახალქალაქის სატყეო უბნის ტყის მცველს დავით ტალახაძეს.

2017 წლის 20 ოქტომბერს ახალციხე-ასპინძა-ახალქალაქის სატყეო უბნის წინუბნის სატყეოს კვ. N21-ში ნანახი იქნა უკანონოდ მოჭრილი წიწვოვანი (ნაძვის) ჯიშის I ხარისხის 6 და 9 მეტრის სიგრძის 16 (თექვსმეტი) ცალი მორი, წვრილი თავის დიამეტრით: 25 სმ, 28 სმ, 21 სმ, 23 სმ, 22 სმ, 20 სმ, 20 სმ, 18 სმ, 21 სმ, 20 სმ, 18 სმ, 24 სმ, 22 სმ, 20 სმ, 20 სმ, 22 სმ, საერთო მოცულობით 5,43 მ3. უკანონოდ ჭრის შედეგად გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 597,30 (ხუთასოთხმოცდაჩვიდმეტი ლარი და ოცდაათი თეთრი) ლარი. აღნიშნული მორები მიღება-ჩაბარების აქტით მიბარდა ახალციხე-ასპინძა-ახალქალაქის სატყეო უბნის ტყის მცველს დავით ტალახაძეს.